

სსიპ სსიპ სსიპ სსიპ სსიპ
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი
LEPL AJARA MUSEUM
BATUMI ARCHAEOLOGICAL MUSEUM



შრომები
ACTIVITIES

IX

ISSN 1512-0716 (print)
ISSN 2960-947X (online)



მთავარი რედაქტორი: თამარ შალიკაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული პედაგოგი), სსიპ აჭარის მუზეუმის სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი

Editor chief: Tamar Shalikadze

Batumi Shota Rustaveli University (invited teacher), Kurator of Scientific and Public and Publishing of the Ajara Museum,

სარედაქციო კოლეგია: თ.ზოიძე - სსიპ აჭარის მუზეუმის დირექტორი

T.zoidze - Director of LEPL Ajara Museum

ე. კახიძე - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი

E. Kakhidze - Manager of the Archaeological Museum of Ajara

ISSN 1512-0716 (print)
ISSN 2960-947X (Online)

სარჩევი:

გურამ ჩხატარაშვილი, ვალერი მანკო, ქეთევან ესაკია.....
Guram Chchatarashvili, Valeri Manko, Ketevan Esakia

გიორგი თავამაიშვილი.....
Giorgi Tavamaishvili

მაია ჭიჭინაძე, ელისო ყვავაძე.....
Maia Chichinadze, Eliso Kvavdze

ნინო ძნელაძე.....
Nino Dzneladze

ირინე ვარშალომიძე, ნარგიზ სურმანიძე.....
Irine Varshalomidze, Nargiz Surmanidze

ნარგიზ სურმანიძე.....
Nargiz Surmanidze

თამარ შალიკაძე, იზოლდა დუმბაძე.....
Tamar Shalikadze, Izolda Dumbadze

ირაკლი ჩავლეიშვილი.....
Irakli Chavleishvili

ამირან კახიძე, მირანდა თურმანიძე,ემზარ კახიძე.....
Amiran Kakhidze, Miranda Trmanidze, Emzar Kakhidze

ჯვარცხმის ადრე ჰოლოცენის პერიოდის ქვის
ინვენტარის კომპლექსური ანალიზი
A complex analysis of early Holocene period
stone inventory of Jvartskhma

გურამ ჩხატარაშვილი
სსიპ აჭარის მუზეუმი,
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი
ვალერი მანკო
უკრაინის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტი
ქეთევან ესაკია
საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის კვლევის ცენტრი
Guram Chkhatarashvili
LEPL Ajara Museum,
Batumi Archaeological Museum,
PhD in Archaeology
Valeri Manko
Institute of Archaeology at
Ukraine's national academy of Sciences
Ketevan Esakia
National Museum of Georgia, Institute of
Archaeological Science

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.01>

აბსტრაქტი: წარმოდგენილ სტატიაში ვრცლად არის განხილული დასავლეთ ამიერკავკასიის ადრე ჰოლოცენის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო საზოგადოებისთვის მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გახდა ცნობილი. ღია ტიპის ნამოსახლარზე, სამწუხაროდ, ნიადაგის თავისებურებების გამო ფაუნისტური ნაშთი არ დაფიქსირებულა. ამიტომ ერთადერთი მასალა, რაც წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ესაა ქვის არტეფაქტები. ამის გათვალისწინებით, პუბლიკაციის ავტორებმა განახორციელეს ქვის ინვენტარის კომპლექსური კვლევები, რაც მოიცავს ტექნო-ტიპოლოგიურ და ტრასოლოგიურ ანალიზებს. იარაღთა დასამზადებლად გამოყენებული იყო ნუკლეუსის დამუშავების პირდაპირი დარტყმის მეთოდი და, ასევე, ხელის წნევითი ტექნიკა, რაც კოლექციაში კონუსური და ფანქრისებრი ნუკლეუსების არსებობით აიხსნება. იარაღები ცოტაა, თუმცა, მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ორგვერდრეტუშირებული ტრაპეციები, რომლებიც ჯვარცხმის თანადროულ თითქმის ყველაზე ძველზე გვხვდება. საინტერესო შედეგები მოგვცა ქვის ინვენტარის ტრასოლოგიურმა კვლევებმაც, რამაც ფაქტობრივად ზუსტად განსაზღვრა აქ მცხოვრები ადამიანის ძირითადი საქმიანობა. სამწუხაროდ, ძეგლს არ გააჩნია აბსოლუტური თარიღები, თუმცა, ავტორთა მიერ შეფარდებითი (ტიპოლოგიური) მეთოდის გამოყენებით მეტად საინტერესო დასკვნები იქნა გაკეთებული.

საკვანძო სიტყვები: ადრე ჰოლოცენი, არტეფაქტი, კომპლექსური ანალიზი, ნამოსახლარი

შესავალი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გასული საუკუნის მეორე ნახევარში სავლეთ-არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად ქვის ხანით დათარიღებული არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი აღმოჩნდა (ბერძენიშვილი, ნებიერიძე, 1963; ნებიერიძე, 1972; გოგიტიძე, 1978, 2008; კალანდაძე, 1986; გრიგოლია, 2001). უკანასკნელ პერიოდში ამათ რიცხვს შეემატა ჯვარცხმის ნამოსახლარი. ძეგლი აღმოჩნდა 2012 წ. სოფ. ჯვარცხმაში კლოდ მდინარაძის საკარმიდამო ნაკვეთში (სიმინდის ყანა), სადაც მიწის დამუშავების დროს შემთხვევით გამოვლინდა ქვის არტეფაქტები. ჩვენ გავეცანით აღნიშნულ მონაპოვრებს და სათანადო მეცნიერული შესწავლის შედეგად

გამოვეციტ მცირე პუბლიკაციის სახით (ჩხატარაშვილი, 2013). მოგვიანებით, სსიპ აჭარის მუზეუმის დაფინანსებით შესაძლებელი გახდა არქეოლოგიური ექსპედიციის განხორციელება (Манько, Чхатарашვილი 2020), რომლის შედეგებზე ვრცლად იქნება საუბარი აღნიშნულ პუბლიკაციაში.

N ძეგლის მდებარეობა და სტრატეგრაფია. ჯვარცხმის ნამოსახლარი მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ცენტრიდან 2-3 კმ-ის დაშორებით (GPS კოორდინატები N 41 59.386 E 042 13.431). იგი წარმოადგენს ღია ტიპის ერთფენიან ნამოსახლარს, რომელიც მდებარეობს დაბლობ ადგილას, ზღ.დ. 75 მ. სიმაღლეზე. ძეგლი გეოგრაფიულად კოლხეთის დაბლობშია მოქცეული, რომლისთვისაც დამახასიათებელია სუბტროპიკული კლიმატი. მიწა აქ ნესტიანი და სველია, რამაც, როგორც ჩანს, ღია ტიპის ნამოსახლარზე ძვლოვანი მასალის დაცულობის მხრივ შექმნა დიდი პრობლემები. ერთადერთი მასალა, რაც წარმოადგენს გვიქმნის იმდროინდელი ადამიანის ცხოვრებაზე, ესაა ქვის არტეფაქტები.

2018 წ. განხორციელებული მცირე მასშტაბის საველე სამუშაოების დროს, უძრავი კულტურული ფენის დაფიქსირების მიზნით საკარმიდამო ნაკვეთში გაივლო რამდენიმე საკონტროლო თხრილი (1x2 მ). საინტერესო აღმოჩნდა თხრილი № 2 (ე.წ. ძირითადი თხრილი), სადაც დაფიქსირდა შემდეგი სტრატეგრაფიული სურათი.

- I – კორდოვანი ფენა (სიმძლავრე 3-5 სმ)
- II – ჰუმუსოვანი ფენა წვრილი კენჭებით (8-10 სმ)
- III – ყავისფერი ფენა (20-25 სმ)
- IV – ღია ყავისფერი ფენა, დედაქანი

კულტურული ფენა დაფიქსირდა ყავისფერ ფენაში, რომელიც, ჩვენი წინასწარული დაკვირვებით ადრეპოლოცენის პერიოდით უნდა დათარიღებულიყო. აღნიშნული მოსაზრება გაამყარა ნამოსახლარზე აღმოჩენილი იარაღებისა და წარმოების ნაშთების კომპლექსურმა ანალიზმაც.

მეთოდოლოგია. არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა სტანდარტული მეთოდით. შესასწავლ ფართობზე აიგო კვადრატები (1x1 მ). თითოეულ მათგანს მიეცა შესაბამისი ნომერაცია და ლათინური ასო. ზედა ფენა ავიღეთ ნიჩბების გამოყენებით, ხოლო კულტურული ფენის გამოჩენის დროს დავიწყეთ თხელი ფენის (5 სმ) აღება სპეციალური დანებითა და საპრეპარაციო იარაღებით. ყველა არტეფაქტს მიეცა თავისი საინვენტარო ნომერი და გატარდა საველე დავთარში. In Situ მდომარეობაში აღმოჩენილი არტეფაქტი დაფიქსირდა საერთო გეგმაზე სიღრმეების მითითებით. გათხრების პარალელურად გასუფთავდა ჭრილები, რომელიც პარალელურად ჩაიხატა და დაფიქსირდა სტრატეგრაფია (სამწუხაროდ, პრეპარირებული ნიადაგის გაცრა ვერ მოხერხდა).

კაჟის და ობსიდიანის ინვენტარის შესწავლა მოხდა ფორმალურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით, რომელიც განხორციელდა ჟ. ტიქსიეს (Tixie, 1974) ადრეპოლოცენის ტიპოლოგიური სქემის მიხედვით.

ქვის ინვენტარის ფუნქციონალურ-ტრასოლოგიური ანალიზი განხორციელდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი გულისხმობდა არტეფაქტების ზედაპირის მიკროსკოპულ შესწავლას. იარაღის გამოყენების დროს მის ზედაპირზე სავსებით კანონზომიერი, სხვადასხვა ტიპის კვალი რჩება (Семенов, 1957; Семенов, Коробкова, 1983), რომლის შესასწავლად გამოყენებული იყო ბინოკულარული მიკროსკოპი (МБС-9). იარაღის მცირე მონაკვეთზე დაკვირვებისა და მიკროსტრუქტურის ფოტოგრაფირებისთვის გამოყენებული იყო მეტალოგრაფიული მიკროსკოპი (Olympus). კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა არტეფაქტთა ფუნქციონალურ ანალიზს, კლასიფიკაციას მეურნეობის დარგების მიხედვით და ჰისტოგრამების აგებას.

ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის 184 ერთ. არტეფაქტი (ცხრილი I). კაჟი გამოირჩევა მაღალი

ხარისხით. სხვადასხვა შეფერილობის მიუხედავად, როგორც ჩანს, იგი ერთი საერთო წყაროდან უნდა მომდინარეობდეს. რაც შეეხება ობსიდიანს, მათში დომინირებს გამჭირვალე და შავი ფერი.

M ჩვენი აზრით, კაჟისა და ობსიდიანის კოლექციის სიმცირე უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ძეგლის ჩამოყალიბება დროის მცირე მონაკვეთში მოხდა, ანუ მისი გამოყენება სავარაუდოდ, ერთხელ მოხდა. ამ მოსაზრებას ამყარებს ასევე, ქვის დამუშავების ტექნოლოგია და იარაღებზე არსებული ხანმოკლე გამოყენების კვალი.

მონაპოვრებში 9 ნუკლეუსია. მათგან 7 ერთმოდენიანია, დანარჩენს ორი მოედანი აქვს. ნუკლეუსებში გვხვდება ძირითადად პრიზმისებრი ფორმები. ზოგიერთ მათგანზე შემორჩენილია კაჟის ბუნებრივი ქერქი. ნუკლეუსების ტექნოლოგიური ანალიზიდან ირკვევა, რომ ძეგლზე გავრცელებული იყო ნუკლეუსის დამუშავება პირდაპირი დარტყმის მეთოდით. თუმცა, კოლექციაში გვხვდება 2 ც. კონუსური ნუკლეუსი და 1 ც. ნუკლეუსის ფირფიტა, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ აქ მცხოვრები ადამიანებისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო ნუკლეუსის დამუშავების ხელის წნევითი ტექნიკა.

კოლექციაში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ლამელები და მიკროლამელები, სულ 26 ც. მათ შორის მთლიანი ეგზემპლარები ძალიან ცოტაა. უმეტესად გვხვდება მათი ფრაგმენტები: პროქსიმალური, მედიალური და დისტალური ნაწილები. აღსანიშნავია, რომ ლამელებს შორის 8 ც. ხელის წნევითი ტექნიკითაა მიღებული, დანარჩენი კი დარტყმის მეთოდით.

კაჟის და ობსიდიანის ინვენტარში ყველაზე დიდი ნაწილი უკავია სხვადასხვა ზომის და ფორმის ანატკეც-ანამტვრევებს. მათგან 10 ცალი პირველადი ანატკეცია. როგორც ჩანს, ნუკლეუსების გაპობა და მათი დამუშავება ადგილზე უნდა მომხდარიყო, ე.ი. ნამოსახლარი შესაძლებელია, რომ სახელოსნოდაც ყოფილიყო გამოყენებული. ჩვენს მოსაზრებას ამყარებს, ასევე, ნუკლეუსის ანამტვრევების (9 ც.) არსებობაც, რომლებიც შემდგომი დამუშავებისთვის უვარგისი იყო.

Q ქერცლისებრი ანატკეცები ძეგლზე ძალიან ცოტაა (22 ც.), რაც, ბუნებრივია, არ შეესაბამება ძეგლის ფუნქციას. მათი რაოდენობა გაცილებით ბევრი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, საველე პირობებში რთული გახდა ნიადაგის ლითონის ბადეში გაცრა-გარეცხვა, რამაც გამოიწვია მცირე ზომის არტეფაქტების დაკარგვა.

რაც შეეხება კაჟის არტეფაქტებს მეორადი დამუშავებით, მათი რაოდენობა 18 ცალს შეადგენს. საფხეკი – 3 ცალია. უმთავრესად ბოლოკიდურა საფხეკებია, რომელიც დამზადებულია ლამელაზე და ანატკეცზე. საჭრისები 6 ცალია. მათგან ერთია დამზადებული მასიურ ლამელაზე, დანარჩენი კი ანატკეცებზე. გამოიყოფა კუთხის, შუალა და გვერდულა საჭრისები. იარაღებში გვხვდება გვერდრეტუშირებული და გვერდამოდარული ლამელები. ერთეული სახითაა წარმოდგენილი სატეხი და სწორად თავწაკვეთილი ლამელა.

კაჟის ინვენტარში საინტერესო და მნიშვნელოვან ჯგუფს ქმნის ციცაბო რეტუშით გვერდდამუშავებული ტრაპეციები (3 ც.). ერთი მათგანი დამზადებულია მასიურ ლამელაზე, ხოლო დანარჩენი საშუალო სიმაღლის ლამელებია.

მონაპოვრებში ობსიდიანის არტეფაქტები ძალიან ცოტაა. სულ 7 ცალი. მათგან მხოლოდ 4 ცალია იარაღი. ობსიდიანის ნუკლეუსების არ არსებობა და ანატკეც-ანამტვრევების სიმცირე ჩვენი აზრით მიუთითებს იმაზე, რომ ობსიდიანის იარაღები ნამოსახლარზე უკვე მზა პროდუქტის სახით მოჰქონდათ. იარაღებში გვხვდება რეტუშირებული და სწორად თავწაკვეთილი ლამელა, გვერდულა საჭრისი, ტრაპეცია და სხვ.

ჯვარცხმის ნამოსახლარზე საველე არქეოლოგიური სამუშაოების დროს საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა რიყის და ბაზალტის ქვის იარაღებიც. მათგან საინტერესო იარაღს წარმოადგენს ქვის ორმხრივლესილი ცული. იარაღის სიგრძეა 17 სმ, სიგანე 5 სმ. სამუშაო პირო ოვალურია, ყუის მხარეს თანდათანობით ვიწროვდება. იარაღს ზედა

ნაწილში ეტყობა მცირე ატკეცვის ნიშნები, რაც ხის ბუდეში ჩამაგრებისთვის იყო საჭირო. ამავე ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ ცულის პირიც.

რიყის და ბაზალტის ქვის კოლექციაში საინტერესო ჯგუფს ქმნიან სატეხ-სათლელები და მცირე ზომის სანაყი ქვები. ნამოსახლარზე მოპოვებულია, ასევე, მრგვალი ფორმის პატარა ქვებიც, რომელიც ან შურდულის ქვები უნდა იყოს, ან ნუკლეუსის დამუშავებისთვის საჭირო ე.წ. ქვის ჩაქუჩი.

ტრასოლოგიური ანალიზი. ქვის ინვენტარის ტრასოლოგიური ანალიზი განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტში, ტრასოლოგ ქეთევან ესაკიას მიერ. კვლევა ჩაუტარდა 96 არტეფაქტს, რომელთაგან 35 ეთეულზე დაფიქსირდა იარაღად გამოყენების კვალი. მათი უმრავლესობა საშუალო და პატარა ზომის კაჟის თავბოლოგადამტვრეული ლამელა და მიკროლამელაა (12 ც.). რაოდენობით სჭარბობენ სახოკები (8 ც.), დანები და საფხეკები (5-5). შემდეგ საჭრისები (3 ც.), წვეტანისებური და სატეხისებრი იარაღები (2-2), საფართი (1 ც.) და იარაღის ნაშაბი (1 ც.). საფართი პრაქტიკულად, ბურღის ფორმისაა და ძვალზე, რქაზე, ხესა და ტყავზე ნახვრეტის გასაფართოებლად გამოიყენებოდა. საჭრისებს შორის ერთი მიკროლამელაზე ჩამოყალიბებული იარაღია, რომელსაც საჭრელ-სარანდავის ფუნქცია აკისრია. სამუშაო პირს არა აქვს სასაჭრისე ჩამონატეხი. იყენებდნენ ხის, ძვლისა და რქის მასალაზე წვრილი ღარების გასატარებლად. ასეთი იარაღი ეფექტურია მყარი მასალის დასამუშავებლად.

ცვეთის კვალის გარეშე აღმოჩნდა 12 ერთეული მიკრო და თავბოლოგადამტვრეული ლამელა. კოლექციაში ყველაზე მეტი ქერცლისებური იარაღია (29 ც.). მათ შორის ერთზე, სუსტად გამოხატული, სახოკის კვალი დაფიქსირდა.

ანამტვრევებსა (10 ც.) და ანატკეცებს შორის (22 ც.) აღმოჩნდა რამდენიმე სახოკი, როგორც ნედლი, ასევე მყარი (ხე, ძვალი, რქა) მასალის დასამუშავებული იარაღი. მიკროლამელაზე დაფიქსირდა ხორცის საჭრელი დანები უტილიზაციის რეტუმით და სამუშაო პირის გასწვრივ, დანებისთვის დამახასიათებელი ცვეთის კვალით. ერთ დანის პირზე ტყავის საჭრელი იარაღის კვალია, რაც გამოიხატება, სამუშაო კიდის ინტენსიური სიპრიალით.

ტრასოლოგიური ანალიზით კოლექციაში ოთხი კომბინირებული იარაღი დაფიქსირდა: სახოკ-სათლელი, წვეტანა-სახოკი, სახოკი-დანა, საჭრისი-სათლელი. როგორც ჩანს, დაბლაგვებული, ხმარებიდან გამოსული იარაღი, მოგვიანებით, მეორად ფუნქციას ითავსებდა.

მასალის მცირე რაოდენობის მიუხედავად, ტრასოლოგიური კვლევისას გამოვლინდა სახოკებისა და საფხეკების, შედარებით, მეტი რაოდენობა რაც ადგილზე, ხის, ძვლისა და ტყავზე მუშაობის პროცესზე მიგვანიშნებს. ხოლო დანების სამუშაო პირებზე ინტენსიური ცვეთის კვალის მიხედვით კი, სადგომზე ხორცის დანაწევრება და მისი გამოყენება ხდებოდა.

ნამოსახლარის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის. თანამედროვე არქეოლოგიაში მეგლის ზუსტი მეთოდის გათხრებისა და არტეფაქტთა შესწავლის (ტიქნო-ტიპოლოგიური და ფუნქციონალურ-ტრასოლოგიური) გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია გავიგოთ ნამოსახლარის ფუნქციონირების ასაკი. სამწუხაროდ, ჯვარცხმიდან არ გვაქვს აბსოლუტური თარიღები და, ამიტომ, მეგლის ასაკის განსაზღვრისთვის ვიყენებთ ტრადიციულ შეფარდებითი (ტიპოლოგიური) დათარიღების მეთოდს.

ჯვარცხმის ნამოსახლარის უშუალო ანალოგად უნდა ჩაითვალოს დარკვეთის მრავალფენიანი ეხის მე-IV ფენა (ნებიერიძე, 1978), რომელიც დაკავშირებულია უკერამიკო პერიოდთან. დარკვეთის მე-IV ფენის კოლექციაში ჯვარცხმის მსგავსად, სრულიად იდენტური სურათია. ნუკლეუსები აქაც არქაული ელემენტების მატარებელია. გვხვდება ერთმოდენიანი პრიზმისებური ნუკლეუსები, რომლისგანაც ქვის ჩაქუჩის დახმარებით

მიიღებოდა ლამელები. აქვეა დაფიქსირებული ცილინდრული ფორმის ნუკლეუსიც, რაც ხელის წნევითი ტექნიკის არსებობაზე მიუთითებს. ბევრი მსგავსება ჩანს იარაღებს შორისაც. ესაა ბოლოკიდურა საფხეკები გრძელ ლამელებზე, გვერდულა საჭრისები, თავწაკვეთილი ლამელები და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ჯვარცხმის მსგავსად აქაც გვხვდება საშუალო სიმაღლის ტრაპეციები, რომლებიც ხელის წნევით არის მიღებული. საინტერესოა, ასევე, ქვის ორმხრივლესილი ცული, რომელიც ზუსტად იმეორებს ჯვარცხმის ცულის ფორმას.

სამწუხაროდ, აბსოლუტური თარიღები არც დარკვეთის ეხიდან გვაქვს. თუმცა, ჩვენ შევეცდებით, დათარიღების შეფარდებითი (ტიპოლოგიური) მეთოდის და უახლესი პუბლიკაციების გამოყენებით განვსაზღვროთ IV ფენის ასაკი. ამისთვის ჩვენ გამოვიყენებთ დარკვეთის მე-V და მე-III ფენებს. თუმცა, მე-III ფენა ენეოლითურია და იგი ჩვენ არ გამოგვადგება. რაც შეეხება მე-V ფენას იგი დაკავშირებულია თრიალეთის მეზოლითურ კულტურასთან, რომლის უშუალო ანალოგებად ითვლება: ეძანი, კოტიას-კლდე (Meshveliani, et. al., 2007), ჰალან ჩემი (Rosenberg, 1994) და სხვ. აქედან ბოლო ორ ძეგლს გააჩნია აბსოლუტური თარიღების სერია, რომლებიც მიაწინებენ მათ პრე-ბორეალურ ხანაზე (10,200-9,200 BP). კოტიას-კლდის მეზოლითური ხანის ყველაზე ახალგაზრდა თარიღის (ცხრილი II) მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თრიალეთური ინდუსტრია თავის არსებობას წყვეტს პრე-ბორეალური ხანის ბოლოს. შესაბამისად, გამოდის, რომ დარკვეთის ეხის მე-IV ფენა არ შეიძლება დათარიღდეს უფრო ადრე, ვიდრე ბორეალური ხანის დასაწყისი (9,200 BP).

ჯვარცხმის ქრონოლოგიის განსაზღვრისთვის გამოგვადგება მელოურის (კალანდაძე, 1986) კომპლექსიც. ჯვარცხმის და დარკვეთის (მე-IV ფენა) მსგავსად, აქაც, შეინიშნება ნუკლეუსის არქაული ელემენტებიც, რომელიც დარტყმითი ტექნიკით მუშავდებოდა. თუმცა, ამასთან ერთად, ჩანს კონუსური და ცილინდრული ნუკლეუსების არსებობაც, რაც ხელის წნევით ტექნიკაზე მიუთითებს. იარაღებშიც ბევრი საერთოა: ბოლოკიდურა ლამელებზე და ანატკეცებზე ჩამოყალიბებული საფხეკები, გვერდულა და ორწახნაგა საჭრისები, თავწაკვეთილი ლამელები და სხვ. აღსანიშნავია, რომ აქაც გვხვდება მსგავსი საშუალო სიმაღლის ტრაპეციები რეტუშირებული გვერდებით. სამწუხაროდ, აღნიშნულ ძეგლსაც არ გააჩნია აბსოლუტური თარიღები.

ჯვარცხმის კომპლექსის კიდევ ერთ ანალოგად უნდა ჩაითვალოს გალი I. კოლექციაში წარმოდგენილია ნუკლეუსის არქაული ელემენტები, თუმცა, უკვე საკმაოდ მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა ცილინდრული და კონუსური ნუკლეუსები. გეომეტრიულ მიკროლითებში გვხვდება ჯვარცხმის მსგავსი ტრაპეციები.

გალი I-ის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ გეომეტრიული მიკროლითების მდიდარ კომპლექსში ჩვენ ვერ ვხედავთ ზურგათილ ტრაპეციებს, რომელთა გავრცელების ქრონოლოგია ძალიან კარგადაა ცნობილი. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ელამქსანლი თეფეში (Kadowaki, 2014) ზურგათილი ტრაპეციები ძვ.წ. VII-VI ათასწლეულში ჩნდება (ცხრილი II). ამავე პერიოდში ჩნდება ისინი ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვისპირეთში გირჟევოს (Станко, 1961) ნამოსახლარზეც. ძვ.წ. VI ათასწლეულში ზურგათილი ტრაპეციები გამოჩენას იწყებს სომხეთში კმლო 2-ის (Petrosyan, 2014) ნამოსახლარზე, მდ. დონის მიდამოებში რაკუმეჩნი იარზე (Белановская, 1995) და ჩრდ. კასპისპირეთში ვარფოლომეევკას (Юдин, 2004) ნამოსახლარის ზედა ფენაში.

ასე და ამგვარად, გალი I-ის კომპლექსი არ უნდა დათარიღდეს გვიან, ვიდრე ძვ.წ. VII ათასწლეულის დასასრული. ამდენად, ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯვარცხმის ნამოსახლარი ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულებით უნდა თარიღდებოდეს.

დასკვნა. კაჟის და ობსიდიანის ინვენტარის ტექნო-ტიპოლოგიური ანალიზის გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ ჯვარცხმის ნამოსახლარზე ძირითადად

გავრცელებული იყო ნუკლეუსის დამუშავების დარტყმითი და ხელისწნევითი ტექნიკა; ბევრია ანატკეც-ანამტვრევები, მათ შორის პირველადიც, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ადგილზე ხდებოდა ქვის დამუშავება. ტიპოლოგიურად იარაღები ცოტაა. როგორც ჩანს, ნამოსახლარზე იკვეთება სამეურნეო მოღვაწეობის მრავალფეროვანი სურათი. კერძოდ, ქვის დამუშავების პირველადი ტექნიკა, არტეფაქტების მეორადი დამუშავება, ხეზე მუშაობა, მცენარეების დანაყვა-დასრესვა და სხვ. ამასვე ადასტურებს ტრასოლოგიური ანალიზიც, სადაც ჩანს, რომ ძეგლის ბინადართა ძირითადი საქმიანობა იყო: ხორცის დაჭრა, ხის, ძვლისა და ტყავის დამუშავება და სხვ.

ლიტერატურა:

- ბერძენიშვილი ნ., ნებიერიძე ლ. 1964. ქვის ხანის ნამოსახლარები კინტრიშის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, I, თბ., გვ. 7-16
- გოგიტიძე ს., 1978. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი
- გოგიტიძე ს. 2008. კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (ქობულეთის ადრენეოლითური ნამოსახლარი), ბათუმი.
- გრიგოლია გ., 2007. ქვის ხანის ძეგლი აჭარის მაღალმთიანეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, ბათუმი, გვ. 105-112
- კალანდაძე კ., 1986. დასავლეთ საქართველოს ნეოლითური კულტურა ახალი აღმოჩენების შუქზე, თბილისი.
- ნებიერიძე ლ., 1972. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბილისი.
- ნებიერიძე ლ., 1978. დარკვევის მრავალფენიანი ეხი, თბილისი
- ჩხატარაშვილი გ. 2013. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები მუნიციპალიტეტის სოფ. ჯვარცხმიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, 7-13
- Белановская Т.Д. 1995. Из древнейшего прошлого Нижнего Подонья: Поселение времени неолита и энеолита Ракушечный Яр, Санкт-Петербург.
- Манько В., Чхатарашвили Г. 2020. Раннеголоценовая стоянка Джварцхма в Западной Грузии, *Revista Arheologica, serie noua XVI, nr. 1.* 63-77
- Стан-ко В.Н. 1966. Мезолитическая стоянка Гиржево в Одесской области. *СА 2,* 96-103
- Семенов С.А., 1957. Первобытная техника. Материалы и исследования по археологии СССР, Москва-Ленинград.
- Семенов С.А., Коробкова Г.Ф., 1983. Технология древнейших производств (мезолит-энеолит), Ленинград.
- Юдин А.И. 2004. Вар-фоломеевская стоянка и неолит степного Поволжья, Саратов
- Nishiaki Y., Guliyev F., Kadowaki S. 2015. Chronological contexts of the earliest Pottery Neolithic in the Southern Caucasus: Radiocarbon dates for Göytepe and Hacı Elamxanlı Tepe, West Azerbaijan. *American Journal of Archaeology* 119(3), 279-294.
- Meshveliani T., Bar-Oz G., Bar-Yosef O., Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Koridze I., Matskevich Z. 2007. Mesolithic Hunters at Kotias Klde, Western Georgia: Preliminary Results. *Paleorient* 33/2, 47-58.
- Kadowaki S., Guliyev F., Nishiaki Y. 2014. Chipped Stone Technology of the Earliest Agricultural Village in the Southern Caucasus: HacıElamxanlıTepe (the Beginning of the 6th Millennium BC). *Proceedings of 9th ICAANE, Vol. 3,* 709-722.
- Petrosyan A., Arimura M., Gasparyan B., Nahapetyan S. Chataigner C. 2014. Early Holocene Sites of the Republic of Armenia: Questions of Cultural Distribution and Chronology, *Stone Age of Armenia, A Guide-book to the Stone Age Archaeology in the Republic of Armenia,* 135-160
- Rosenberg M. 1994. A Preliminary Description of the Lithic Industry from Hallan Cemi.

In: (eds H.G. Gebel, S.-K. Kozlowski) Neolithic Chipped Stone Industries of the Fertile Crescent. SENEPSE 1, Berlin, 223-238.

Tixier J. 1974. Glossary for the description of stone tools, with special reference to the Epipaleolithic of the Maghreb, Newsletter of Lithic Technology: Special Publication, 3-40

Zaitseva G.I., Timofeev V.I., Zagorska N.N., Kovaliukh N.N. 2000. Radiocarbon dates of the Meso-lithic sites of Eastern Europe. Radiocarbon and Archaeology I, 2000, 33-52.

ცხრილი I. კაჟის და ობსიდიანის კომპლექსი.

სახელწოდება	კაჟი	ობსიდიანი	ჯამი
ნუკლეუსი	9		9
ნუკლეუსის ანამტვრევი	11		11
ნუკლეუსის ფირფიტა	1		1
ლამელა	18		18
მიკროლამელა	8		8
პირველადი ანატკეცი	10		10
ანატკეცი	69	1	70
ანამტვრევი	9		9
ქერცლისებრი ანატკეცი	22	2	24
ჩაქუჩი	1		1
იარაღები	18	4	22
საფხევი	3		3
საჭრისი	6	1	7
რეტუმირებული ლამელა	1	1	2
გვერდამოდარული ლამელა	1		1
რეტუმირებული ანატკეცი	2		2
სატეხი	1		1
თავწაკვეთილი ლამელა	1	1	2
ტრაპეცია	3	1	4
ჯამი	177	7	184

ცხრილი II. ტექსტში მოხსენიებული არქეოლოგიური ძეგლების აბსოლუტური თარიღები.

№	აღმოჩენის ადგილი	ნიმუში	ლაბორატორიის კოდი	თარიღი		
(BP)	თარიღი BC					
(95.4 %)	ლიტერატურა					
1.	კოტიას-კლდე	ნახშირი	RTT-4698	9270±60	8639-8307	Meshveliani et. al., 2007

2.	ჰალან-ჩემი	ნახშირი	BETA-66855	10060±90	10023-9322	Rosenberg 1994
3.	ჰალან-ჩემი	ნახშირი	BETA-47211	10060±120	10089-9296	Rosenberg 1994
4.	ჰალან-ჩემი	ნახშირი	BETA-55049	10050±80	10009-9320	Rosenberg 1994
5.	ჰალან-ჩემი	ნახშირი	BETA-46647	10040±160	10420-9234	Rosenberg 1994
6.	ჰალან-ჩემი	ნახშირი	BETA-67464	10000±80	9867-9291	Rosenberg 1994
7.	გირჟევო	ძვალი	Le-1703	7050±60	6033-5789	Zaitseva et. al., 2000
8.	ელამქსანლი თეფე	ძვალი	IAAA-141127	7025±30	5986-5845	Nishiaki et. al., 2015
9.	ელამქსანლი თეფე	ძვალი	IAAA-141127	6890±30	5842-5718	Nishiaki et. al., 2015
10.	კმლო 2	ძვალი	Ly-2762	6640±40	5632-5494	Petrosyan et al. 2014

ტაბულეთის აღწერილობა:

(Манько, Чхатарашვილი, 2020: 65-70, სურ. 2-5)

I ტაბულა

1-4, 6 - ნუკლეუსი

5 - ნუკლეუსის ფირფიტა

II ტაბულა

1-3 საფხეკები

4-7 საჭრისები

III ტაბულა

1 - გვერდამოდარული ლამელა

2, 9-10 - გვერდრეტუშირებული ლამელა

3 - სატეხი

4 - საფხეკი

5-8 - ტრაპეციები

11 - საჭრისი

IV ტაბულა


1 - გაპრიალებული ცული

2 - ცულის პირი


3 - სათლელისებრი იარაღი

4-6 - სანაყი ქვები


Tab. I




Tab. II



Tab. III



Tab. IV



ლითონის ნემსკავები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან
Metal fishing hooks from the seaside of southwestern Georgia

გიორგი თავამაიშვილი

ისტორიის დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

Dr. Giorgi Tavamaishvili

Batumi Shota Rustaveli state University.

Niko Berdzenishvili Institute

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.02>

აბსტრაქტი: წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება მეთევზეობასთან დაკავშირებულ არტეფაქტებს, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლშია მიკვლეული. კერძოდ, განხილულია ქობულეთ-ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, პეტრას ციხის და ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის სათევზაო ნემსკავები. ყველაზე ადრეული ბობოყვათის დიუნურ სადგომებზე მიკვლეული ბრინჯაოს ნემსკავებია, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ყველაზე დიდი რაოდენობით ნემსკავები აღმოჩენილია ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე, სადაც ისინი სათევზაო ბადის ტყვიის საძირავებთან ერთად დაკრძალულებს საფლავში ჰქონდათ ჩაყოლებული. ფიჭვნარის ბრინჯაოს ნემსკავები, თანმხლები მასალის მიხედვით, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება. პეტრა-ციხისძირის ნემსკავები რკინის და ბრინჯაოსგანაა დამზადებული. ისინი შეგვიძლია ახ.წ. VI საუკუნით დავათარილოთ.

საკვანძო სიტყვები: ფიჭვნარი; პეტრა-ციხისძირი; სათევზაო ნემსკავები; სათევზაო ბადის ტყვიის საძირავები;

Abstract: The paper deals with fishery-related artefacts found in the coastal zone of southwestern Georgia. In particular, the fishing lead sinkers of copper, bronze and iron found in the Hellenistic era cemetery of Kobuleti-Phichvnari, in the inner fortress of Petra-Tsikhisdziri and in the vicinity of the fortress are discussed. The earliest traces of Bobokvati are found in the dune sites of bronze, which date back to VIII-VII centuries BC. The largest numbers are found in the Hellenistic cemetery of Phichvnari, where they were buried with the lead sinkers of fishing nets buried in the grave. Phichvnari bronze fishing hooks are dated back to IV-III BC. The fishing hooks found in Tsikhisdziri are made of iron and bronze. We can date Petra-Tsikhisdziri fishing hooks to VI A.D.

Keywords: Phichvnari; Petra-Tsikhisdziri; Fishing hooks; Fishing lead sinkers.

ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლების არქეოლოგიური კვლევის პროცესში იშვიათად გვხვდება თევზსაჭერი იარაღები. ეს რეალობა გარკვეული ობიექტური მიზეზებით

არის განპირობებული, რის თაობაზე, ამჯერად, არ შევჩერდებით. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ მეთევზეობასთან დაკავშირებული არტეფაქტების ერთი კონკრეტული ჯგუფი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლშია აღმოჩენილი. კერძოდ, ვისაუბრებთ ლითონისგან დამზადებული სათევზაო ნემსკავების შესახებ, რომლებიც ქობულეთ-ფიჭვნარსა და პეტრა-ციხისძირშია მიკვლეული.¹

თევზჭერის მრავალსაუკუნოვან პრაქტიკაში ანკესით თევზაობა, სხვადასხვა ეპოქის და გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ხალხისთვის, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენდა (Galili, Rosen, 2007:10). მკვლევართა აზრით, ანკესით თევზაობის პოპულარობა იმითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ თევზჭერის ამ მეთოდს შედარებით მარტივი იარაღები და ნაკლები ემპირიული გამოცდილება სჭირდებოდა (King, 2013:12). ალბათ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, პოპულარობის მიუხედავად, ანკესით თევზაობა დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩეოდა (Giron, 2012: 226). ის კონკრეტული ოჯახის ყოველდღიური კვების მარაგის შესავსებად შეიძლება ყოფილიყო საკმარისი და ამ პრაგმატული თვალსაზრისით - გამართლებული (Bekker-Nielsen, 2003: 90).

თევზსაჭერი იარაღები, რომლებიც შექმნეს სხვადასხვა დროს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, ხშირ შემთხვევაში, ძალიან ჩამოგავს ერთმანეთს, ზოგჯერ კი, ფაქტობრივად, იდენტურიცაა. ძნელი გასარკვევია, ეს იარაღები დამოუკიდებლად შეიქმნა სხვადასხვა ცივილიზაციებში და ადამიანთა ინტელექტუალმა შესაძლებლობებმა განაპირობა მსგავსი შედეგის მიღება, თუ ეს გამოცდილება გავრცელდა მიგრაციების და კულტურული გაცვლის გზით (Sahrhage, Lundbeck, 1992:8). ასევე, თვალშისაცემია საუკუნეთა მანძილზე ნემსკავების ფორმათა სტაბილურობა, რაც გარკვეულ პრობლემებსაც კი ქმნის აღნიშნული არტეფაქტების დათარიღების დროს (Romanović, 2016:21).²

ქართულ სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში ნემსკავები ზოგჯერ ანკესის, ზოგჯერაც ნემსკავის სახელით გვხვდება.³ წარმოდგენილ ნაშრომში, ჩვენ ამ ნაკეთობებს მოვიხსენიებთ ნემსკავის, ხოლო თევზსაჭერ მოწყობილობას, რომელიც წარმოადგენს ნემსკავის, ძაფის/ძუის და ჯოხის ერთობლიობას - ანკესის სახელით.

არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ ადრეული ნემსკავები სხვადასხვა მასალით (ქვა, ხე, ძვალი, მოლუსკის ნიჟარა, კაჟი, კუს ბაქანი, ცხოველის ბრჭალი, ფრინველის ნისკარტი და ა.შ.) მზადდებოდა. უცნობია, როდის გაჩნდა პირველად იდეა ნემსკავის შექმნისა. არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნემსკავებს გვიანი პალეოლითის ხანიდან მოიხმარდნენ, ხოლო ნედლეულად იმ მასალას არჩევდნენ, რომელზეც,

¹ ნაშრომში მოტანილი მასალა იხსნება ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში. მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გაგვიწიეს მუზეუმის თანამშრომლებმა, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებ.

² კუნძულ კრეტაზე აღმოჩენილი ძვ.წ. 2400 წლით დათარიღებული ბრინჯაოს ნემსკავები, ფორმით და დეტალების დამუშავებით, არ განსხვავდება ანტიკური პერიოდის ნემსკავებისგან (Castleden, 2001:114).

³ ტერმინის განმარტებისთვის: ანკესი „წვლილი ნემსკავი“ (სულხან-საბა, 1991:57); „ანკესი: ნემსკავი, წილკავი“ (ნეიმანი, 1951:18); „ანკესი: 1. თევზის საჭერი წვრილი, წვეტიანი კაუჭი რკინისა; 2. სათევზაო მოწყობილობა - გრძელი, მოქნილი ჯოხი, რომელზედაც მიმაგრებულია კედი და მასზე გამოზმული ეს კაუჭი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1990:70). ქართველურენოვან სივრცეში „ანკესი“ ბერძნულიდანაა (αγκίστρι) შემოსული (ბუკია, 2013: 279). დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ტერმინი „ანკესი“, აღმოსავლეთში კი - „ნემსკავი“ (მირიანაშვილი, 1975:100-101).

კონკრეტულ ეპოქაში და რეგიონში, ხელი უფრო მიუწვდებოდათ (ქვა, ნიჟარა, ძვალი, ხე).⁴ მოგვიანოდ, ნემსკავეების დასამზადებლად ლითონის (სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის) მასალის გამოყენებამ, შესაძლებელი გახადა უფრო დახვეწილი და მტკიცე სათევზაო იარაღის შექმნა (Saly, Gipson...2007:1). ძვ.წ. 3500-3000 წლებისთვის ეგვიპტელები თევზს იჭერდნენ მარტივი სპილენძის ნემსკავეებით (Anson, 1932:20), რომელსაც XII დინასტიის დროს წვეროზე ფხა დაუმატეს (Gaur, Sundaresh, 2004:514). XVIII დინასტიის ეგვიპტელები უკვე ბრინჯაოს ფხიან ნემსკავეებს იყენებდნენ (Diab, 2015:4). ძვ.წ. IV-III ათასწლეულებში სპილენძის და ბრინჯაოს ფხიანი ნემსკავეებით თევზაობდნენ სპარსეთის ყურესა და სამხრეთ-დასავლეთ ირანში (Potts, 2012:226) ძველი ბერძნები ძვ.წ. II-I ათასწლეულებში ბრინჯაოს ნემსკავეს ანიჭებდნენ უპირატესობას (Mylona, 2014). რომაელები რკინის, სპილენძისა და ბრინჯაოს ნემსკავეებით თევზაობდნენ, რომლებსაც თევზის სიდიდის მიხედვით არჩევდნენ. ნემსკავეების ევოლუციის კონტექსტში ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალას თუ მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ ტექნიკური პროგრესის მიუხედავად, სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები და განსხვავებული კულტურული ტრადიციების მატარებელი ხალხი, ორგანული მასალისგან დამზადებულ ნემსკავეებს დიდხანს მოიხმარდა. იგივე შეიძლება ითქვას ბრინჯაოს ნემსკავეებზე, რომელთაც მეთევზეები XI საუკუნის ჩათვლით იყენებდნენ (Sahrhage, Lundbeck, 1992:12).

ლითონის ნემსკავეების ფორმათა ნაირგვარობის მიუხედავად, ანკესით თევზაობა არ წარმოადგენდა უნივერსალურ მეთოდს ყველა სახეობის თევზის დასაჭერად. მკვლევართა აზრით, ლითონის ნემსკავეების ფორმირების ადრეულ ეტაპზე, პრობლემური იქნებოდა ნემსკავეის გამოყენება ე.წ. ფილტრატორებზე ან სოლეიდებზე, რადგან ამ უკანასკნელთა პატარა და ვიწრო ყბები მხოლოდ პლანქტონის, ან მცირე ზომის უხერხემლოთა გადამუშავებაზე იყო მორგებული. გაჭირდებოდა ნემსკავით იმ თევზების დაჭერა, რომელთა სიგრძე არ აღემატებოდა 30 სმ-ს, და პირიქით, ადრეულ პერიოდში ასევე რთული იქნებოდა 20კგ და მეტი წონის თევზების დაჭერა, რადგან, ნემსკავი თუ არა, ძუა ვერ გაუძლებდა დაწოლას (Romanović, 2016:27).⁵ ამ ჩამონათვალს უნდა დავუმატოთ თევზები, რომლებსაც ბასრი კბილებით მარტივად შეეძლოთ ნემსკავეზე დამაგრებული თოკის გადაკვნეტა. ფაქტობრივად, დასახელებული ჯგუფების გარდა, ზღვებსა და მდინარეებში, შესაძლებელი იყო ნემსკავიანი ანკესით ყველა სახეობის თევზის დაჭერა (Giner, 2010:41).


ქართველი მკითხველი არ არის განებივრებული, როგორც, ზოგადად, თევზჭერის, ასევე თევზჭერის იარაღების შესახებ სპეციალური ნაშრომებით. ამიტომ, სანამ უშუალოდ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში აღმოჩენილ ლითონის ნემსკავეებზე ვისაუბრებთ, გვსურს, მხოლოდ ზოგადად, ამ ტიპის ნაკეთობათა კლასიფიკაციის და ტერმინოლოგიის თაობაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

ნემსკავეების კლასიფიკაცია ეფუძნება ტიპოლოგიურ და ფუნქციონალურ პრინციპებს.

⁴ ყველაზე ძველი, 16-23 ათასი წლის წინანდელი, მოლუსკის ნიჟარისგან დამზადებული ნემსკავეები აღმოჩნდა პუნძულ ოკინავაზე (იაპონია) და ჯერემილას გამოქვაბულში (აღმოსავლეთ ტიმორი) (Pajdla, 2014:16).

⁵ მეთევზეები ნემსკავის ჯოხზე მისამაგრებლად არჩევდნენ კედის, კანაფის და აბრეშუმის ძაფს (მირიანაშვილი, 1975:101). რომაელები უპირატესობას ანიჭებდნენ ცხენის ძუას და სელს. ძუის ფერი თეთრი, რუხი ან წითური უნდა ყოფილიყო. ძუას ასევე ღებავდნენ ლურჯ-ნაცრისფერ ან ლურჯ-მეწამულ ფერებში, რადგან თვლიდნენ, რომ, მზეზე ტალღა მოლურჯო ფერს კარგად მაღავდა (Urteaga Artigas, 2002: 114).

ტიპოლოგიურ პრინციპს საფუძვლად უდევს მორფოლოგიური მახასიათებლები, ფუნქციონალური კი ეყრდნობა ანკესის მორფომეტრული კომპონენტების ერთობლიობას, რომლის შემადგენელ ნაწილს ნემსკავი წარმოადგენს (Ляшкевич, 2004:191; Мекa, 2004: 1309-1311).⁶ ნემსკავების მორფოლოგია და სპეციფიკურ ნიშანთა ერთობლიობა შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას მათი ფუნქციონალური დანიშნულების შესახებ. მკვლევართა აზრით, ნემსკავების ზომის და სხვა მახასიათებლების (ღეროს სიდიდე, წვეროს მორკალვის კუთხე, ყელის და ფხის სიდიდე და ა.შ.) ანალიზი იძლევა საშუალებას გავერკვეთ, როგორც თევზჭერის ძველ მეთოდებში, ასევე დავადგინოთ ის სახეობები, რომლებზეც თევზაობდნენ სხვადასხვა ეპოქის და რეგიონის მეთევზეები (Pedergrana...2021:9).



ლითონის ნემსკავები ძირითადად ერთი, ორი და სამკაუჭიანია. უფრო გავრცელებული ერთკაუჭიანი ნემსკავებია. ფორმის მიხედვით ერთკაუჭიან ნემსკავებშიც ათეულობით ვარიანტი გამოიყოფა. ყველაზე პოპულარული „მრგვალად მორკალული“ („round bend“) (ლათინური ასო “J”-ს ფორმის) და „წრიული“ („circle“) ლათინური ასო “G”-ს ფორმის) ნემსკავებია. არსებითი განსხვავება “J” და “G” ტიპის ნემსკავებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ წრიული ნემსკავების ღერო შიგნითაა ჩაბრუნებული, წვერო ღეროსკენ, ფხა კი მორკალული ძირისკენ პერპენდიკულარულად არის მიმართული. რაც შეეხება “J” ფორმის ნემსკავებს (რომელთაც ლათინურ ასო “U”-საც ამსგავსებენ და ზოგჯერ ასეც მოიხსენიებენ), მათი ღერო სწორია,

იშვიათად შიგნით ან გარეთ გადახრილი: წვერო, ღეროს პარალელურად, ფხა კი მორკალული ძირისკენ პერპენდიკულარულადაა მიმართული (Saly, Gipson...2007:5). ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო განსხვავება, კონკრეტულ ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს სხვადასხვა სახეობის თევზების დასაჭერად ნემსკავის შერჩევის დროს.⁷ პროფესიონალთა აზრით, ყველაზე ოპტიმალური ნემსკავის ის ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს ნემსკავის თავისუფალ შეღწევას თევზის პირის


⁶ თუმცა, მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მორფოლოგიური პრინციპით კლასიფიცირების დროს ძირითადად აქცენტი კეთდება ფორმალურ მახასიათებლებზე და უგულვებელყოფილია ფუნქციური თავისებურებები. მათ უფრო მართებულად მიაჩნიათ ნემსკავების კლასიფიცირება სარეწაო ხასიათის მიხედვით, რაც ძირითადად ეფუძნება ნემსკავის ღეროს მორკალვის რადიუსის მაჩვენებელს. ამ შემთხვევაში გამოიყოფა ნემსკავები, რომლებსაც იყენებენ ანკესით თევზაობის დროს (მორკალვის R-1სმ.) და ნემსკავები, რომელთაც იყენებენ სხვა მოწყობილობით თევზაობის დროს (მორკალვის R-1სმ-ზე მეტი) (Кыза, 2016:61).

⁷ “J” ფორმის ნემსკავებს „ჩვეულებრივსაც“ უწოდებენ, ან ხატოვნად „დაიჭირე-გაუშვის“ სახელით მოიხსენიებენ. ფორმა “G” ნემსკავებისთვის არ ახალია: ნიჟარისგან დამზადებული მსგავსი ფორმის ნემსკავები მიკვლეულია ლათინური ამერიკის კოლუმბამდელი პერიოდის სამარხების გათხრების დროს (Circle Hook Definition...2003:5). ისინი პოპულარული გახდნენ გავრცელებული შეხედულების გამო, რომ მათი ჩახვეული წვერო, მეტწილად, თევზის პირის ღრუს და ყბებს ებმება და არ აზიანებს შინაგან ორგანოებს, რაც დადებითად აისახება თევზის პოპულაციის შენარჩუნებაზე (McGrath, Butcher...2011; Lukacovic, Uphoff, 2002: 97-100). მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერსია ბოლომდე არ არის შესწავლილი, თანამედროვე ნემსკავების უმეტესობა „G“ ფორმის საფუძველზეა დამზადებული (Circle Hook Definition ... 2003:5).

ღრუში, ამავე დროს, მინიმუმამდე დაჰყავს ნემსკავიდან თევზის დაძვრენის შესაძლებლობა (Brinkhuizen, 1983:13).

მიუხედავად იმისა, რომ ანკესით თევზაობის დროს სხვადასხვა ფორმის და ზომის ლითონის ნემსკავები გამოიყენება (შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის განსხვავება ძირითადად განპირობებულია ზღვის და მტკნარ წყალში თევზჭერის სპეციფიკური ხასიათით) (Romanović, 2016: 19). ფაქტობრივად, ყველა მათგანს ერთი და იგივე საბაზო ანატომია გააჩნია, თუმცა, სამეცნიერო და პოპულარული ხასიათის ნაშრომებში ნემსკავების პარამეტრებიდან რამდენიმე დეტალი გამორჩეულად არის აქცენტირებული:

1. წვერო (ინგლ. Point), რომელზეც სატყუარა მაგრდება; 2. ფხა (ინგლ. Barb), რომელიც წვეროს საწინააღმდეგო მხარეს არის მიმართული და ნემსკავზე წამოგებულ თევზს არ აძლევს თავის დახსნის საშუალებას; 3. ნალუნი (ინგლ. Bend) ნემსკავის ძირის მოხრილი ნაწილი; 4. ღერო (ინგლ.



Shank), მონაკვეთი ყუნწიდან ნალუნამდე; 5. ყელი (ინგლ. Throat) სივრცე ნალუნიდან წვერომდე; 6. დრიჭო (ინგლ. Gap/ Gape) სივრცე ღეროსა და წვერს შორის; 7. ყუნწი/ თვალი (ინგლ. Eye), რომლითაც ნემსკავი მაგრდება ძუაზე ან ძაფზე;⁸ ნემსკავის სიმაღლე იზომება მორკალული გვერდის ძირიდან ყუნწამდე, სიგანე - მორკალვის დასაწყისიდან ფხამდე. რუსულენოვან ნაშრომებში ნემსკავის მორკალულ მონაკვეთს ორ ნაწილად ყოფენ: მორკალული ძირის შუა წერტილიდან ფხამდე მონაკვეთს შუბლს (Лон) უწოდებენ, ხოლო შუა წერტილიდან საწინააღმდეგო მხარეს, ფხის პირდაპირ - კეფას (Затылок). ასევე გამოყოფენ ღეროზე დატანილ ე.წ. წვეტანებს (Зазурина), რომელიც ხელს უშლის ნემსკავიდან სატყუარას ჩამოცურებას.


ადრეული ლითონის ნემსკავების დამზადების ორი მეთოდი არსებობდა: მავთულის უბრალო მოღუნვით, ან გაბრტყელებით. იმ ნემსკავებს, რომლებიც მავთულის მოღუნვით მზადდებოდა, ღერო ჭრილში მრგვალგანივკვეთიანი აქვს, ხოლო გაბრტყელებით დამზადებულს - ოვალურგანივკვეთიანი (Saly, Gipson...2007:6). როგორც ჩანს ეს დეფინიცია არ არის უნივერსალური, რადგან ჩვენთან აღმოჩენილ ნემსკავებს (ამის თაობაზე დაწვრილებით კიდევ ვისაუბრებთ) ღერო და წვეროსკენ მორკალული ნაწილი (ნალუნი) ჰორიზონტალურ ჭრილში ხან მრგვალი, ხან კიდევ ოვალურგანივკვეთიანი.

როგორც უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობს, რომ ჩვენ რეგიონში თევზჭერით ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანაში იყვნენ დაკავებულნი. მართალია, ამ ეპოქის ნემსკავები ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, მაგრამ ნეოლითურ ხანის ნამოსახლარებზე (მახვილაური) აღმოჩენილია გვერდებამოდარული ბრტყელი ქვები, რომლებიც სათევზაო ბადის საძირავებად არის მიჩნეული (გოგიტიძე, 1977:8). არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ქვის ხანაში, ადგილობრივები

⁸ ლითონის ნემსკავის ყუნწი ძირითადად ორი ტიპისაა: თვალის/ზეჭდის (მრგვალი) და ნიჩბის (ბრტყელი) ფორმის. რაც უფრო დიდია ნემსკავი - დიდია ყუნწი, რაც უფრო დიდია ყუნწი - უფრო გრძელი ძუის წამოგება შეიძლება ნემსკავზე. ნემსკავის ღეროს სიგრძესაც პრაქტიკული დატვირთვა ჰქონდა: მოკლეღეროიან ნემსკავებს უფრო მეტად იყენებდნენ მტკნარ წყალში, ხოლო გრძელღეროიანებს - ზღვაში სათევზაოდ.

ანკესით თევზაობას არ წყალობდნენ,⁹ ან კიდევ (ეს ვერსია უფრო დამაჯერებლად ჩანს), ისინი ნემსკავებს ისეთი ორგანულ მასალისგან ამზადებდნენ (ხე, ძვალი), რომლებიც, სამწუხაროდ, დრო-ჟამთან მიმართებაში დიდი მედეგობით არ გამოირჩევიან. რეგიონის სპეციფიკურმა გეოგრაფიულმა პირობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღნიშნული არტეფაქტების განადგურებას.¹⁰

თუ კვლავ არქეოლოგიურ მასალას მოვიშველიებთ, ცხადი ხდება, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მეთევზეობით მომდევნო ეპოქებშიც აქტიურად იყო დაკავებული, რის



მატერიალურ დადასტურებას წარმოადგენს გვიანბრინჯაო-ადრერკინის, წინაანტიკური, ანტიკური, ადრე და გვიანი შუასაუკუნების ძეგლებზე აღმოჩენილი სათევზაო ბადის ორმხრივ და ცალმხრივ ამოღარული ქვის საძირავები (ინაიშვილი, 1977:102, ტ. XXXVII; თავამაიშვილი, 2012:79, ტაბ.23; Микеладзе, Хахუთაიშვილი, 1985:26; კახიძე, მამულაძე, 1988: 59; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:90. ტ. XVII-XIV), ლითონის (სპილენძი, ბრინჯაო, რკინა) ნემსკავები (თავამაიშვილი, 2012; კახიძე, ვაშაკიძე, 2010:90; კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013:39, ტ.X-XI), ტყვიის და ბრინჯაოს ბადის საძირავები (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 90).¹¹

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლში ყველაზე ადრეული ლითონის

⁹ წინა დინასტიურ პერიოდში არც ეგვიპტელები მეთევზეები იყენებდნენ ნემსკავებს და მხოლოდ ბადით თევზაობდნენ (Diab, 2015:2). ავსტრალიელი აზორიგენების თითქმის ყველა მითში საუბარია შუბით თევზაობაზე, იშვიათადაა მოხსენიებული ბადე, საერთოდ არაფერია ნათქვამი ანკესით თევზაობის შესახებ. ეთნოგრაფიული მასალებითაც, არც მატერიკული სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებში არ დასტურდება ტრადიცია ნემსკავის გამოყენებისა (Мосиаш, 2012:5). ჩათალ-ჰუიუკის ქვის ხანის ძეგლების გათხრების დროს 16 ათასამდე თევზის ჩონჩხი აღმოაჩინეს, მაგრამ, მხოლოდ ერთ ნემსკავს მიაკვლიეს, რაც უნდა მიუნიშნებდეს, რომ ადგილობრივები, ძირითადად, ბადით და სატყუარათი თევზაობდნენ (Pajdla, 2014:22).

¹⁰ მკვლევართა დაკვირვებით, რადგან საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე თევზჭერა არ ითხოვდა სპეციალურ ინსტრუმენტებს, ამიტომ, ზოგ ძეგლზე, თევზაობის არსებობის კვალი შეიძლება ვერც კი შევამჩნიოთ (Gartside, Kirkegaard. 2009:105; O'Connor, Ono, Clakson:2011:1117-1121). ადრეულ ეტაპზე სათევზაო არტეფაქტების არქეოლოგიური დეფიციტი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ სანაპიროსთან მცხოვრებლები თევზს ყვინთვით იჭერდნენ, რისთვისაც კალათის და ქვის გარდა სხვა სპეციალური საშუალებები არ სჭირდებოდათ (Brinkhuizen, 1983:13; Galili, Zemer, Rosen, 2013:146). ეთნოგრაფიული კვლევა ადასტურებს, რომ გამოცდილი მეთევზისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა შიშველი ხელებით თევზაობაც (Ono, 2010:269; Potts, 2012:225; ქენქაძე, 2011:44), რაც უფრო პროდუქტიული იყო სანაპირო ზოლში ზღვის მოქცევა/მიქცევის დროს (Куманцов, Райков, 2012:4). რაც შეეხება ბადით თევზაობას, ამ დროს, ტრადიციულად, ბრტყელი გვერდებამოღარული ქვის საძირავებს მოიხმარდნენ. ძველი მეთევზეები დიდ თევზებზე სანადიროდ ზოგჯერ საბრძოლო იარაღსაც იყენებდნენ, რასაც, აღმოჩენის შემთხვევაში, ჩვენ, დიდი ალბათობით, სათევზაო იარაღად ვერ ან არ აღვიქვამთ.

¹¹ საქართველოს ადრეული ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლებზე ლითონის ნემსკავები იშვიათად გვხვდება. მხოლოდ ერთეული ნიმუში დასტურდება საგვარჯილეს ენეოლითურ ძეგლზე (ნებიერიძე, 2010: ტაბ. XXII-14), და ორჭოსანის ადრეობრივჯაოს ნამოსახლარზე (ორჯონიკიძე, ჯიბლაძე, 2010:135, ტაბ. II- 6,7,8)

ნემსკავეები ცნობილია ბობოყვათის ე.წ. „დიუნური სადგომიდან“. ნემსკავეებთან ერთად სადგომებზე აღმოჩენილია ორმხრივ და ცალმხრივ ამოდარული საშუალო ზომის ბრტყელი ქვებისგან დამზადებული სათევზაო ბადის საძირავეები. ბობოყვათის ნემსკავეები ბრინჯაოს ნაკეთობებია. ისინი ცუდად არის შენახული, რაც არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ მათი აღმოჩენის პირობებს. შედეგად, არცერთ ნიმუშზე, ფაქტობრივად, არ არის შემორჩენილი ფხა, ყუნწი და წვერო. ნემსკავის ზომებია: სიმაღლე - 4,8სმ/4,4 სმ. სიგანე - 1,6სმ/ 1,4სმ. ღეროს D-0,15 სმ. სივრცე ნემსკავის ღეროსა და წვეროს შორის 1,4სმ/1,1სმ. ბობოყვათის დიუნური სადგომის ნემსკავეები, თანმხლებ მასალასთან ერთად, ძვ.წ.VIII-VII საუკუნეებით თარიღდება (თავამაიშვილი, 2012: 79, ტაბ. 23)

საქართველოს ზღვისპირა ზოლში ლითონის ნემსკავეები ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე. ისინი, მეტწილად, სათევზაო ბადის ტყვიის საძირავეებთან ერთად¹² დაკრძალულებს სამარხ ორმოში ჰქონდათ ჩაყოლებული (კახიძე, ვაშაკიძე, 2010; კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013).¹³

1. 1982 წელს № 137 სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი ნემსკავი,¹⁴ ხოლო იქვე, სამარხის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, დაკრძალულს ჩაყოლებული იყო სათევზაო ბადის 7 ცალი ტყვიის საძირავი.

ნემსკავი სპილენძის მავთულისგანაა დამზადებული. კორპუსი „J“ ფორმისაა. ნემსკავის ღერო ჭრილში მრგვალგანიკვეთიანია, რადგან ღერო და ნალუნიც გაბრტყელებით არ არის გამოყვანილი. ღერო ყუნწისკენ და წვეროსკენ შევიწროვებულია. ყუნწის შემორჩენილი ნაწილი ოდნავ გარეთაა გადაშლილი. როგორც ჩანს, წვერო ფხით იყო გაფორმებული, რომელიც მომტვრეულია. სავარაუდოდ, ყუნწიც გაბრტყელებით უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, რაც ამჟამად მკაფიოდ არ იკითხება. ნემსკავის სიმაღლე 5.4 სმ-ია. სიგანე 2.5 სმ. სივრცე ღეროს და მორკალულ ნაწილს შორის შეადგენს 1.9 სმ-ს. ნემსკავის წონა 4.85 გრამია (ტაბ.1-1).

2. 2010 წელს №292 სამარხში დაკრძალულის მარცხენა ხელთან აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი ნემსკავი (ტაბ.1 12-13-14) და სამი ტივტივა.¹⁵

¹² მკვლევართა ზრით, ბადის საძირავეებად ტყვიის მასალის გამოყენება მნიშვნელოვანწილად განპირობებული უნდა ყოფილიყო ტყვიის მაღალი კუთრი წონით და, რაც ყველაზე არსებითია, წყალთან სისტემატიური კონტაქტის მიუხედავად თვისებების შეუცვლელობის გამო (Giron, 2012:219).

¹³ ნემსკავეები ჩაყოლებული იყო კიორტიკ-თეფეს ნეოლითური ხანის სამარხებში (Riehl, Siebert, Alt, Özkaya, 2010). სამარხში სათევზაო ინვენტარის ჩაყოლების ფაქტი დასტურდება კლასიკური ხანის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის სამაროვნებზეც (Парович-Пешикан, 1974:58, рис.105). ეს ტრადიცია მომდევნო ეპოქებშიც გრძელდება: ახ.წ. II-IV სს. ჰარაქსის კრემაციულ ამფორა-სამარხებში ბრინჯაოს ნემსკავეებიცაა აღმოჩენილი (Блавадский, 1951:259,262). ახ.წ. VII-VIII საუკუნეების ბოსფორის სამაროვანზე დაკრძალულ მამაკაცს ჩანთაში რამდენიმე ნემსკავიც ჰქონდა ჩაყოლებული (Хайрединова, 2013:288, рис. 2а). ნემსკავს სამარხში აყოლებდნენ ახ.წ. II-IV საუკუნეების ალბანეთში (Асланов, 1962:66). ნემსკავეების სამარხში აღმოჩენის ფაქტი დასტურდება XI-XII საუკუნეების თურქი პეჩენიგების სამაროვანზე (Агаджанов, 1969: 96).

¹⁴ მკვლევრები მათ ანკესის სახელით მოიხსენიებენ (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:227). მეორე ნემსკავი დაზიანებული აღმოჩნდა, რამაც გაართულა მისი სამარხიდან ამოღება. ამდენად, კონკრეტული ნიმუშის შესახებ ვერ ვისაუბრებთ.

¹⁵ ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია ამ ნივთების ტივტივებად მოხსენიება. უპირველეს ყოვლისა, ისინი ბრინჯაოს ნაკეთობებია და საკუთარი წონის გამო წყლის ზედაპირზე ვერ იტივტივებდნენ და ვერ შეასრულებდნენ

აღნიშნული ნემსკავები ფიჭვნარში აღმოჩენილ სხვა ნემსკავებთან შედარებით პატარა ზომისაა. სამივე ნემსკავი ერთმანეთთან სქელი პატინის ნადებით არის შეერთებული (ერთი ნემსკავი შედარებით ცალკეა გამოყოფილი, ორი კი ერთიმეორეზეა დადებული და ჟანგით შეერთებული), რაც ართულებს სრულფასოვანი დაკვირვების და მათი განცალკევების შესაძლებლობას. ჟანგის ნადები მცირე ფრაქციის ქვიშითაც არის გაჯერებული. ნემსკავები „J“ ფორმისაა. წვერო დაზიანებულია, თუმცა ჩანს, რომ ოდნავ გარეთაა გადაშლილი. ფხა არცერთ ნიმუშზე არ არის შემორჩენილი. ორ ნემსკავზე ყუნწი იკითხება, რომელიც მავთულის გაბრტყელებით არის გამოყვანილი. ნემსკავების სიმაღლე 3.1 სმ-ია, სიგანე 1,5 სმ. სივრცე ნემსკავის წვერსა და ვერტიკალურ ღეროს შორის შეადგენს 1.1. სმ-ს. ნემსკავების ჯამური წონა 3.0 გრამია.

3. 2010 წელს №301 სამარხში მიცვალებულის მარცხენა ფეხის აღმოჩნდა ბრინჯაოს ათი ნემსკავი. სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, დაკრძალულის მარცხენა ფეხთან, აღმოჩნდა ტყვიის საძირავები (86 ცალი)(ტაბ.1), რაც მკვლევრებს აფიქრებინებს, რომ სამარხში სათევზაო ბადე იყო ჩაყოლებული (კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013:48).¹⁶

1. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 301₁). „J“ ფორმის. მორკალული ძირი, ნემსკავის სიმაღლესთან (4,6 სმ.) მიმართებით, სქელია (0,4 სმ.), ჭრილში მრგვალგანივკვეთიანი ღერო ყუნწისკენ შევიწროვებულია (0,15სმ.) და ოდნავ გარეთაა გადაშლილი. ყუნწზე შემორჩენილია დახვეული ძაფის/ძუის 5 რიგი. წვერო მცირედ წაწვეტებულია (სავარაუდოდ, დამუშავებული), ფხის გარეშე. ნემსკავის სიგანე 2.3 სმ-ია. სივრცე ვერტიკალურ ღეროსა და წვეროს შორის 2.2 სმ-ია. ნემსკავის წონა შეადგენს 5.0 გრამს.

2. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 301₂). „J“ ფორმის. წინა ნიმუშთან შედარებით კარგადაა შემონახული. კორპუსის ღეროს მორკალული ნაწილი სქელია (0.1 სმ), ჭრილში მართკუთხაგანივკვეთიანი. ნემსკავის სიმაღლე 4.6 სმ-ია, სიგანე - 2,6სმ. ნემსკავის ღერო ყუნწისკენ გაბრტყელებულია და მორკალულ ნაწილზე უფრო ფართოა (0.2 სმ.). სივრცე ვერტიკალურ ღეროსა და წვეროს შორის შეადგენს 1.8 სმ-ს. წვეროზე ფხა გამოკვეთილია და მორკალული ძირისკენ პერპენდიკულარულადაა მიმართული. ყუნწი ბოლოსკენ, ძუის შესამაგრებლად, ღეროსთან შედარებით უფრო ფართოდაა გაბრტყელებული, მასზე შემორჩენილია ნემსკავზე დახვეული ძაფის 6 რიგი. ნემსკავის წონა 6. 30 გრამია.

3. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 301₃). „J“ ფორმის. წინა ნიმუშებთან შედარებით ვიწროა. კორპუსის ღერო მორკალული ნაწილისკენ გაბრტყელებულია, ყუნწისკენ კი მომრგვალებული

ტივტივას ძირითად ფუნქციას: საჭირო სიღრმეზე შეაკავოს ნემსკავი, თავისი სატყუარით. ძველი მეთევზეები ტივტივებისთვის მსუბუქ მასალას არჩევდნენ (ხის ქერქი, ფრინველის ფრთა). მაგალითად, რომელი მეთევზეები ტრადიციულად იყენებდნენ კორპის (მუხის ქერქის) ტივტივებს (Urteaga Artigas, 2002: 114).

¹⁶ სათევზაო ბადის ტყვიის საძირავები ფიქსირდება ელინისტური ხანის სამაროვნის იმ სამარხებშიც, სადაც ნემსკავი არ იყო ჩაყოლებული: სამარხი №3 (3 ცალი) (კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 262, ტაბ.17-3) სამარხი №209 (60 ცალი) (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:236, ტაბ. 156). მიჩნეულია, რომ ფურცლოვანი ტყვიის საძირავები მეტწილად გამოიყენებოდა მოსასროლი ბადეების ე.წ. „ἀμφίβλητρον“-თვის (Galili, Zemer, Rosen, 2013:151; Romanović, 2016:47). არ გამორიცხავენ მათ გამოყენებას უტილიტარული დანიშნულებითაც (ფრინველებზე სანადიროდ, ქალის კაბის დასაჭიმდაც კი!) (Dütting, Hoss, 2014:433). ცალკე ტყვიის საძირავების დათარიღება რთულია: მეთევზეები მათ ჯერ კიდევ გვიანი ბრინჯაოს ხანიდან იყენებდნენ. სამწუხაროდ, დღეს ტყვიის საძირავების სრულყოფილი მონაცემთა ბაზა ჯერ კიდევ არ არსებობს, რომელიც ამ არტეფაქტების ძირითად პარამეტრებზე (ზომა, წონა) იქნებოდა აგებული (Sharvit, 2013:242). ფიჭვნარის სამაროვნის ტყვიის საძირავების დათარიღება შედარებით ადვილია, რადგან ისინი დახურულ კომპლექსებშია აღმოჩენილი.

და კონუსისებრად წაწვეტებული. უშუალოდ ყუნწი, როგორც წესი, გამოყვანილია გაბრტყელებით (სიგანე 0.3 სმ). მასზე შემორჩენილია ძაფის 5 რიგი. ნემსკავის წვეროს ბოლო მომტვრეულია. წვერო, სავარაუდოდ, ფხიანი უნდა ყოფილიყო. ნემსკავის სიმაღლე 4.6 სმ-ია, სიგანე 2,4 სმ. ნემსკავის წონა შეადგენს 4.30 გრამს.

4. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. №3014). „J“ ფორმის. ნემსკავის მორკალული ნაწილი ვერტიკალურ ღეროზე ვიწროა (სიგანე 0,15სმ.) ყუნწი გაბრტყელებულია. ყუნწის ქვემოთ, ღეროზე, წრიულად შემორჩენილია ჰორიზონტალური ნაჭდევები, რომელიც ნემსკავზე ოდესღაც სპეციალურად დატანილი ღარების ან დახვეული ძაფის კვალი უნდა იყოს.¹⁷ ნემსკავის წვერო დაზიანებულია, მომტვრეული აქვს ფხის ნაწილიც. ნემსკავის სიმაღლე - 4.5 სმ-ია, სიგანე 2.2სმ. წონა შეადგენს 4.75 გრამს.

5. ნემსკავი (ქ.ფ. 2010 საინვ. № 3015). „J“ ფორმის. ნემსკავის ვერტიკალური ღერო მრგვალგანივკვეთიანია, მორკალული ნაწილი კი მართკუთხაგანივკვეთიანია, გაბრტყელებული. ვერტიკალური ღერო მორკალულ ნაწილთან შედარებით 0.2 სმ-ით ფართოა. სივრცე წვეროს და ვერტიკალურ ღეროს შორის შეადგენს 2.0 სმ-ს. ყუნწი გამოყვანილია გაბრტყელებით, ყუნწის ქვემოთ შემორჩენილია ძაფის ორი ჰორიზონტალური რიგი. წვეროს ბოლო მომტვრეულია. იგი გაფორმებული უნდა ყოფილიყო ძირისკენ მიმართული ფხით. ნემსკავის სიმაღლე - 4.4 სმ-ია, სიგანე 2.4 სმ. წონა შეადგენს 4.70 გრამს.

6. ნემსკავი (ქ.ფ. 2010 საინვ. № 3016). „J“ ფორმის. ნემსკავის ვერტიკალური ღერო და მორკალული ნაწილი ბრტყელია, ჭრილში მართკუთხაგანივკვეთიანი. ბოლოსკენ წაწვეტებული ყუნწი გამოყვანილია გაბრტყელებით (სიგანე -0.4 სმ), წვერო გადაღეჭილი, ოდნავ შიგნით, ღეროსკენ, გადახრილი. ფხა მომტვრეული, ოდნავ შემორჩენილი. ნემსკავის სიმაღლე -4.6 სმ, სიგანე 2.6 სმ. წონა შეადგენს 5.05 გრამს.

7. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 3017). „J“ ფორმის. ნემსკავის ვერტიკალური ღერო ჭრილში მრგვალგანივკვეთიანია, საკმაოდ სქელი (0,2 სმ). მორკალული ნაწილი გაბრტყელებულია, ჭრილში მართკუთხაგანივკვეთიანი. ყუნწი გაბრტყელებითაა გამოყვანილი. ყუნწთან შემორჩენილია ჰორიზონტალურად დახვეული ძაფის/ძუის კვალი. ნემსკავის წვერო გამოკვეთილი, ოდნავ გარეთ გადაშლილი. ფხაც ასევე მკვეთრადაა გამოკვეთილი (სიგრძე 0.7 სმ.) და მორკალული ძირისკენ პერპენდიკულარულადაა მიმართული. სივრცე წვეროს და ვერტიკალურ ღეროს შორის 1.8 სმ-ა. ნემსკავის სიმაღლე - 4.6 სმ-ია, სიგანე 2.6 სმ. წონა შეადგენს 5.65 გრამს.

8. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 3018). „J“ ფორმის. ნემსკავის ღერო მრგვალგანივკვეთიანია (0.2 სმ). მორკალული ძირის ღერო ჭრილში მართკუთხაგანივკვეთიანია, რადგან გაბრტყელებითაა გამოყვანილი. ნემსკავს წვერო და ფხა მომტვრეული აქვს. ყუნწთან შემორჩენილია ძაფის 6 ჰორიზონტალური რიგი. ნემსკავის სიმაღლე - 5.3 სმ, სიგანე 2.7 სმ. წონა შეადგენს 5.28 გრამს.

9. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 3019). კორპუსი „J“ ფორმის. ნემსკავის ვერტიკალური ღერო მრგვალგანივკვეთიანი, ყუნწისკენ კონუსისებურად შევიწროვებული ღეროს (სიგანე: მორკალული ძირისკენ - 0.4 სმ, ყუნწისკენ- 0,15სმ.). ყუნწი დაზიანებულია. შემორჩენილი ნაწილის სიგანე 0.3 სმ-ია. ყუნწთან მკრთალად იკითხება ჰორიზონტალურად დახვეული ძაფის

¹⁷ თუ ყუნწი რგოლის ფორმით ან გაბრტყელებით არ იყო გამოყოფილი, ნემსკავებზე ჰორიზონტალურ წრიულ ღარებს აკეთებდნენ, რაც ძაფის მყარად დასაფიქსირებლად იყო მოფიქრებული (Brinkhuizen, 1983:13; Galili, Zemer, Rosen, 2013:150, fig.4b).

კვალი. ნემსკავის მორკალული ნაწილი წვეროსკენ შევიწროვებულია. წვერო დაზიანებული, მომტვრეულია სავარაუდო ფხის ნაწილი, რომელიც მორკალული ძირისკენ პერპენდიკულარულად უნდა ყოფილიყო მიმართული. სივრცე წვეროს და ვერტიკალურ ღეროს შორის შეადგენს 1.9 სმ-ს. ნემსკავის სიმაღლე - 4.5 სმ-ია, სიგანე 2.4 სმ. წონა შეადგენს 4.90 გრამს.

10. ნემსკავი (ქ.ფ. 2010. საინვ. № 301¹⁰). „J“ ფორმის. ნემსკავის ვერტიკალური ღერო მრგვალგანვიკვეთიანი, ყუნწისკენ კონუსისებურად შევიწროვებული. მორკალული ნაწილი გაბრტყელებულია, ჭრილში მართკუთხაგანვიკვეთიანი. ყუნწი დაზიანებულია, სავარაუდოდ გაბრტყელებით არის გამოყვანილი. სივრცე წვეროს და ვერტიკალურ ღეროს შორის შეადგენს 1.5 სმ-ს. ღეროს სიგანე: 0.3 სმ-ია. მორკალული ნაწილის სიგანე -0.4 სმ. ყუნწთან შემორჩენილი ჰორიზონტალურად დახვეული ძაფის 6 რიგი. ნემსკავის სიმაღლე 4.1 სმ-ია, სიგანე - 2.3 სმ. სივრცე 1.5 სმ. ნემსკავის წონაა 4.3 გრამი.

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე მიკვლეული ნემსკავები, თანმხლები სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება.

ფიჭვნარის ნემსკავები ზომით განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ, უდავოა, რომ ისინი მცირე და საშუალო ზომის თევზების დასაჭერად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ყველა მათგანი „J“ ფორმისაა. ფიჭვნარის ყველა ნემსკავის ყუნწი ნიჩბის ფორმისაა და მავთულის გაბრტყელებით არის გამოყვანილი. ნემსკავების ღერო მრგვალია, ყუნწისკენ კონუსისებურად შევიწროვებული, ხოლო ნაღუნი, ნემსკავის მორკალული ნაწილი, უფრო მყარია, სქელი და გაბრტყელებითაა გამოყვანილი. №137 სამარხის ნემსკავები შედარებით დიდი ზომისაა. ღერო და ნაღუნი ჭრილში მრგვალგანვიკვეთიანია, არ არის გაბრტყელებული. №292 სამარხის ნემსკავები კი პირიქით - პატარა ზომისაა. არ გამოვრიცხავთ, რომ მათ დასამზადებლად ცუდი ხარისხის ბრინჯაო იყო გამოყენებული.

ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია № 301 სამარხში ჩაყოლებული ნემსკავები ერთი ოსტატის ნახელავად მივიჩნიოთ. მცირე განსხვავება ზომასა და წონაში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ზოგი მათგანი დაზიანებულია (მომტვრეული აქვთ წვეროს ან ყუნწის ნაწილი). ნემსკავების სიმაღლე მერყეობს 4,1-5,3 სმ-ს, სიგანე 2,2-2,7 სმ-ს, ხოლო წონა 4,3-6,3 გრამის ფარგლებში. ნემსკავების ყუნწს ქვემოთ, როგორ წესი, ძაფის/ძუის დასახვევად 5-6 რიგის სივრცეა გააზრებული. რაც არსებითია, მათი ყუნწი, ფხა, წვერო და ა.შ. ფაქტობრივად, ერთი სტილითაა გამოყვანილი.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ იყო ჩაყოლებული ამდენი ნემსკავი ერთ სამარხში. ჩვენ გამოვდივართ იმ ტრივიალური მოცემულობიდან, რომ, როგორც წესი, ერთი ანკესის ჯოხზე, ან ჯოხის გარეშე - ძუაზე, ერთი ნემსკავი მაგრდება. თუ სამარხში სათევზაო ატრიბუტების ჩაყოლებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, მაშინ ამ წესის აღსრულებისთვის, ალბათ, ერთი ნემსკავიც საკმარისი უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, ფიჭვნარელი მეთევზეები, ისევე, როგორც მათი ჩრდილო შავიზღვისპირელი „კოლეგები“, ზღვაში თევზაობის დროს, არა მარტო ტრადიციული კონსტრუქციის ანკესით (ერთი ჯოხი, ერთი ძუა, ერთი ნემსკავი) თევზაობდნენ, არამედ, ზოგ შემთხვევაში (შეიძლება, ხშირადაც), სამ ან მეტ ნემსკავიან ანკესებსაც იყენებდნენ.¹⁸ რაც შეეხება

¹⁸ მრავალნემსკავიან ანკესებს (ჯოხით და ჯოხის გარეშე) აქტიურად იყენებდნენ ძველი მეთევზეები (Boopendranath, 2012:132). ანტიკური ხერსონესის გათხრების დროს, ძველი ქალაქის ერთ-ერთ უბანში მიაკვლიეს 140 ნემსკავს და 50 ტყვიის სამირავს. ძველის მკვლევართა აზრით, ნემსკავების და სამირავების დიდი რიცხვი უნდა მიუნიშნებდეს ადგილობრივების მიერ მრავალნემსკავიანი ანკესების გამოყენების შესახებ.

ტყვიის საძირავებს, ბადესთან მიმართებით მათი რაოდენობა შესატყვისია, ლოგიკურია და ზედმეტ კითხვებს არ აჩენს.

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე თევზჭერის ატრიბუტების (ნემსკავეები, ბადის საძირავები) მიკვლევა, საფუძველს იძლევა ვამტკიცოთ, რომ ელინისტური ხანის კოლხეთის მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო მეთევზეობა იყო (კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013:49).¹⁹ გამოითქვა ვარაუდი პროფესიონალი მეთევზეების ფენის შესაძლო არსებობაზეც (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:90). ალბათ, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ფიჭვნარში მეთევზეთა ამქართან ერთად ნემსკავეების თუ სხვა სათევზაო ატრიბუტის ოსტატთა ერთობაც არსებობდა.

ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის რიტუალი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ადგილობრივთა წარმართული რწმენა-წარმოდგენების შესახებ. გარდაცვლილის ჭირისუფალი, როგორც წესი, მიცვალებულს საფლავში აყოლებდა იმ ნივთებს (თიხის ჭურჭლები, პარფიუმერია, სამკაული, მონეტები და ა.შ.), რომლებსაც გარდაცვლილები „იმქვეყნად მოიხმარდნენ.“ სწორედ ამ არტეფაქტების მიხედვით ვმსჯელობთ მიცვალებულთა სქესზე, ასაკზე, სოციალურ მდგომარეობაზე, პროფესიულ საქმიანობაზე.²⁰ ერთი შეხედვით, სამარხში ჩაყოლებული სათევზაო ნემსკავეები და ბადის საძირავები გარდაცვლილთა პროფესიულ საქმიანობაზე უნდა მიუნიშნებდეს, ხოლო სამარხში ჩაყოლების აქტი გარდაცვლილის დაფასების ან უშუალოდ მისი სურვილის გამოხატულება უნდა იყოს (Sharvit, 2013:243). ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება: ფიჭვნარის სამაროვანზე ნემსკავეები და სათევზაო ბადის ტყვიის საძირავები ძირითადად იმ სამარხებში ფიქსირდება (№№ 137, 209, 292, 294, 301), რომლებიც, თანხმლები ინვენტარის მიხედვით, ქალთა სამარხებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. როგორც ჩანს ეს საკითხი უფრო სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.²¹ რასთან გვაქვს საქმე? ელინი-

ანკესებს დღისით ნავით გადაადგილებდნენ, ღამით კი დაჭიმულ მდგომარეობაში ზღვაში ტოვებდნენ (Kaddeev, 1970:8; Bekker-Nielsen, 2003:90). ოპიანე (ახ.წ. III ს.) „ჰალიეტიკაში“ ნემსკავეებით თევზაობას ყოფს ანკესით და ანკესის გარეშე. ის ანკესის გარეშე თევზაობის შესახებ საუბრისას იხილავს ერთ და მრავალნემსკავეიან მოწყობილობათა სისტემას (Galili, Rosen, 2007:6). სხვათა შორის, საქართველოშიც იცოდნენ თოკზე რამდენიმე ნემსკავის ჩამოკიდება და ღამით მდინარეში ერთი ნაპირიდან მეორემდე ჩაფენა. გურიაში მათ „ერთ ყრა ანკესებს“ უწოდებდნენ (ქენქაძე, 2011:27).

¹⁹ ძვ.წ. IV საუკუნის ფიჭვნარის ბერძნულ სამაროვანის სარიტუალო მოედნებზე ჩნდება სათევზე ლანგრები ე.წ. „იხთიები“, რაც, მკვლევართა აზრით, სარიტუალო სუფრაზე თევზის კერძის გამოჩენაზე უნდა მიუნიშნებდეს. ამავე პერიოდში, იმპორტული იხთიები ფიქსირდება კოლხური სამაროვანის სარიტუალო მოედნებზეც (კახიძე, 2007: 32).

²⁰ ფიჭვნარის სამაროვანის გრუნტში, ბუნებრივი პირობების გამო, ორგანული მასალა ჩვენ დრომდე არ ინახება, ამიტომ მხოლოდ კონკრეტულ არტეფაქტზე დაკვირვებით (ნაწილობრივ, მათი სივრცობრივი განლაგებით) გვიხდება განმარტოვებული დასკვნების გაკეთება.

²¹ თებეს სამარხ-სამლოცველოების (ეგვიპტე, XIX დინასტია) კედლებზე გამოხატულია თევზაობით დაკავებული ქალი და მამაკაცი, სავარაუდოდ, ცოლ-ქმარი. ჩანს, რომ ქმარი ანკესით თევზაობს, ცოლი კი ეხმარება ნემსკავიდან თევზის მოხსნაში (Diab, 2015:5).

სტური ხანის კოლხურ თემში თევზაობა ქალთა პრეროგატივა იყო თუ ქალთა სამარხებში სათევზაო ინვენტარის ჩაყოლებას სხვა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა.²²

1988 წელს, პეტრას ციხის ჩრდილოეთით, ყოფილ საბჭოთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე (საველე დოკუმენტი: IV უბანი) გაითხარა ნაგებობის ნაშთი, სადაც აღმოჩნდა რკინის ნემსკავი (ინაიშვილი, თავამაიშვილი, 2010:172). ნემსკავი დიდი ზომისაა (სიმაღლე-10,4 სმ. სიგანე- 6,2 სმ. ღეროს D-0.8სმ.).²³ ის სქელი რკინის მავთულისგან არის დამზადებული. სივრცე ნემსკავის ღეროს და წვერს შორის შეადგენს 4 სმ-ს. ნემსკავის მორკალული ნაწილი და წვერო ოდნავ გარეთაა გადაშლილი. ფხა დიდი ზომისაა (სიგრძე-4სმ.) და გაბრტყელებულია. თოკის გამოსაბმელი სივრცე ნემსკავის წვეროსკენ პერპენდიკულარულად მიმართული მრგვალი ბეჭდის ფორმის ყუნწით (ე.წ. „Ring eye“) არის გაფორმებული (გარე D-2,5 სმ, შიდა D-1 სმ).²⁴ ნემსკავის წონა შეადგენს 78,7 გრამს. (ტაბ. 2.1).

რკინის ნემსკავები ზომით ბრინჯაოს ნემსკავებზე დიდია, რაც მიუნიშნებს, რომ მეთევზეთა ნაგები, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უფრო საიმედოდ იგებოდა, რაც საშუალებას იძლეოდა ღია ზღვაში თამამად გასვლისა. კონკრეტულ შემთხვევაში, ეს დასკვნა ემყარება მკვლევართა მოსაზრებას, რომ დიდი ზომის ნემსკავები დიდი ზომის ზღვის თევზების დასაჭერად უნდა ყოფილიყო გამოყენებული (Galili, Zemer, Rosen, 2013: 150).

აღნიშნული ნაგებობა დაგეგმარების, მშენებლობის ტექნოლოგიური თავისებურებებით და თანმხლები არქეოლოგიური მასალით ახ.წ.V-VI საუკუნეებით თარიღდება (ინაიშვილი, თავამაიშვილი, 2010). რკინის ნემსკავი, თავისი პარამეტრებით, სავსებით მიესადაგება აღნიშნული პერიოდის სხვა ძეგლებზე მიკვლეულ ნაკეთობებს.

როგორც ჩანს, მრავალნემსკავიანი ანკესების გარდა ადგილობრივი მეთევზეები ზღვაში

²² ყველაზე ადრეული ქალთა სამარხები, სადაც ნემსკავები იყო ჩაყოლებული, აღმოჩენილია ანგარის ნეოლითური ხანის სამაროვანზე (Сенотрyсова, Мандрыка, Пошехонова. 2014:109) და ინდონეზიის კუნძულ ალორზე (თარიღდება ძვ.წ. X საუკუნით). ალორზის სამაროვანზე დაკრძალულ ქალს 12 ნემსკავისგან შედგენილი ყელსაბამი ეკეთა. მკვლევართა აზრით, შესაძლოა, ქალები ნემსკავით თევზაობაზე იყვნენ პასუხისმგებელნი, ან კიდევ, ქალთა სამარხებში ამ ტიპის ნივთების ჩაყოლება ადგილობრივთა კოსმოგონიური შეხედულებებთან იყო დაკავშირებული (O'Connor, Mahirta..2017:1451-1468). ქართველთა ძველი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, სათევზაო ბადეს მიეწერებოდა ავი თვალისგან დაცვის უნარი. ბადეს აფარებდნენ ახალშობილ ბავშვს ან ორსულ ქალს, რადგან თვლიდნენ, რომ ავი სულები ყველაზე მეტად მათ ერჩოდნენ. ბადე ნახმარი და წყალში ნამყოფი უნდა ყოფილიყო. რაც უფრო ძველი იყო ბადე, მით უფრო დიდი ძალა ჰქონდა მას (მირიანაშვილი, 1987:232). გარდაცვლილთათვის სამარხში ბადის ჩაყოლება დამახასიათებელი იყო ეგვიპტელებისთვისაც (Anson, 1932:21).

²³ რომაელები დიდ ნემსკავებს (10 სმ და უფრო დიდი ზომის) მოიხმარდნენ მოზრდილ თევზებზე ნადირობის დროს (Casasola, 2010:75). ძვ.წ. I ათასწლეულის I ნახევარში აღმოსავლეთ სლავები დიდ რკინის ნემსკავებს იყენებდნენ დიდი თევზების (ლოქო, ჭორჭილა, ზუთხი, კობრი, ქარიყლაპია და ა.შ.) დასაჭერად (Kyza, 2016:50). არქეოლოგიური გათხრების შედეგად დიდი ნემსკავები ცოტაა აღმოჩენილი, რაც, მკვლევართა აზრით უნდა ადასტურებდეს, რომ ბადით თევზაობისგან განსხვავებით, დიდი ნემსკავიანი ანკესებით თევზაობა ნაკლებად პროდუქტიული იყო: მეთევზეები ამ ტიპის ნემსკავებს მხოლოდ დიდი თევზების დასაჭერად იყენებდნენ (Giron, 2012:215; Ingólfsson, Einarsson, Løkkeborg, 2017:10,15).

²⁴ ბეჭდის ფორმის და წვეროსკენ მიმართული ყუნწის ბრინჯაოს ნემსკავები გავრცელებული იყო რომაულ ეპოქაშიც (Besuijen, 2008:72,Pl. IX,173-5-29). უფრო ტიპურ ფორმას წარმოადგენს ყუნწები, რომლებიც წვერის პარალელურადა იყო მორკალული.

ორკაუჭიანი ნემსკავებითაც თევზაობდნენ.²⁵ ამას უნდა ადასტურებდეს ციხისძირში მიკვლეული დოქი, რომლის ტანზე ორკაუჭიანი ნემსკავის გამოსახულებაა ამოკაწრული (ტაბ. 2). მსგავსი დოქები მრავლადაა აღმოჩენილია პეტრას ციხეზე და ისინი ახ.წ. IV-VI საუკუნეებით თარიღდება (მინდორაშვილი, 2021:13).

2021 წელს, პეტრას ციხის ტერიტორიაზე, ადრე შუასაუკუნეების აბანოსთან მდებარე სამეურნეო ნაგებობის კედელთან, აღმოჩნდა სპილენძის ნემსკავი, რომლის ზედაპირზე მწვანე ფერის პატინის კვალია შემორჩენილი. ნემსკავი „J“ ფორმისაა. კორპუსი, ფაქტობრივად, დაუზიანებლად არის შემონახული (მომტვრეული აქვს მხოლოდ ყუნწის ზედა ნაწილი). ღერო, ყელის მონაკვეთში, ჭრილში მრგვალგანივკვეთიანია, ხოლო მორკალული ნაწილიდან ფხიან წვერომდე - მართკუთხაგანივკვეთიანი. ეს მონაკვეთი, ყელისგან განსხვავებით, სპეციალურადაა გაბრტყელებული. ნემსკავს მახვილი წვერო აქვს. სივრცე ნემსკავი კორპუსის ღეროს და წვერს შორის 2.8 სმ-ია. წვეროსკენ ფხა მკვეთრად გამოკვეთილია, ძირისკენ კი თითქმის პერპენდიკულარულად დახრილი და ბოლოწაწვეტებული (სიგრძე-0,6 სმ).²⁶ ნემსკავის ყუნწი ყელისგან ნიჩბის ფორმის ბრტყელი ბოლოთი (ე.წ. „Spad eye“) არის გამოყოფილი (D-0,6 სმ).²⁷ ანკვისის პარამეტრები: სიმაღლე - 5,6 სმ, სიგანე- 3,3 სმ. ღეროს D- 0,2 სმ.²⁸ ნემსკავის წონა შეადგენს 8, 05 გრამს. (ტა.2-2).

1990 წელს, პეტრას ციხის აღმოსავლეთი გალავნის კედელთან აღმოჩნდა ბრინჯაოს „J“ ფორმის ნემსკავი, რომელიც, თუ არ ჩავთვლით მცირე დაზიანებას (მომტვრეული აქვს ყუნწის ნაწილი), კარგად არის შემონახული. ანკვისის ზედაპირზე იკითხება დამუშავების კვალი. ნემსკავის სიმაღლე 6 სმ, სიგანე 3.2 სმ, ღეროს დიამეტრი 0.1სმ. ნემსკავის ყელი ყუნწისკენ ოდნავ შევიწროებულია, მორკალული ნაწილი კი გაბრტყელებული აქვს. ნემსკავს მახვილი წვერო აქვს. ნემსკავი, ძირიდან წვერომდე, ღეროსთან მიმართებით გარეთაა გადაშლილი. სივრცე ნემსკავის ღეროს და წვერს შორის 2.6 სმ-ია. ფხა პატარა, მცირედ გამოკვეთილი, ძირისკენ დახრილი და ბოლოსკენ წაწვეტებული (სიგრძე- 0,3 სმ). როგორც აღვნიშნეთ, ნემსკავს ყუნწი მომტვრეული აქვს. სავარაუდოდ, ის ბრტყელი ბოლოთი უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ნემსკავის წონა შეადგენს 3,69 გრამს. (ტაბ. 2-3).

1992 წელს პეტრას ციხის ცენტრალურ ნაწილში ახ.წ. VI საუკუნის ფენაში აღმოჩნდა

²⁵ ორი და მეტი კაუჭის მქონე ნემსკავები ნაკლებად გვხვდება ციხისძირის თანადროული ძეგლების გათხრების დროს. მკვლევრები თვლიან, რომ ისინი ძირითადად გამოიყენებოდა კალმარებზე და რვაფეხებზე თევზაობის დროს (Romanović, 2016:27).

²⁶ ასეთი ფხა „არწივის ბრჭალის“ სახელით მოიხსენიება და მეთევზეთა მტკიცებით, მინიმუმამდე დაჰყავს ნემსკავიდან თევზის თავდახსნის შემთხვევები.

²⁷ ასეთი ყუნწით ნემსკავების გაფორმება ფართოდ იყო გავრცელებული. ისინი ძირითადად გამოიყენებოდა საშუალო სიდიდის თევზების დასაჭერად. მიჩნეულია, რომ ამ ტიპის ყუნწი მოსახერხებელი იყო მაშინაც, როდესაც სატყუარათი ნემსკავის სრულად დაფარვა სურდათ (Galili, Zemer, Rosen, 2013:150) რუსულენოვან ლიტერატურაშიც მათ ასევე ნიჩბის (лопата) ყუნწის სახელით მოიხსენიებენ. ზოგი მკვლევარი თვლის, რომ ოვალის ან სამკუთხედის ფორმის ყუნწები სათავეს იღებს რომაული ეპოქიდან (Romanović, 2016:26). უნდა აღვნიშნოთ, რომ ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვნის მასალებით, ნემსკავის ყუნწის ასეთი ფორმით გამოკვეთა უფრო ადრეული ეპოქებში დასტურდება.

²⁸ მსგავსი ფორმის ნემსკავების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ისინი ცნობილია როგორც ანტიკური პერიოდის (ძვ.წ. IVს.) პანტიკაპეიონის (Кругликова, 1984:159), რომაული პერიოდის (ახ.წ.I-III ს.) ჰაიფას (Galili, Zemer, Rosen, 2013:150), ბანასას (Trakadas, 2009:220, fig.3.3), ასევე ადრე შუასაუკუნეების (ახ.წ. VII-VIII) ზოსფორის (Хайрединова, 2013: 308) მასალებიდან.

სპილენძის ნემსკავი რომლის ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, მწვანე ფერის პატინის ნაშთია შემორჩენილი. ნემსკავი „J“ ფორმისაა. ღერო ჭრილში მრგვალგანივკვეთიანია. ნემსკავს მომტვრეული აქვს წვერო და ყუნწი. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ბრტყელი ბოლოთი უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ნემსკავის წვერზე ფხა არ იკითხება. ნემსკავის პარამეტრებია: სიმაღლე - 5.0 სმ, სიგანე- 2.5 სმ, ღეროს დიამეტრი - 0.1 სმ.

პეტრას ციტადელში NWსექტორის 42-ე კვადრატში აღმოჩნდა ბრინჯაოს ნემსკავი რომლის ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, მწვანე ფერის პატინის ნაშთია შემორჩენილი. ნემსკავი „J“ ფორმისაა. ღერო ჭრილში მრგვალგანივკვეთიანია. ნემსკავს მომტვრეული აქვს წვერო და ყუნწი. ეს უკანასკნელი ბრტყელი ბოლოთი უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ნემსკავის წვერზე ფხა არ იკითხება. ნემსკავის პარამეტრებია: სიმაღლე - 6.5 სმ, სიგანე- 3.0 სმ, ღეროს დიამეტრი - 0.1 სმ.

2021 წელს, პეტრას ციხის ტერიტორიაზე, ე.წ. სამეურნეო ნაგებობის ჩრდილოეთის კედლის გარეთ, ადრე და გვიანშუასაუკუნეების მასალის შემცვლელ არეულ ფენაში, აღმოჩნდა სპილენძის ნემსკავი, რომლის ზედაპირზე, ალაგ-ალაგ, მწვანე ფერის პატინის ნაშთია შემორჩენილი. ნემსკავი „J“ ფორმისაა. ღერო ჭრილში მრგვალგანივკვეთიანია. ნემსკავს მომტვრეული აქვს წვერო და ყუნწი. ეს უკანასკნელი, სავარაუდოდ, ბრტყელი ბოლოთი უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ნემსკავის წვერზე ფხა არ იკითხება. ნემსკავის პარამეტრებია: სიმაღლე - 6.0 სმ, სიგანე- 1.8 სმ, ღეროს დიამეტრი - 0.1 სმ. ზემოთ აღწერილ ნიმუშებთან შედარებით ნემსკავი ვიწროა: სიგრძე ნემსკავის კორპუსის ღეროსა და წვერს შორის შეადგენს 1.4 სმ-ს. ანკესის შუბლი, ძირიდან წვერომდე, ღეროსთან მიმართებით, ოდნავ გარეთ არის გადაშლილი. ნემსკავის წონა შეადგენს 2,5 გრამს. (ტ.2-4).

ციხისძირის ნემსკავები, ფიჭვნარის ნემსკავებისგან განსხვავებით, უფრო მყარი ნაკეთობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან ნემსკავის სასურველი ფორმების ძიებასთან ერთად ტექნოლოგიური პროცესიც დინამიურად ვითარდებოდა. ფორმათა სრულყოფის ნიშნები ნემსკავების დეტალებში იკითხება: ციხისძირის ნემსკავების ღერო შედარებით ვიწროა, მაგრამ უფრო მყარია და გრძელი. სიგრძე ღეროს და წვერს შორის უფრო დიდია, ფხა და ყუნწი კი შედარებით მკვეთრადაა გამოყვანილი. ექვს გარეშეა, რომ ეს შემოქმედებითი პროცესი, გარკვეული ემპირიული გამოცდილების დაგროვებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

საქართველოს ზღვისპირა ზოლში, ისევე როგორც შავი და ხმელთაშუა ზღვისპირეთის სხვა რეგიონებში (Nedev, Bogdanova, 2021:19-20; Galili, Rosen, 2007:10; Romanović, 2016:78) მიკვლეული თევზჭერის ატრიბუტების, მათ შორის ნემსკავების, ფორმათა იდენტურობა, მიუხედავად მოხმარების ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონისა, ნათლად მიუნიშნებს მეთევზეობის ტრადიციული მეთოდების და სათევზაო ინვენტარის ფორმების კონსერვატიულ ხასიათზე.



1



2



3



4



5



6



7



8



9




10



11



12-13-14



ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანი. ნემსკავეები:
№1-10 (სამარხი №301); №11 (სამარხი №317); №№ 12, 13, 14 - (სამარხი №292) (კახიძე,
ვაშაკიძე, 2010; კახიძე, ვაშაკიძე, შალიკაძე, 2013).




1




2

3

4



პეტრა-ციხისძირის ნემსკავეები. დოქი ორკაუჭიანი ნემსკავის გამოსახულებით



გამოყენებული ლიტერატურა:

- ბუკია, მ.** ნარკვევები ქართულ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. ნაწილი I. თბილისი, 2013.
- გოგიტიძე, ს.** ახალი ტიპის საწაფები მახვილაურის ნეოლითური ნამოსახლარიდან. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. VI, თბილისი, 1977.
- თავამაიშვილი, გ.** ძველი სადგომები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალშავზღვურ ტერასაზე. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XXII, თბილისი, 2012.
- ინაიშვილი, ა.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1973 წლის მუშაობის შედეგები. სდსმ, VI, თბილისი 1977.
- ინაიშვილი, ნ., თავამაიშვილი, გ.** არქეოლოგიური გათხრები ციხისძირში 1988 წელს. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები. IX, ბათუმი, 2010.
- კახიძე, ა. მამულაძე, შ.** კვაშტის ანტიკური ხანის ნამოსახლარი. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVII, თბილისი, 1988.
- კახიძე, ა. ხახუტაიშვილი, დ.** მასალების ძველი ბათუმის ისტორიისთვის. სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ძეგლები. XVIII, თბილისი, 1989.
- კახიძე, ა. ვაშაკიძე, ნ.** ელინიზმი და კოლხეთი. ფიჭვნარი III, ბათუმი-ოქსფორდი, 2010.
- კახიძე, ა. ვაშაკიძე, ნ. შალიკაძე, თ.** ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე 2010 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, თბილისი, 2013.
- მინდორაშვილი, დ.** არქეოლოგიური გათხრები პეტრა-ციხისძირში. ბათუმი, 2021.
- მირიანაშვილი, ქ.** თევზჭერის იარაღის შესწავლისთვის (ანკესი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVIII. თბილისი, 1975.
- მირიანაშვილი, ქ.** სათევზაო ბადეების რელიგიური მნიშვნელობა. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XXIII. თბილისი, 1987.
- ნებიერიძე, ლ.** დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხური (გვიანმეზოლითი-ენეოლითი). თბილისი, 1986.
- ნეიმანი, ალ.** ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1951.
- ორჯონიკიძე, ა. ჯიბლაძე, ლ.** ადრებრინჯაოს ხანის კულტურათა ურთიერთობისთვის სამხრეთ საქართველოში (ორქოსანის ნასახლარის მიხედვით). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. თბილისი, 2010.
- სულხან-საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. I. თბილისი, 1991.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.** ნაკვეთი I. თბილისი, 1980.
- ქენჭაძე, ვ.** შიკოჭური კალმახური (იქთიოლოგია). თბილისი, 2011.
- Anson, P.F.** Fishermen and Fishing Ways. Published by George G. Harrap & Company Ltd. London, 1932.
- Bekker-Nielsen, T.** The Technology and Productivity of Ancient Sea Fishing. Ancient fishing and fish processing in the Black Sea region. Proceedings of an interdisciplinary workshop on marine resources and trade in fish products in the Black Sea region in antiquity, University of Southern Denmark, Esbjerg, April, 4-5, 2003
- Besuijen, G.** A study of roman settlements at Aardenburg and its metal finds. Leiden. 2008
- Brinkhuizen, D.C.** Some notes on recent and pre-and protohistoric fishing gear from Northwestern

Europe. *Palaeohistoria*. 25. 1983.

Boopendranath, M.R. Basic Principles of Fishing Gear Design and Classification. In book: Fish Harvesting Systems for Resource Conservation. Publisher: Central Institute of Fisheries Technology, Cochin. January 2012.

Casasola, D.B. Fishing Tackle in Hispania: Reflections, Proposals and First Results. Proceedings of the international workshop on "Nets and fishing gear in classical antiquity: A first approach" Cadiz, November 15-17, 2007. Servicio de Publicaciones de la Universidad de Cádiz, 2010.

Castleden, R. Minoans. Life in Bronze Age Crete. London-New York. 2001.

Circle Hook Definition and Research Issues. Atlantic States Marine Fisheries. Special Report No. 77 of the Commission. July, 2003.

Diab, A. The Hook as a Fishing Tool in Ancient Egypt. International Academic Journal of the Faculty of Tourism and Hotel Management Helwan University Vol. 1, No.1, 2015.

Dütting, M, Hoss, S. Lead net-sinkers as an indicator of fishing activities. *Journal of Roman Archaeology* 27. January, 2014.

Galili, E., Rosen, B. Fishing Gear from a 7th-Century Shipwreck off Dor, Israel. *The International Journal of Nautical Archaeology* (2007).

Galili, E., Zemer, A., Rosen, B. Ancient Fishing Gear and Associated Artifacts from Underwater Explorations in Israel. *Archaeofauna* 22. 2013.

Gartside D.F., Kirkegaard. I.R. History of Fishing. The role of foog, agriculture, forestry and fisheries in human nutrition – Vol. II. Oxford, 2009.

Gaur, A.S, Sundaresh. A unique Late Bronze Age copper fish-hook from Bet Dwarka Island, Gujarat, west coast of India: Evidence on the advance fishing technology in ancient India. *Current Science*, vol 86, no.4, February, 2004.

Giner, C.A. Fishing Nets in the Ancient World: The Historical and Archaeological Evidence. Ancient nets and fishing gear. Proceedings of the international workshop on "Nets and fishing gear in classical antiquity: A first approach" Cadiz, November 15-17, 2007. Servicio de Publicaciones de la Universidad de Cádiz, 2010.

Giron. J.M.V. La pesca con cana y sedal en el Circulo del Estrecho. *Pescar con Arte. Fenicios y Romanos en el Origen de los Aparejos Andaluces.* Catálogo de la Exposición EAELO CLAUDIA, diciembre 2011-julio 2012. Darío Bernal Casasola. Editor Científico.

Ingólfsson, O.A., Einarsson, H.A., Løkkeborg, S. The effects of hook and bait sizes on size selectivity and capture efficiency in Icelandic longline fisheries. *Fisheries Research*. Vol.191, July 2017. <https://doi.org/10.1016/j>.

King, A. Examination of the Economic Role of Table Fish in Ancient Rome. Submitted to the graduate degree program in Classics and the Graduate Faculty of the University of Kansas in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts. April, 2013.

Lukacovic R., Uphoff J. H. 2002. Hook location, fish size, and season as factors influencing catch-and-release mortality of striped bass caught with bait in Chesapeake Bay.. *American Fisheries Society Symposium* 30. 2002.

McGrath, S. Butcher, P. Broadhurst, M. Cairns, S. Reviewing hook degradation to promote ejection after ingestion by marine fish. *Marine and Freshwater Research* January 2011. www.

publish.csiro.au/journals/mfr

Meka, J. The Influence of Hook Type, Angler Experience and Fish Size on Injury Rates and the Duration of Capture in an Alaskan Catch-and-Release Rainbow Trout Fishery. *North American Journal of Fisheries Management*. Vol.24, Issue 4, 2004.

Mylona, D. Aquatic animal resources in Prehistoric Aegean, Greece. *A Journal of Biological Research-Thessaloniki*, 2014.

Nedev, D. Bogdanova, T. Archaeological data on fishing and the exploitation of fishery resources in Apollonia pontica (6th-2nd c. BC). Fishing and Greek colonisation in the Black Sea during Antiquity, International congress (3th-4th June 2021).

O'Connor, S, Ono, R., Clarkson, C. Pelagic fishing at 42,000 years before the present and the maritime skills of modern humans. *Science* 334. 2011.

O'Connor, S, Mahirta, Carro, S. Hawkins, S, Kealy, S, Louys, J, Wood, R Fishing in life and death: Pleistocene fish-hooks from a burial context on Alor Island, Indonesia. *Antiquity* , Vol. 91, Issue 360, December, 2017.

Ono, R. Ethno-archaeology and early Austronesian Fishing in Near-shore Environments. *The Journal of the Polynesian Society*. Vol. 119, No. 3 (September 2010).

Pajdla, P. Overview of prehistoric tools connected with fishing in the Upper Mesopotamia Examples of fishing gear from Abu Hureyra, Körतिकтеpe and Nemrik discussed on the background of ethnographic evidence. Brno, 2104.

Pedergrana, A., Cristiani, E., Munro, N., Valletta, F., Sharon, G. Early line and hook fishing at the Epipaleolithic site of Jordan River Dureijat (Northern Israel). *PLOS ONE*. 16,10. 2021.

Potts D. T. Fish and fishing. *Developments in Farming, Animal Husbandry, and Technology. A Companion to the Archaeology of the Ancient Near East. First Edition.* Edited by D.T. Potts. Blackwell Publishing Ltd. 2012.

Riehl, S., Siebert, A., Kurt W. Alt, K., Özkaya, V. Living by the Water—Boon and Bane for the People of Körтик Tepe. *Neo-Lithics* 2/10. The Newsletter of Southwest Asian Neolithic Research Special Topic on The Domestication of Water. 2010.

Romanović, D. Čovjek i more - Ribolov u antici kroz fundus Arheološkog muzeja Zadar (Man and the Sea - Fishing in Antiquity through the Holdings of the Archaeological Museum of Zadar). Zadar, 2016.

Sahrhage, D, Lundbeck, I. A History of Fishing. Springer-Verlag Berlin Heidelberg New York London Paris Tokyo Hong Kong Barcelona Budapest. 1992.

Saly, N.T, Gipson, E, Meenakumai, B, Ashraf, P. Fishing Hooks:A Review. *Fishery Technology*, Vol. 44 (1), 2007.

Sharvit, J. Fishing-net weights from the 'fisherman's grave,' Akhziv. "Atiqot". May, 2013.

Trakadas, A. Piscationes in mauretania tingitana: marine resource exploitation in a roman north African province. Vol. 1. Thesis for the degree of Doctor of Philosophy. University of Southampton. July 2009.

Urteaga Artigas, M. Erromatar garaia. Gipuzkoako Foru Aldundia, Kultura, Euskara, Gazteria eta Kirol Departamentua, Diputación Foral de Guipúzcoa, Departamento de Cultura, Euskera, Juventud y Deportes. 2002.

Агаджанов, С. Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв. Ашхабад, 1969.

Асланов, Г. Из истории материальной культуры Кавказской Албании I-IV вв. В сб.: Вопросы истории Кавказской Албании. Баку, 1962.

Блавадский, В. Харакс. Материалы и исследования по археологии СССР. Москва, 1951.

Кадеев, В. Очерки истории экономики Херсонеса в I—IV вв.н.э. Харьков, 1970.

Кругликова И. Сельское хозяйство и промыслы. Археология СССР. Античные города Северного Причерноморья. М, 1984.

Куза, А. Рыбный промысел в Древней Руси. 2016.

Куманцов, М. Райков, В. История развития рыболовства в Болгарии. Москва, 2012.

Ляшкевич Э. Рыболовство в средневековом Гродно (по материалам раскопок Старого замка). Гістарычна-археалагічны зборнік, № 19. Мінск, 2004.

Микеладзе, Т. Хахутаишвили, Д. Древнеколхидское поселение Намчедури, I, Тбилиси, 1985.

Мосяш, С. Пути любительского рыболовства: от древности до наших дней, Санкт-Петербург, 2012.

Парович-Пешикан, М. Некрополь Ольвии эллинистического времени. Киев, 1974.

Сенотрусова, Мандрыкина, Попехонова, Особенности погребальной обрядности средневекового населения Северного Приангарья (по материалам могильника Проспихинская Шивера IV). Вестник археологии, антропологии и этнографии. Тюмень, 1(24) 2014.

Хайрединова, Э. Костюм городского населения Боспора в VII-VIII вв. (по находкам из некрополя в Босфорском переулке. Боспорские исследования, вып. XXVIII, 2013.

ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული პალინოლოგიური კვლევის შედეგები
The results of palynological research conducted on the Namcheduri II settlement

მაია ჭიჭინაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა დოქტორი

ელისო ყვავაძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
პალეოანთროპოლოგიის და პალეობიოლოგიის
კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ თანამშრომელი

Maia Chichinadze

Science worker. Georgian National Museum
Research Institute of Paleoanthropology and
Paleobiology Research Institute Status

Eliso Kvavdze

Science worker. Georgian National Museum
Research Institute of Paleoanthropology and
Paleobiology Research Institute Status

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.03>

აბსტრაქტი: პალინოლოგიური მეთოდით შესწავლილია ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ნამოსახლარ ნამჭედური II-ის (დასავლეთ საქართველო) კულტურული ფენები. საინტერესო აღმოჩნდა ნაგებობის ძირიდან აღებული ნიმუშები, რომლებიც გამოიჩვენებენ პალინოლოგიური და არაპალინოლოგიური სახის ნაშთების (NPP) უხვი რაოდენობით

ჩვენი კვლევის თანახმად, განხილულ პერიოდში მოსახლეობის დიეტას ძირითადად მარცვლეულისაგან შემდგარი პროდუქტები წარმოადგენდა. მოსახლეობის კვების რაციონში ასევე შედიოდა წაბლი, თხილი, კაკალი და ყურძენი.

შესწავლილ ნიმუშებში აღმოჩენილი სხვადასხვა სახეობის პარაზიტული ჭიის (Trichuris trichuira, Ascaris lumbricoides, Enterobius vermicularis, Yokogava fluke) კვერცხების სიმრავლე და მათი ტაქსონომიური ნაირსახეობა მოსახლეობაში ჰელმინთოზის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს (van Geel, B., 1998).

საკვანძო სიტყვები: პალინოლოგია, არაპალინოლოგიური ტიპის პალინომორფები (NPP), პალეოდიეტა

Abstract: Layers of the Namcheduri II settlement (Western Georgia) dated to 5 th -4 th centuries BC were studied by the palynological method. The samples taken from the base of buildings are of the great interest, because the mentioned material is distinguished by abundance of Palynological and Non Palynological palynomorph (NPP) remains.

According to our research processed cereals were the main component of population's diet in the discussed period. Chestnut, hazel, walnut, and grapes were included into the nutritive ratio of the population.

Plenty of eggs of parasitic worms (Trichuris trichuira, Ascaris lumbricoides, Enterobius vermicularis, Yokogava fluke) discovered in the studied samples show widespread helminthiasis in the population in the period under discussion.

Keywords: Palynology, Non Palynological palynomorphs (NPP) , Palaeodiet

2019 წლის ზაფხულში არქეოლოგიური გათხრების დროს, ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარდა პალინოლოგიური კვლევა (სურ.1). შესწავლილი ფენები არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით თარიღდება ძვ.წ. V-IV საუკუნით. აღნიშნული ძეგლი შედის ფიჭვნარის ნაქალაქარის კომპლექსში და ფიჭვნარის ნაქალაქარის მსგავსად, ამ ძეგლსაც შესწავლის ხანრძლივი ისტორია აქვს (Kakhidze 2001; 2020; Vickers and Kakhidze 1999; 2006; Mikeladze, Khakhutasvili 1985)

მასალა და მეთოდი

ნამოსახლარ ნამჭედური II-ის პალინოლოგიური კვლევის დროს, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ხის ძელების ნაშთებთან, #31 კვადრატში (სექტორი CD-1/76) აღებული ნიმუშები (ნიმუში #1,2). არქეოლოგების აზრით ეს ნაგებობა ჯარგვალური ტიპის ხის კონსტრუქცია უნდა ყოფილიყო. აღნიშნული ორი (№1, 2) სინჯის პალინოლოგიური სპექტრი კარდინალურად განსხვავდება იმავე კვადრატთან აღებული ბათქაშისა და იატაკის ნიმუშების პალინოლოგიური სპექტრებისგან. ყველა აღნიშნული ნიმუშის სპექტრები თანამედროვე ნიადაგის სპექტრებთან იქნა შედარებული, იმ მიზნით, რომ გამოგვეჩვენებინა მასალის დანაგვიანების შესაძლებლობა.

მასალა დამუშავდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალინოლოგიურ ლაბორატორიაში სტადარტული მეთოდით (Erdtman 1969; Moore et al. 1991).

პალინომორფების იდენტიფიკაცია, დათვლა და ტაქსონების ფოტოგრაფირება სინათლის მიკროსკოპ Olympus BX43 -სა და Omax-ის ფირმის მიკროსკოპის გამოყენებით ჩატარდა. მიღებული შედეგების დამუშავება და დიაგრამების აგება სტატისტიკური პროგრამა "TILIA"-ს გამოყენებით შესრულდა (Grimm 2016).

კვლევის შედეგები

ხის ძელებთან აღებული ნიმუში 1. და 2 აღებულია 31-ე კვადრატში, in situ მდგომარეობაში არსებულ დამუშავებული ხის ძელების ნაშთებთან (სურ. 1). პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, ორივე ნიმუში ძალიან მდიდარი აღმოჩნდა (ცხრილი #1). წიწვოვნებიდან ყველაზე დიდია რაოდენობით ფიჭვია (Pinus) წარმოდგენილი, შედარებით ნაკლებია ნაძვის და ერთეულია სოჭის (Abies) მტვერი. ხემცენარეებიდან მრავლად გვხვდება მურყნის (Alnus) მტვერი (ცხრილი # 1). რაოდენობრივად მას მოსდევს რცხილა (Carpinus), წაბლი (Castanea sativa), თხილი (Corylus), შედარებით ნაკლებია ჩვეულებრივი ვაზის (Vitis vinifera), ძახველის (Viburnum), თელას (Ulmus), ძელების (Zelkova) მტვერის მარცვლები (ცხრილი # 1). მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი ივანი (Fraxinus), მუხა (Quercus), ტირიფი (Salix).

ბალახოვნებიდან უხვადაა სათესი მარცვლოვნების, ხორბლის (Triticum) მტვერი. ნიმუშში წარმოდგენილია ნაცარქათამას (Chenopodium album), მრავალძარღვას (Plantago), ნარშავის (Carduus), ფარსმანდუკის (Achillea), ჭინჭრის (Urtica), ლაშქარას (Symphytum), მატიტელას (Polygonum), გოქმოს (Dipsacus), კანაფისა (Cannabis) და მჯაუნას (Rumex) მტვერის მარცვლები. ნიმუშში აღმოჩნდა გვიმრის ოჯახის წარმომადგენელთა სპორები (Polypodiaceae), როგორცაა: გვიმრუჭა (Asplenium), ტაბელა (Pteris cretica), შვიტა (Equisetum), გველის ენა (Ophioglossum) და ეწრის გვიმრა (Pteridium aquilinum) (ცხრილი # 1).

არაპალინოლოგიური ნაშთებიდან წარმოდგენილია, როგორც განუსაზღვრელი სოკოების (Undiff. ascospores), ისე სხვადასხვა სახეობის სოკოების, კერძოდ კი, ჰაეტომიუმის (Chaetomium), სორდარიას (Sordaria), გელასინოსპორა (Gelasinospora), ბრაჰისპორიუმის (Brachysporium), ცერკოფორას (Cercophora) და პოდოსპორას (Podospora) სპორები (ცხრილი # 2).

ნიმუშში მრავლადაა ხის მერქნის ტრაქეალური უჯრედები, მათ შორის განსაზღვრულია ფიჭვის და თელას უჯრედები. დიდი რაოდენობით ვხვდებით სახამებლის მარცვლებს (Starch grains), სადაც უხვადაა წარმოდგენილი ხორბლეულის სახამებლებიც. ქსოვილის ბოჭკოებიდან სელი და ბამბა აღმოჩნდა. მცენარეთა ეპიდერმისი, ხავსის, ზომასალისა და ზოოეპიდერმისის ნაშთები ნიმუშში ბევრია, მათ შორისაა ფუტკრის და მწერების ბუსუსები (**ცხრილი # 2**). ერთეულია ფსეუდომიზეას (Pseudoschizaea), დინოფლაგელატას (Dinoflagellata), სპიროგირას (Spirogyra) და არცელას (Arcella) ნაშთები. არაპალინოლოგიური პალინომორფებიდან ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა პარაზიტული ჭიის, როგორცაა, კერძოდ ტრიხურას (Trichuira), ასკარიდის (Ascaris lumbricoides) (**სურ. 2**), კაპილარიას-ენტერობიუსის (Enterobiusvermicularis), იოკოგავას (Yokogawa fluke) და განუსაზღვრელი ჭიის (Undiff, egg) კვერცხების აღმოჩენა.


დასკვნა

ნამოსახლარ ნამჭედური II-ზე ჩატარებული კვლევის თანახმად, განხილულ პერიოდში მოსახლეობის დიეტას ძირითადად მარცვლეულისაგან შემდგარი პროდუქტი წარმოადგენდა. კვების რაციონში ასევე შედიოდა წაბლი, თხილი, კაკლი და ყურძენი.

პალინოლოგიური შედეგების მიხედვით, სხვადასხვა სახეობის პარაზიტული ჭიის (Trichuris trichuira, Ascaris lumbricoides, Enterobius vermicularis, Yokogawa fluke) კვერცხების ნაშთების აღმოჩენით ნამჭედურის II-ის მოსახლეობაში ჰელმინთოზის ფართოდ გავრცელება დავადასტურეთ.



სურათი. 1. ნამოსახლარი ნამჭედური II. ჯარგვალური ნაგებობის ნაშთები



სურათი 2. ნამოსახლარი ნამჭედური II. საპირფარეშოს ნიმუშში აღმოჩენილი ადამიანის პარაზიტული ჭიის კვერცხები:-1, 2 - კაპილარია (Cappilaria) 3 - ტრიხურა (Trichuira) ; 4, 5, 6 - ასკარიდა (Ascaris lumbricoides)

ცხრილი #1. ნამჭედური II. ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან მოპოვებული პალინოლოგიური მასალის რაოდენობა			
Namcheduri II	1	2	3
Pollen sum	Modern soil	sample (1)	sample (2)
Abies		3	2
Picea	9	7	5
Cedrus	1		
Cryptomeria	5		
Pinus	42	12	8
Cupressaceae	2		
Betula			1
Juniperus			
Fagus	1	3	4

Alnus	61	55	39
Fraxinus		1	
Quercus	2	1	2
Salix	1	1	1
Acer			
Tilia			2
Carpinus betulus	1	4	2
Ulmus	1	2	1
Zelkova		2	
Corylus	5	4	3
Castanea sativa	8	28	27
Juglans			1
Pterocarya fraxinifolia	1		
Vitis vinifera		2	3
Rhus			
Viburnum		2	
Rubus			2
Triticum		35	19
Cerealia	3	45	58
Poaceae	5	10	
Cyperaceae	4		
Chenopodium album		4	2
Chenopodium-type		3	4
Plantago lanceolata	2	3	3
Apiaceae	3		1
Aster	3		
Carduus		1	
Centaurea			3
Achillea		2	
Artemisia	4		2
Xanthium	17		
Cichorioideae		10	4
Serratula			1
Centaurea			
Caryophyllaceae	1	1	2
Ranunculus	2		
Lamiaceae			
Urtica		1	2
Symphytum		3	2
Polygonum	2	2	
Polygonum aviculare		1	1
Polygonum persicaria	17	2	
Dipsacus		1	
Viola			

Cannabis sativa-type		2	
Rumex		3	1
Ranunculaceae			
Polypodiaceae	21	6	4
Polypodium vulgare	1	1	3
Polypodium seratum	1	1	
Asplenium	1		
Osmunda regalis			2
Pteris cretica			2
Equisetum		2	3
Ophioglossum cf. O. vulgatum			3
Pteridium aquilinum			1
Trees and Shrubs	140	127	103
Upland Herbs	63	129	105
Pteridophytes	24	10	18
Total Pollen Sum	227	266	226

ცხრილი #2. ნამჭდური II. ნამოსახლარის კულტურული ფენებიდან მოპოვებული არაპალინოლოგიური მასალის რაოდენობა

Namcheduri II	1	2	3
NPP sum	modern soil	sample (1)	sample (2)
Undiff. ascospores	19	9	10
Sporormiella			
Chaetomium	1	2	3
Sordaria		6	
Gelasinospora		5	3
Brachysporium	15	2	1
Cercophora		7	9
Podospora		2	
Glomus	12		
Tracheal cells of undiff. wood	62	85	98
Tracheal cells of Pinus		2	6
Tracheal cells of Ulmus		4	3
Wood vessel			2
Starch grains	98	13	12
Starch of cerealia	38		
Fibre of flax	4	3	4
Fibre of flax wool			
Fiber of cotton		2	
Fiber of cannabis			
Seeds	3		
Phytoliths			

Plant epidermis		11	
Zoomaterial	14	10	20
Zooepidermis	28	15	15
Hair of bee		2	2
Hair of insecta	5	6	8
Claw of insecta	3		
Chela of acari			
Hair of acari	2		
Cuticle of butterfly wing		1	
Hair of animal			2
Pseudoschizaea	1	3	4
Dinoflagellata		2	
Spirogyra	1		
Arcella			2
Moss remains	3	9	7
Eggs of Trichuira		23	17
Eggs of Ascaris lumbricoides		7	6
Eggs of Capillaria		2	
Eggs of Enterobius vermicularis		2	
Eggs of Yokogawa fluke			2
Undiff. eggs			2
Total NPP Sum	309	235	238

ლიტერატურა

1. Erdtman, G., 1969. Handbook of Palynology. Munksgaard, Copenhagen.
2. Grimm, E.C., 2016. Tilia 2.1.1, Illinois State Museum, Research and Collections Centre, Springfield, USA.
3. Kakhidze, A., 2001. Specimens of Classical bronze toreutics from Pichvnari. In: G.R. Tsetschladze and J.G. de Boer (eds). The Black Sea Region in the Greek, Roman, and Byzantine Periods: Proceedings of the Dutch Archaeological and Historical Society Volumes, Talanta 32-33, pp. 41-60.
4. Kakhidze, A., 2020. New archaeological finds at Pichvnari (November-december 2010). – Wonders Lost and found. In.: N. Sekunda ed). A celebration of the archaeological work of Professor Michael Vickers. Archaeopress archaeology. Ashmolean Museum, University of Oxford, pp. 82-89.
5. Mikeladze, T.K., Khakhutasvili, D.A., 1985. Drevne kolkolidskoe naselenie Namcheduri II. Metsniereba, Tbilisi (in Russian).
6. van Geel, B., 1998. In: van Hove, M.L., Henndrikse, M. (Eds.), A Study of Non-pollen Objects in Pollen Slides (The Types as Described by Dr Bas Van Geel and Colleagues). Utrecht.
- Vickers, M., Kakhidze, A., 1999. Pichvnari, Ajarian AR, Georgia 1999. Anatolian archaeology. 5, 11-12.
7. Vickers, M, Kakhidze, A., 2006. Pichvnari. Results of Excavations conducted by the Joint British–Georgian Pichvnari Expedition. Volume I. Pichvnari 1998–2002. Greeks and Colchians on the East Coast of the Black Sea. Part 1: Text. Pp. 280, b/w & colour pls. Oxford: The Ashmolean Museum, University of Oxford/Batumi: The Batumi Archaeological Museum, Cased. No ISBN. Published online by Cambridge University Press.

ატკური წითელფიგურული ლეკითოსები ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმიდან
Attic Red-Figure Lekythoi from the Batumi Archaeological Museum

ნინო ძნელაძე
სსიპ აჭარის მუზეუმი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი,
მეცნიერ-თანამშრომელი
Nino Dzneladze
LEPL Adjara Museum,
Batumi Archaeological Museum,
Academic Doctor of History

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.04>

აბსტრაქტი: ფიჭვნარის კლასიკური ხანის სამაროვნის მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევის შედეგად ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმში თავი მოიყარა ატკური კერამიკული ჭურჭლის მდიდარმა კოლექციამ, რომლის განსაკუთრებულ ნაწილს ლეკითოსები (სანელსაცხებლე ჭურჭელი) წარმოადგენს. მუზეუმში დაცულია ამ ჭურჭლის თითქმის ყველა ტიპი. ლეკითოსი, როგორც დაკრძალვის რიტუალის მნიშვნელოვანი ატრიბუტი, გვხვდება ფიჭვნარის სამარხებსა და დაკრძალვის შემდეგ სახელდახელოდ გამართულ სარიტუალო მოედნებზე. გამოიყოფა მასობრივი წარმოების მარტივორნამენტიანი და ინდივიდუალურად შექმნილი ნიმუშები. საყურადღებოა ლეკითოსების კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენის ფაქტიც. მოხატულობის თემატიკა ძირითადად დაკავშირებულია გარდაცვალებასთან და გარდაცვალების შემდეგ არსებობასთან. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლისზე აღმოჩენილი ორი წითელფიგურული ცილინდრულტანიანი ლეკითოსი, რომლებიც ძვ. წ. V ს მეორე მეოთხედის ოსტატის, ესქინეს მხატვრის სახელოსნოს უნდა ეკუთვნოდეს. ერთ მათგანზე (ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვანი, სამ. 216, აღმოჩნდა 2000 წელს) მოცემულია დაკრძალვის შემდგომი რიტუალი: ქალი შესაწირავით სამარხის ბორცვთან, ხოლო მეორე ლეკითოსზე (ძვ. წ. V ს ბერძნული სამაროვანი, სამ. 260, აღმოჩნდა 2005 წ.) - ფრთოსანი ქალღმერთი ჩირაღდნით.

საკვანძო სიტყვები: ფიჭვნარი, ლეკითოსი, ესქინეს მხატვარი, წითელფიგურული კერამიკა.

Abstract: As a result of many years of archaeological research of the Pichvnari cemetery, a rich collection of Attic ceramic pottery was gathered in the Batumi Archaeological Museum. Lekythoi (oil flask used at baths and gymnasiums and for religious or funerary purposes) are a special part of the collection. There were preserved almost all types of lekythoi. Lekythoi, as an important attribute of the funeral ritual, are found in burials and on funeral feast sites of Pichvnari. There are both simple ornamented samples of mass production and individually painted ones. It's noteworthy that lekythoi were found at the Colchian cemetery. The theme of the painting is mainly related to death and existence after death. The article presents two red-figure lekythoi of the 5th century BC. found at the Pichvnari Greek cemetery. They have been attributed to the Aischines Painter, the master of the second quarter of the fifth century BC. One of them (Pichvnari Greek necropolis, burial 216, discovered in 2000) has the scene of funeral ritual: a woman with a sacrifice, and the other (Pichvnari Greek necropolis, burial 260, discovered in 2005) - a winged goddess with a torch.

Key words: Pichvnari, lekythos, Aischines Painter, Red-figure pottery.

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ატიკური მოხატული კერამიკული ჭურჭლის მრავალფეროვანი კოლექციის განსაკუთრებული ნაწილია ლეკითოსები. როგორც სახელსაცხებლე ჭურჭელი, და, შესაბამისად, დაკრძალვის რიტუალის მნიშვნელოვანი ატრიბუტი, ლეკითოსი გვხვდება როგორც სამარხებში, ისე დაკრძალვის შემდეგ სახელდახელოდ გამართულ სარიტუალო მოედნებზე. გამოიყოფა მასობრივი წარმოების მარტივორნამენტისა და ინდივიდუალურად შექმნილი ნიმუშები. მოხატულობის თემატიკა ძირითადად, რასაკვირველია, დაკავშირებულია გარდაცვალებასთან, გარდაცვალების შემდეგ არსებობასთან, სულის განწმენდისა (κάθαρσις) და მკვდრეთით აღდგომის იდეასთან. მუზეუმში დაცულია ფიჭვნარში აღმოჩენილი ძვ. წ. V-IV სს პერიოდში დამზადებული ლეკითოსების თითქმის ყველა ტიპი. ამჯერად წარმოგიდგინებ ფიჭვნარის ძვ. წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლისზე აღმოჩენილ ორ წითელფიგურულ ცილინდრულ ლეკითოსს, რომლებიც ძვ. წ. V ს მეორე მეოთხედის ოსტატის, ესქინეს მხატვრის სახელოსნოს უნდა ეკუთვნოდეს. ასე მას ჯ. დ. ბიზლიმ უწოდა პირობითად ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმში დაცულ ალაბასტრონზე მიწერილი სახელის - ΑΙΞΙΝΗΣ ΚΑΛΟΣ - მიხედვით (Beazley, 1925:320-323, No. 51).

ერთ-ერთი ამ ლეკითოსებიდან 2000 წელს ძვ. წ. V ს ბერძნულ სამაროვანზე (სამ. 216) აღმოჩნდა (კახიძე, ვიკერსი, 2004:70, სურ. 151)(ტაბ. I,1). ესაა წითელფიგურული ცილინდრული ლეკითოსი (ფორმა კანონიკური, ცალყურიანი, ჯამისებრპირიანი, ცილინდრული ტანი მხარს ქვემოთ ოდნავ შეზნექილპროფილიანი, დისკოსებრი ქუსლი). ჭურჭელს ყელის, პირისა და ყურის ფრაგმენტები აკლია. მხრის არე შემკულია რადიალურად განლაგებული გრძელი და მოკლე ხაზების რიგით. მასზე გამოსახული კომპოზიცია დაკრძალვის შემდგომ რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული. ცენტრში მოცემულია ქალის მარჯვნივ მიმართული ფიგურა, რომელსაც თავი უკან, მარცხნივ აქვს მიბრუნებული. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში ფიალა უჭირავს, მარცხენა ხელის თითები გაშლილი აქვს. შემოსილია სახელოებიანი ქიტონით, მარცხენა მხარზე ჰიმატიონის კალთა აქვს გადადებული. მარჯვენა ტერფი ფასში, ხოლო - მარცხენა პროფილშია მოცემული. მარჯვენა ხელის ქვემოთ ნაჩვენებია ლოდისებრი გამოსახულება, რაც სამარხის ბორცვი ან საკურთხეველი უნდა იყოს. ფიგურა ზემოდან შემოსაზღვრულია მარჯვნივ მიმართული მარტივი მებანდრის ორნამენტით, ქვემოდან კი - რეზერვირებული ვიწრო ზოლით. ნახატი სქემატურია. სამწუხაროდ, ქალის სახის არეიმდენადაა დაზიანებული, რომ შეუძლებელია ვიმსჯელოთ თვალის გადმოცემის მანერაზე, რაც სხვა მახასიათებლებთან ერთად მნიშვნელოვანი იქნებოდა ჭურჭლის დათარიღებისათვის, მით უფრო, რომ სამარხში მხოლოდ ეს ნივთია აღმოჩენილი და, ლოგიკურია, პარალელურ დათარიღებულ სამარხულ ინვენტართან შედარება გამორიცხებულია, მაგრამ სახეზეა შესრულების სპეციფიკური, კონკრეტული ხელოსნისათვის დამახასიათებელი მანერა, რაც არა მარტო ათარიღებს, არამედ იძლევა ატრიბუციის, ავტორის დადგენის საშუალებასაც. მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმების კოლექციებში დაცული რამდენიმე მსგავსი ნიმუში მოიძებნა, რომელთაგან პირდაპირი ანალოგია სანკტ პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის მოხატული ვაზების კოლექციის ესქინეს მხატვრის ლეკითოსი. მასზე გამოსახული კომპოზიცია ფიჭვნარის ეგზემპლართან შედარებით სრულადაა შემორჩენილი (საინვ. №B183, St. 1537, B872; პიცატის კოლექციიდან, აღმოჩენილია ნოლაში). თარიღდება ძვ. წ. 460 წ. (Передольская, 1967:139, таб., CXI.1). ასევე თარიღდება ათენში, ლენორმანის ქუჩაზე (აგორადან ჩრდილო-დასავლეთით) გათხრილ სამარხში აღმოჩენილი ესქინეს მხატვრის ლეკითოსი (Boulter, 1963:119, pl. 37, B7), რომელსაც ქ. ჰ. ე. ჰასპელსი აქვე აღმოჩენილი ბელდამის მხატვრის სახელოსნოს ლეკითოსების მიხედვით ძვ. წ. 470-460 წწ. ათარიღებს, უკიდურეს ქვედა საზღვრად კი ძვ. წ. 450 წ. მიუთითებს. ლეკითოსზე გამოსახული სახელოებიანი ქიტონითა და ჰიმატიონით შემოსილი ქალის მარჯვნივ მიმართული ფიგურა უკან იმზირება. მარცხენა ხელში სუროს ტოტი უჭირავს, მარჯვენა გაშლილი აქვს. იგივე პერსონაჟია გამოსახული ლეკითოსზე, რომელიც დაცულია

პრადის ეროვნულ გალერეაში (გოლც-კინსკის სასახლე, NM-HM10 1865). მას მარჯვენა ხელი წინ დადგმული კალათოსის ზემოთ უჭირავს, მარცხენაში კი - სარკე. თარიღდება ძვ. წ. 460-450 წწ. ეს ეგზემპლარი და ამავე გალერეაში დაცული ლეკითოსი ქალღმერთი არტემისის გამოსახულებით მნიშვნელოვანია ერთი დეტალის, მხრის ორნამენტის, გამო. იმავე დეტალს, რადიალურად განლაგებული ხაზების ორნამენტს, ვხვდებით ესქინეს მხატვრის სახელოსნოს კიდევ ერთ ლეკითოსზე, რომელიც ასევე პრადშია დაცული (CVA 1978:49, Pl 40.1(22.66)). ესქინეს მხატვრის ქმნილებებისათვის დამახასიათებელია ლეკითოსების მხრების შავფიგურული პალმეტებით მოხატვა, რაც, შესაძლოა, ადრეული ლეკითოსებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი. ფიჭვნარის ლეკითოსზე კი რადიალურად განლაგებული ხაზების ორნამენტია, ისევე, როგორც პრადის გალერეის ნიმუშებზე. ამ ტიპის ყველა ეგზემპლარზე საერთოა მათზე გამოსახული ცენტრალური ფიგურის პოზიცია (მარჯვნივ მიმართული სხეული, უკან მობრუნებული პროფილი) და ცალკეული დეტალები (ფეხის ტერფების პოზიცია, გაშლილი ხელის მტევანი, მათი გადმოცემის სქემატური მანერა და სხვ.), რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთ, კერძოდ კი, ესქინეს მხატვრის სახელოსნოში უნდა იყოს დამზადებული.

მეორე ლეკითოსი, რომელიც, როგორც ჭურჭლის ფორმით, ისე მასზე მოცემული კომპოზიციის შესრულების მანერით, ასევე შეიძლება მივაკუთვნოთ ესქინეს მხატვრის სახელოსნოს, ფიჭვნარის ძვ. წ. V ს სამაროვანზე (სამ. 260) აღმოჩნდა 2005 წელს (კახიძე, ვიკერსი, 2004:72, სურ. 260) (ტაბ. I,2). მასზე გამოსახულია მარჯვნივ მიმართული ფრთოსანი ქალღმერთი ჩირადნით მარცხენა ხელში. ფიგურა მოსასხამშია გახვეული, რომლის ქვემოთ ჩანს სიარულისას აფრიალებული ქიტონის დრაპირებული კალთა, მოსასხამიდან გამოყოფილი აქვს ჩირადნის ხელის მტევანი. ქალღმერთს მასიური ნიკაპი და წინ წამოწეული ქვედა ტუჩი აქვს. საკოსით შებურული თავი ტანთან შედარებით მოზრდილია. არაპროპორციულად დიდია და სქემატური, ასევე, ხელის მტევანიც. თვალები პროფილში სწორადაა გამოსახული. ზედა ქუთუთო სწორი ხაზითაა გადმოცემული, ქვედა კი - რკალით, თვალის გუგა ზედა ქუთუთოსთანაა მიახლოებული. ფრთოსანი ქალღმერთი შეიძლება იყოს განთიადის ქალღმერთი ეოსი ან გამარჯვების ქალღმერთი ნიკე. ქალღმერთის იდენტიფიკაციისათვის საინტერესო ვერსიას აჩენს მოსკოვის კუმკინის სახელობის სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციაში დაცული პროვიდანსის მხატვრის ლეკითოსზე გაკეთებული გრაფიტო ANANKE, რომელიც ჩირადნის ფრთოსანი ქალღმერთის გამოსახულების გვერდითაა ამოკაწრული (Сидорова, Тугушева, Забелина, 1985:43, таб., 83). ანანკე აუცილებლობის, გარდაუვალობისა და ბედისწერის ქალღმერთია ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ბერძნები სიკვდილის ღვთაებადაც თვლიდნენ, რადგანაც სიკვდილი გარდაუვალია (მითოლოგიური ლექსიკონი, 1972:32). თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ჩირადნის, როგორც სიმბოლო, სინათლეა, რომელიც გარდაცვლილებს გზას უნათებს საიქიო ცხოვრებისაკენ, ლოგიკური იქნება, სამარხეულ ინვენტარზე გამოსახული ჩირადნის ფრთოსანი ქალღმერთის გამოსახულება ანანკედ მივიჩნიოთ, რადგანაც ბერძნები დაკრძალვის რიტუალისათვის შერჩეული ჭურჭლის მოხატულობის სიუჟეტში ყველა დეტალს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ამრიგად, ორივე ლეკითოსის როგორც ფორმა, ისე მოხატულობის დეტალები გვაძლევს საშუალებას ისინი უყოყმანოდ მივაკუთვნოთ ესქინეს მხატვრის წრის სახელოსნოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მითოლოგიური ლექსიკონი, შემდგენელი: გაფრინდაშვილი ნ., თბილისი, 1972
2. კახიძე ა., ვიკერსი მ., საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, 1998-2002 წწ., ფიჭვნარი I, 2004
3. კახიძე ა., ვიკერსი მ., საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური

ეცხედღიკი, 2003-2007 წწ., ფიქვინარი VI, 2014

4. Beazley, J. D., *Attische Vasenmaler des rotfigurigen Stils*, Tübingen, 1925

5. Boulter, C. G., *Graves in Lenormant Street, Athens*, *Hesperia*, 01/04/1963

6. CVA - *Corpus vasorum Antiquorum: Tchécoslovaquie*. Prague, Université Charles, Jan Bazant, Jan Bouzek, Marie Dufkova, Iva Ondrejko, Academia Prague, 1978

7. Передольская А.А., *Краснофигурные аттические вазы в Эрмитаже*, «Советский художник», Л., 1967

8. Сидорова Н.А., Тугушева О. В., Забелина В.С., *Античная расписная керамика*, М., 1985.

Tab. I



ბიზანტიური მონეტა სოფელ დარჩიძეებიდან (შუახევის მუნიციპალიტეტი)
Byzantine coins from village Darchidzeebi (Shuakhevi municipality)

ირინე ვარშალომიძე

*სსიპ - აჭარის მუზეუმის,
ბათუმის არქეოლოგიური
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი*

ნარგიზ სურმანიძე

*სსიპ - აჭარის მუზეუმის,
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის
მეცნიერ-თანამშრომელი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი*

Irine Varshalomidze

*LEPL Adjara Museum,
Batumi Archaeological Museum,
Academic Doctor of History*

Nargiz Surmanidze

*LEPL Adjara Museum,
Batumi Archaeological Museum,
Academic Doctor of History*

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.05>

აბსტრაქტი: განვითარებული შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის შესწავლისათვის ინფორმაციულია სოფელ დარჩიძეებში შემთხვევით აღმოჩენილი X საუკუნის ბიზანტიური მონეტა. აღნიშნულ პერიოდში მონეტები ძირითადად მიმოქცევა ზღვისპირა ზოლში, თუმცა ბოლო წლების ნუმისმატიკურმა აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ ფულადი მეურნეობა აჭარის მაღალმთიანეთშიცაა განვითარებული.

საკვანძო სიტყვები: მონეტა, ბიზანტია, დარჩიძეები, შუა საუკუნეები, მიმოქცევა.

Abstract: A Byzantine coin of the 10th century found by chance in the village of Darchidzeebi is informative for the study of the coin circulation in the developed medieval southwest Georgia. During the mentioned period, coins were mainly circulated in the coastal zone, however, numismatic discoveries of recent years proved that monetary economy was developed in the highlands of Adjara as well.

Key words: coin, Byzantine empire, Darchidzeebi, medieval times, circulation.

განვითარებული შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის ამსახველი მრავალფეროვანი მასალა არსებობს, რომლის დიდი ნაწილი შესწავლილი და გამოქვეყნებულია თ. აბრამიშვილის, ნ. ინაიშვილის, ი. ფაღავას, ს. თურქიასა და ჩვენს მიერ (აბრამიშვილი, 1966:112-148; ინაიშვილი, 1993: 98-113; ფაღავა, თურქია, ვარშალომიძე, 2014:85-96; ფაღავა, თურქია, ვარშალომიძე, 2016; ფაღავა, თურქია, ვარშალომიძე, 2013:60-69; ვარშალომიძე, 2017:165-167; ვარშალომიძე, 2016; ვარშალომიძე, 2016:258-260; ვარშალომიძე, ტაკიძე, 2016:266-269). აღნიშნულ ტერიტორიაზე დადასტურებულია ბიზანტიური, ქართული, ტრაპიზონის იმპერიის, რუმის სასულთნოს, სალთუკიანების ბეილიქის, ალ-ჯაზირასა და მონღოლური მონეტების მიმოქცევა (ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021). მონეტები ძირითადად მიმოქცევა

ზღვისპირა ზოლში. ბოლო წლების ნუმისმატიკურმა აღმოჩენებმა გვიჩვენა, რომ აჭარის მაღალმთიანეთშიცაა განვითარებული ფულადი მეურნეობა. ამ კუთხით უდაოდ ინფორმაციულია სოფელ დარჩიძეების აღმოჩენა.

X საუკუნე, იმპერატორის ზუსტი განსაზღვრა შუბლის მხარის ცუდად დაცულობის გამო არ მოხერხდა, სპილენძი. წ-9 გრ. ზ.26.74 – 24,35 მმ

შუბლი: მონეტის ცენტრში მკრთალად ჩანს მაცხოვრის მკერდამდე გამოსახულება.

ზურგი: ოთხ სტრიქონად განლაგებული ბერძნული ლეგენდა +IhSUS XRISTUS bASILEU bASILE (იესო ქრისტე მეფეთა მეფე)

IV საუკუნიდან საქართველო ბიზანტიას გაუმეზობლდა, ამ დროიდან არ შეწყვეტილა ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა, ხან მტრული, ხან მეგობრული. პოლიტიკურმა სიტუაციამ ადეკვატური ასახვა ჰპოვა საქართველოს ფულადი მიმოქცევის ხასიათშიც. ეგრისის სამეფოში მიმოქცეოდა ბიზანტიური ფულიც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია დაახლოებით 150-მდე ბიზანტიური საფასე: ქობულეთ-ციხისძირ-ბობოყვათის სექტორში - 120-ზე მეტი ეგზემპლარი. გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური კამპანიების (1995-2000 წწ.) დროს აღმოჩნდა 6 ბიზანტიური საფასე (ვარშალომიძე, 2009: 261-267; ვარშალომიძე, 2009: 64-68); 5 ცალი სხვადასხვა დროს შემთხვევით იპოვეს ბათუმში. ერთი შემთხვევით აღმოჩნდა მახინჯაურში (ვარშალომიძე, 2016: 258-260). ოთხი - გასული საუკუნის დასაწყისში ქედაში (განსაზღვრა ე. პახომოვმა). ბიზანტიური მონეტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში ჩანს V საუკუნიდან. მათ შემოსვლას და ტრიალს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიზეზები განაპირობებდა - ხან მილიტარისტული, ხანაც ეკონომიკური. ბიზანტიური საფასე მიმოქცეოდა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში, არამედ აჭარის მაღალმთიან რაიონებშიც.

სოფელი დარჩიძეები მდებარეობს შუახევის მუნიციპალიტეტში, მარეთის ხეობაში, მდ. ჩირუხისწყლის მარჯვენა ნაპირზე. სოფელში განვითარებული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების (საფორთიფიკაციო და საკულტო ნაგებობები, სამაროვნები...) (ტაბ. I-II) კონცენტრაცია მიუთითებს, რომ აღნიშნულ ეპოქაში აქაურობა საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა დასახლებული. შენდება ეროვნული და ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და ღვთისმსახურების შესაბამისი სატაძრო ნაგებობები (კახიძე, მამულაძე, 2016:88-89; ებრალიძე, სურმანიძე, ასლანიშვილი, 2022:15-21). დარჩიძეების ციხის გეოგრაფიული მდებარეობა, აჭარის სხვა ციხეების მსგავსად გვიჩვენებს მისი წარმოქმნის ეკონომიკურ საფუძველს, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის უსაფრთხოების საქმეში. სტრატეგიული თვალსაზრისით სოფელი და მისი შემოგარენი წარმოადგენდა დაბა შუახევიდან მარეთის ხეობაში შემავალი საგზაო მაგისტრალის ორგანულ ნაწილს, რომელიც მიემართებოდა ჩირუხის მთისაკენ, სადაც თავს იყრიდა სხვა ხეობებიდან მომავალი გზები. ამ გზებით სარგებლობდნენ ბერები, მხედრები, ხელოსნები, ვაჭრები და სხვა; მათი საშუალებით ხორციელდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მეზობელ რეგიონებს შორის (კახიძე, მამულაძე, 2016:83, 88-89; ებრალიძე, სურმანიძე, ასლანიშვილი, 2022:15-21), რასაც სხვა არტეფაქტებთან ერთად ადასტურებს სოფელ დარჩიძეებში შუა საუკუნეების სასმელი წყლის ნაგებობასთან შემთხვევით აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტა (ტაბ. I). აქ უნდა ყოფილიყო მგზავრებისა და ადგილობრივების შეხვედრის ადგილი.

დარჩიძეებში გამოვლენილმა საფასემ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სამონეტო მეურნეობა განვითარებულია მაღალმთიან აჭარაშიც, სადაც დადასტურებულია ბიზანტიური (ქედა, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი დარჩიძეები) და მონღოლური მონეტების (სხალთა, ფურტო) მიმოქცევა. მაღალმთიანი აჭარა IX-X საუკუნეებში ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. აჭარის ერისთავთ-ერისთავები - იოანე და გრიგოლ აბუსერისძეები ხიხანის, ციხისჯვარის და აწყურის ციხეებთან ერთად არტანუჯის ციხესაც ფლობდნენ. მათი რეზიდენცია ხიხანში მდებარეობდა. წერილობითი

წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეებში ეს მხარე ეკონომიკურად განვითარებული და დაწინაურებული იყო. აქედან გადიოდა დამაკავშირებელი მაგისტრალი, ისტორიული გზა, რომელიც ზღვისპირეთს შავშეთსა და არტანუჯთან აკავშირებდა. XIII საუკუნეში გზის ფუნქციონირება დადასტურებულია ისტორიული წყაროებითაც, 1268 (ზოგი ვერსიით 1269) წელს შავშეთიდან ქუთაისისკენ გაქცეული, ილხან მდევართან დამარცხებული, ოქროს ურდოს უფლისწულის თეგუდარის მხედრობის ნაწილი აჭარისწყლის ხეობისკენ წავიდა, ნაწილი - ჭოროხის ქვემოწელისაკენ, საიდანაც ქუთაისში გადავიდნენ (ჯავახიშვილი, 1966:196; სიხარულიძე, 2009:145-146).

აჭარისწყლის ხეობაში გამავალი გზა ჯერ ახალციხისა და თბილისის გავლით კასპიისპირეთსა და სპარსეთისკენ, აქედან კი ინდოეთსა და ჩინეთისაკენ მიემართებოდა. იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და სომხეთის შემაერთებელ გზებთანაც, რომელიც არტანუჯისა და ყარსის გავლით ანისისა და დვინისაკენ გადიოდა. ამ დროს არტანუჯი იყო დიდი სავაჭრო ცენტრი, რომელიც აკავშირებდა ტრაპიზონს, დასავლეთ საქართველოს, ქართლს და სომხეთს. ტრაპიზონ-არტანუჯის დამაკავშირებელი გზების ერთი მონაკვეთი აჭარისწყლის ხეობაში გაივლიდა (მამულაძე, 1993: 170-174). სატრანზიტო გზების ფუნქციონირება დიდად უწყობდა ხელს ეკონომიკისა და ვაჭრობის დაწინაურებას, რასაც შესაბამისად მოჰყვა ფულადი მეურნეობის განვითარება აჭარის წყლის ხეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები 1966;
2. აბრამიშვილი თ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ტრაპიზონის ასპრებისა და დასავლურ-ქართული ფულის (კირმანეულის) კატალოგი, 1989;
3. ებრალიძე ტ., სურმანიძე ნ., ასლანიშვილი ლ., შუა საუკუნეების საეკლესიო ნაგებობანი ზემო აჭარაში (უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით). - წილხვდომილების დღესასწაული (ბათუმის კულტურის ცენტრი, კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2022:11-24
4. ვარშალომიძე ი., ბიზანტიური მონეტა ფიჭვნარიდან, - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, თბ., 2017;
5. ვარშალომიძე ი., ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ნუმიზმატიკური საგანძური (კატალოგი), ბათუმი, 2016;
6. ვარშალომიძე ი., ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან, - ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, VII, 2016;
7. ვარშალომიძე ი., ტაკიძე რ., კირმანეული თეთრი სოფელ აჭყვისთავიდან, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VI, ბათუმი, 2016;
8. ვარშალომიძე ი., ძნელაძე ნ., ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი, ბათუმი, 2021;
9. ვარშალომიძე ი., ბიზანტიური მონეტები გონიო-ავსაროსიდან, - ბიზანტინოლოგია საქართველოში - 2, თბილისი, 2009;
10. ვარშალომიძე ი., მონეტები გონიო-ავსაროსიდან, ბათუმი, 2009;
11. ვარშალომიძე ი., ბიზანტიური მონეტა ბათუმის შემოგარენიდან. ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, VII, ბათუმი, 2016;
12. ინაიშვილი ნ., ციხისძირის ახ.წ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, 1993;
13. კახიძე ა., მამულაძე შ., აჭარის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2016;
14. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993;

15. სიხარულიძე ი., აჭარა მონღოლთა ბატონობის ხანაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, ბათუმი 2009;
16. ფაღავა ი., თურქია ს., ვარშალომიძე ი., ქუფური მონეტების განძი ზოტიდან (გურია), - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, V, თბ., 2013;
17. ფაღავა ი., თურქია ს., ვარშალომიძე ი., ქუფური მონეტების განძი ხელვაჩაურიდან (აჭარა), წინასწარი მონაცემები, - იბერია-კოლხეთი X, თბ., 2014;
18. ფაღავა ი., თურქია ს., ვარშალომიძე ი., ქუფური საფასეების მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, VI, ბათუმი, 2016;
19. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, 1966, თბ.;

Tab. I



დარჩიბეზის ციხე



დარჩიბეზის ნაეკლესიარი

Tab. II



წყარო-შადრევანი სოფელ დარჩიბეებიდან -„ბუხრის წყალი“



ბიზანტიური მონეტა

ქრისტიანული ძეგლების კვლევის საკითხისათვის ჩაქვისწყლის ხეობაში
For the Issue of Research of Christian Monuments in Chakvistkali Valley

ნარგიზ სურმანიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი,

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის

მეცნიერ-თანამშრომელი,

ისტორიის აკადემიური დოქტორი

Nargiz Surmanidze

LEPL AJARA MUSEUM,

The Batumi Archaeological Museum,

Academic Doctor of History

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.06>

აბსტრაქტი: ჩაქვისწყლის ხეობაში (სოფლები: გორგაძეები, ხალა, ჩაქვისთავი, ზედა აჭყვა, ჩაისუბანი) არაერთი ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი. ძეგლები არქეოლოგიურად შეუსწავლელია. მიუხედავად ამისა არ გამოვრიცხავთ, რომ მათი ერთი ნაწილი აგებული ყოფილიყო პეტრას საეპისკოპოსოს არსებობის (VI-IX სს) ხანაში და მასზე ვრცელდებოდა ამ საეპისკოპოსოს უირისდიქცია.

ჩაქვისწყლის ხეობაში ქრისტიანული საკულტო ნაგებობების ნაშთების გარდა გვხვდება ტოპონიმები რითაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოინახა ქრისტიანული კულტურის ელემენტები ოსმალთა ბატონობის ხანაში.

ოსმალთა ბატონობის დროს შექმნილი მძიმე მდომარეობის მიუხედავად ხეობის მოსახლეობა დიდხანს ქრისტიანობდა. XVII-XVIII სს სოფ. ჩაქვისთავში არსებობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმა-მამულები, რომელმაც საზღვარგარეთ ქართველთა კუთვნილი წმინდა ადგილების ფინანსური მხარდაჭერის საქმეში თავისი წვლილი შეიტანა.

საკვანძო სიტყვები: ჩაქვისწყლის ხეობა, პეტრას საეპისკოპოსო, გორგაძეების ქვაჯვარი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ყმა-მამულები

Abstract: In the Chakvistkali valley (villages: Gorgadzeebi, Khala, Chakvistavi, Zeda Achkva, Chaysubani) the ruins of many churches have been preserved. The monuments have not been studied archaeologically. However, we don't exclude that the construction of one part of them is associated with the period of the existence of the episcopate of Petra (6th-9th centuries). If we take into account the fact that in the north it borders Petra-Tsikhisdziri, and episcopal jurisdiction extended to the south of Lazeti, then, naturally, the church life of this part of the coastal zone of Ajara could not remain outside the episcopal flock of Petra.

In addition to the remains of Christian religious buildings, there are found toponyms in the Chakvistkali valley, which indicates that the local population preserved elements of Christian culture during the Ottoman rule.

In the 17th and 18th centuries, in the village Chakvistavi there were estates of the Monastery of Cross of Jerusalem, which contributed to the financial support of the holy places that belonged to Georgians abroad.

Key words: Chakvistaskali valley, stone-cross of the village Gorgadzeebi, estates of the Monastery of Cross of Jerusalem

ჩაქვისწყლის ხეობა (ქობულეთის მუნიციპალიტეტი) მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ქრისტიანული საკულტო ნაგებობები. მათი დიდი ნაწილი, ჟამთა სიავიდან გამომდინარე, ნანგრევებად არის ქცეული, ნაწილი კი - საერთოდ გამქრალია, ან კიდევ, ინფორმაცია მოსახლეობის მეხსიერებასა და ტოპონიმებშია დალექილი.

ნაეკლესიარების შესწავლის მიზნით ჩაქვისწყლის ხეობაში არქეოლოგიური გათხრები ჯერ არ ჩატარებულა. აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერ ფონდში ინახება მუზეუმის თანამშრომლების მიერ სადაზვერვო ექსპედიციების დროს (XX საუკუნის 50-60-იანი წლები) შეგროვებული ცნობები, რომლებიც ეხება ხეობის სოფლებში შემორჩენილ ნაეკლესიარებს. საფონდო მასალაზე დაყრდნობით ჩვენც მოგვეცა შესაძლებლობა გადაგვემოწმებინა მონაცემები და დაგვეფიქსირებინა ზოგიერთი ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა. გარდა ამისა, ადგილობრივ მცხოვრებთა მითითებით აღმოჩნდა ახალი ძეგლებიც.

სოფ. გორგაძეებში, ჯ. გორგილადის საკარმიდამო ნაკვეთში (ადგილის ტოპონიმი ქილისა), მდებარეობს ნაეკლესიარი. შემორჩენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის (აფსიდის) მცირე მონაკვეთი. სამხრეთ-დასავლეთით კარგად იხაზება დარბაზული ეკლესიის გეგმა. შემორჩენილი კედელი ფლეთილი ქვებითაა ნაგები. ნაეკლესიარის ირგვლივ მიმობნეულია სამშენებლო ქვები (მათ შორის, ბაზისის). ყურადღებას იქცევს ერთი კვადრი (სურ. 1), რომლის ერთ მხარეს ფონის კვეთის მეთოდით გამოყვანილია ორი ტოლმკვლავებიანი ჯვარი, ხოლო მეორე მხარეს ცენტრში ჩაკვეთილი ნახევარწრიული მოყვანილობის მონაკვეთი სხვა საგნის ჩასასმელ ბუდეს წააგავს. სიგრძივი ჭრილის შუა ნაწილში ორი ოთხკუთა ფოსოა ამოჭრილი. შესაძლოა მასში ქვის სვეტები იდგმებოდა. ჯ. გორგილადის გადმოცემით ნაეკლესიარის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის გასწვრივ გზის გაყვანის დროს აღმოჩნდა ადამიანის ძვლები. როგორც ჩანს ეკლესიის ეზო სამაროვანად იყო გამოყენებული.

სოფელ გორგაძეებში, გორგაძეებისა და ზედა აჭყვის გამყოფ ქედზე, მეორე ეკლესიაც ყოფილა აგებული. ამ ადგილიდან კარგად მოჩანს მთელი ჩაქვისწყლის ხეობა. შესაძლებელია სტრატეგიული მდებარეობა ეკლესიას საფორტიფიკაციო-სასიგნალო ფუნქციასაც მატებდა.

საცხოვრებელი სახლის აშენების დროს ნაეკლესიარი მთლიანად განადგურებულა. ამჟამად მის მიმდებარე ტერიტორიაზე მხოლოდ მიწაში ჩადგმული ქვევრების ნაშთებია შემორჩენილი. ქვევრები დაუზიანებია გზის გაყვანის დროს წარმოებულ სამუშაოებს. განადგურებას გადაურჩა ქვაჯვარი, რომელიც აჭარის მუზეუმის, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმშია დაცული. იგი წარმოადგენს კონტურების მიხედვით გამოჭრილ უბაზისო ქვის ჯვარს, რომელზეც წინა მხარეს, ჯვრის მკვლავების გადაკვეთაზე, ფონის კვეთის ტექნიკით გამოყვანილია ნახევარკალისებრი მოყვანილობის ბაზისზე აღმართული პატარა ზომის რელიეფური ჯვარი

(სურ. 2). ვფიქრობთ, რომ სოფელ გორგაძეების ქვაჯვარა ეკლესიასთან ახლოს უნდა ყოფილიყო აღმართული.

კონტურის მიხედვით გამოჭრილ ქვის ჯვრებს სტელების კატეგორიას მიაკუთვნებენ. მათი დანიშნულების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებაა გამოთქმული. თვლიან, რომ ისინი წარმოადგენენ საკულტო, მემორიალური და საკუთრების უფლების მქონე იურიდიული ხასიათის ძეგლებს, რომლის გვერდით აღიარებულია მათი თავდაპირველი სალოცავი დანიშნულება (ცისკარიშვილი, 1959:72; ბერძენიშვილი, 1966:164; ბერძენიშვილი, 1976:115).

მელიქსეთ-ბეგი მიიჩნევდა, რომ საქართველოში ბაზისიანი ჯვრები თაყვანსაცემი ჯვრებია, ხოლო უბაზისო - საზღვრების ნიშნები (მელიქსეთ-ბეგი, 1924:80). ქვაჯვარების მელიქსეთ-ბეგისეული დაყოფის საფუძველს ვერ ხედავს მეცნიერთა ნაწილი (ცისკარიშვილი, 1959:82; თოფურია, 1943:59-60). დ. ბერძენიშვილი ფიქრობდა, რომ სალოცავად აღმართული ჯვარი უმრავლეს შემთხვევაში მიწის საკუთრების ნიშანიც იყო და ქრისტიანობის პირველ ხანებში საეკლესიო-სამონასტრო მიწათმფლობელობისაც - „ხატის მამულების“ წარმოშობასთან არის დაკავშირებული. ჯვრების აღმართვის შემდეგ მათ სიახლოვეს ეკლესიებიც შენდებოდა (ბერძენიშვილი, 1966:157, 164; ბერძენიშვილი, 1976:115). საქართველოში ცალკე მდგომი ქვაჯვარები გვხვდება ზრბეთის ხეობაში, ორბეთის გზაზე. აქ ერთი კილომეტრის მოშორებით არის ციხისა და ეკლესიის ნანგრევები, ხოლო გუდარეხის ხევში, სოფ. ღორისთავთან ქვაჯვარა დგას ეკლესიიდან ორი მეტრში (ციციშვილი, 1985:11-13). ქვაჯვარების აღმართვა მეზობელ ქვეყნებშიცაა დადასტურებული (ჩუბინაშვილი, 1936:211-212).

საქართველოში ჯვრის აღმართვის ტრადიცია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას უკავშირდება. ქართლის ცხოვრების მიხედვით მტკვარში პირველი საყოველთაო ნათლობის შემდეგ, წმ. ნინომ და მირიან მეფემ თხოთის მთაზე, უჯარმასა და მცხეთაში ხის ჯვრები აღმართეს (ქცა, 1955:112). მცხეთის პატიოსანი ჯვარი გოლგოთას ჯვრის ხატებად გადაიქცა (წმ.იოანე დამასკელი, 2002:432; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017:55).

V საუკუნიდან იწყება ჯვრიანი ქვების (სტელების) აღმართვაც (მაჩაბელი, 2008:8). ქვაჯვარებს სალოცავი დანიშნულება ჰქონდა და ეკლესიის მაგივრობასაც სწევდა. ქრისტიანული სიწმინდის იდეური შინაარსი არ გამორიცხავს, რომ აქაც, ისევე როგორც იერუსალიმში უფლის ჯვართან ტარდებოდა ღვთისმსახურება (მაგ. ნათლობა) (Чубинашвили, 1978:8, 10; დადიანი, კვაჭატაძე, ხუნდაძე, 2017:58).

ნაეკლესიარის ნანგრევებს მივაკვლიეთ სოფ. ზედა აჭყვაში მ. ჩხაიძის საკარმიდამო ნაკვეთში, სკოლასთან ახლოს, საიდანაც კარგად მოჩანს ხეობის ვრცელი მონაკვეთი. ეკლესია საძირკვლამდე დანგრეული და ხეებითაა გადაფარული. ხეებს შორის კარგად შეინიშნება ფლეთილი ქვებითა და კირის დულაბით ნაგები კედლის ფრაგმენტები.

ზემოთ აღნიშნული ძეგლების გარდა ჩაქვისწყლის ხეობაში საყდარ-ეკლესიების ნანგრევები გვხვდება სოფ. ჩაქვისთავშიც (აფხაზავა, კახიძე, კალანდაძე, 1980:30). აღ. ქათამაძე საექსპედიციო დღიურში ასახელებს გორჯელაძეების, ლამპარაძეებისა და კონცელიძეების ნასაყდრალს (ქათამაძე, 1961:10). ლამპარაძეების ნასაყდრალზე დღემდეა შემორჩენილი ქვის საძირკველი, ქვით შემოყორილი ადგილები და ქვევრის ნაშთები. კონცელიძეების ნასაყდრალზე კი გადარჩენილია მარანი და საწნახელის ქვა. დასახლების ფორმა, რელიეფი და კლიმატური პირობები ხშირად

მოითხოვდა ცალკეულ უბნებში (მეკელეებში) მცირე სალოცავების მშენებლობას. ამიტომაც ერთ სოფელში რამდენიმე ეკლესიის არსებობა ჩვენი სინამდვილისათვის უცხო არაა.

ჩაქვისწყლის ხეობაში შემორჩენილი ნაეკლესიარები არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ამ ეტაპზე არსებული მონაცემები არ გვაძლევს ძეგლების დათარიღების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, არ გამოვრიცხავთ, რომ მათი ერთი ნაწილის მშენებლობა პეტრას საეპისკოპოსოს არსებობის (VI-IX სს) ხანას უკავშირდებოდეს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხეობას ჩრდილოეთით ესაზღვრება პეტრა-ციხისძირი (დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ადმინისტრაციული ცენტრი), საეპისკოპოსოს იურისდიქცია კი ლაზეთის სამხრეთით ვრცელდებოდა (დიასამიძე, 2009:59-85; კახიძე, ხალვაში, 2009:114), ბუნებრივია, აჭარის ზღვისპირა ზოლის ამ მონაკვეთის საეკლესიო ცხოვრება ვერ დარჩებოდა პეტრას საეპისკოპოსოს სამწყსოს გარეთ.

შემდგომ პერიოდში საქართველოს ერთიანი მონარქიის შეიქმნას, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების მცხეთის საკათალიკოსოს გარშემო გაერთიანებას თან სდევდა გარკვეული ცვლილებები. ამ დროს გაუქმდა პეტრას საეპისკოპოსო და დაწინაურდა ხინოწმინდა. საფიქრებელია, რომ ჩაქვისწყლის ხეობის ეკლესიები ამ უკანასკნელს დაექვემდებარა. ზემოთ აღნიშნულ საკითხებს მომავალში ნათელს მოჰფენს არქეოლოგიური გათხრები.

აჭარაში ქრისტიანული რელიგია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ოსმალთა ბატონობის დროს. საარქივო მასალებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ აჭარა 1561 წლიდან უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება. დამყარდა დამპყრობთა ადმინისტრაციული მმართველობა (შაშიკაძე, 2002:149). მიუხედავად ამისა, აქაური მოსახლეობა დიდხანს ქრისტიანობდა. უფრო მეტიც, ფინანსურად ეხმარებოდა საზღვარგარეთ არსებულ ქართულ ქრისტიანულ ცენტრებს. ამ ისტორიულ პროცესში ჩაქვისწყლის ხეობიდან სოფ. ჩაქვისთავიც იყო ჩართული.

გიორგი მესამე გურიელის (1664-1668 წწ) მიერ ჯვრის მონასტრის მამა ზაბილონისადმი მიცემულ ფიცის წიგნში სოფელი ჩაქვისთავი მოიხსენიება „საჯვარისმამო საქონებელით“. გურიის მთავარი ჯვრის მონასტერსა და ქრისტეს საფლავს ყმა-მამულებს სწირავს: „ჩაქთავს ორი კულამლი კაცი საჯვარისმამო დათულა გორგილაძე და გიორგი და მეორე კულამლი ჩიტაიშვილი ბააკა“ (სიხარულიძე, 1959:96).

ცნობილია, რომ XVII საუკუნის დასაწყისში, სამხრეთ საქართველოში, „ქობულეთის ქვეყანაში“, ცენტრით ჩაიხედენა ჩამოყალიბდა იერუსალიმის ქართული კოლონიის ფილიალი (სამეურნეო-იდეოლოგიური განშტოება), რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უცხოეთში ქართველთა კუთვნილი წმინდა ადგილების ეკონომიკურ-ფინანსური მხარდაჭერის საქმეში (ქათამაძე, 2002:19-24; ქათამაძე, 2009:289). გურიის მთავრები, რომლებიც იერუსალიმისა და სრულიად საქართველოს პატრიარქ დოსითეოსის მიერ ქართული ეკლესია-მონასტრების ვალების დასაფარავად გაშლილ მოძრაობას გვერდით დაუდგნენ, ცდილობდნენ დაეცვათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კუთვნილი ყმა-მამულები. მიუხედავად ამისა, ისევე, როგორც სხვაგან, სოფ. ჩაქვისთავშიც ადგილი ჰქონდა მათ დაკარგვას, დახსნასა და ხელახალ შეწირვას (ქათამაძე, 2009:289-295).

გურიის მთავრების მხრიდან შექმნილი პრობლემების გამო ოსმალეთის ხელისუფლებას დაპყრობილი რეგიონების შენარჩუნებისათვის დიდი ძალისხმევა დაჭირდა. ადგილობრივ დიდგვაროვნებს, გულის მოგებისა და გადაბირების მიზნით, გარკვეულ პრივილეგიებს

ანიჭებდნენ. ალა-ბეგებს ისინი შესაბამისი ფირმანით ურიგებდნენ საგამგებლო ტერიტორიებს და შენარჩუნებაშიც კი ეხმარებოდნენ. ჩანს, რომ ბათუმი და მისი შემოგარენი ადგილობრივი ალა-ბეგებისა და გურიელების დავის საგანი იყო, რის გამოც ეს კუთხე ხშირად ხელიდან ხელში გადადიოდა. ამის ნათელი დადასტურებაა 1718 წლის სულთან მაჰმუდის მიერ ახმედ და მუსტაფა სანჯაყ ბეგისადმი მიცემული ფირმანი, სადაც ნათქვამია რომ „სანჯაყი და ნაჰიე ბათუმი, ანარია, ყოროლისთავი, ..., თევზის სარეწი ბაჟები, ..., სანჯაყ ბეგთა საგვარეულო სარჩო იყო. სოფლებიდან ზოგიერთი დავთარში შეტანილი არ ყოფილა, რადგან მხარეს დაეუფლა მელიქლერი გურიელი (საუბარია მამია გურიელზე), რომელმაც ჩამოართვა თქვენს წინაპრებს ესენი და არ გაძლევდათ ნებას გესარგებლათ მათი შემოსავლით. თქვენის საჩივრის გამო ხალილ ფაშამ აწარმოა გამოკვლევა და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული სოფლები იმყოფებოდნენ თქვენს მფლობელობაში და, რომ, სახელდობრ, ძველი და ახალი სიმაგრეები - ბათუმი, **ჩაქვისთავი**, გონია და ხერთვისი შეტანილი არ იყო დავთარში... ამჟამად, ეს სოფლებიც შეუერთდა თქვენს სამფლობელოს სხვა სოფლებთან ერთად... (Бакрадзе, 1889:13-14; სურმანიძე, 2009:15-16).

ბუნებრივია, გამაჰმადიანებული თავადები მათდამი დაქვემდებარებულ მხარეებში ქრისტეს ღვთისმსახურებასა და ყმა-მამულების იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრებაში ყოფნას არ დაუშვებდნენ. XVIII საუკუნის შუა ხანებისათვის, კერძოდ, 1739 წელს მამია გურიელის მიერ ჯვრის მონასტრის მამა გერასიმესადმი მიცემული საფიცრის წიგნის მიხედვით სოფ. ჩაქვისთავი კვლავ მოიხსენიება „საჯვარისმამო საქონებით“(ქათამაძე, 2002:19-24), მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ კუთხეს ოსმალები სრულად ფლობენ.

დამპყრობლებმა დაიწყეს ქრისტიანობის დევნა, შეწყდა ღვთისმსახურება, ჩამოიშალა და დაზიანდა ეკლესიები, ბევრი მათგანი საერთოდ გაქრა. სამაგიეროდ გამრავლდა მეჩეთები და მათთან არსებული მაჰმადიანური სასულიერო სკოლები (მედრესეები), სადაც დაპყრობილი რეგიონის მოსახლეობას მათთვის გაუგებარ ენაზე (თურქულად და არაბულად) ასწავლიდნენ მაჰმადის სჯულს (ახვლედიანი, 1943:130-132) და აიძულებდნენ რელიგიური წესების შესრულებას (ბაქრაძე, 1987:73). ჩაქვისწყლის ხეობაში მსგავსი დაწესებულებები აგებული იყო სოფლებში: ჩაქვისთავი, ხალა, ჩაისუბანი (დიდიჯამე) (ახვლედიანი-კირისიროლი, 1944:122-124).

თავს მოხვეული რელიგიის (ისლამი) მიუხედავად მოსახლეობამ შემოინახა ქრისტიანული კულტურის ელემენტები. ჩაქვისწყლის ხეობაში ისტორიული რეალობა თავს იჩენს ტოპონიმებში, რომლებიც მიეკუთვნება ეკლესიონიმთა რიგს.

ქრისტიანულ საკულტო ნაგებობებს უკავშირდება ტოპონიმები - შუამთის მონასტერი, მონასტრის წყალი (სოფ.ჩაისუბანი). სახელწოდებები ნასაყდრალი, საყდარი (სოფ. ჩაისუბანი, ჩაქვისთავი) პატარა სამლოცველოების არსებობაზე მიუთითებს. ტერმინი ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის (ძვ.წ. II ათასწლეული) პერიოდიდან მომდინარებს და განსაკუთრებული დანიშნულების სახლს აღნიშნავდა, სადაც სრულდებოდა ღვთისმსახურება. დამკვიდრებული ტრადიციის გავლენით ქრისტიანობის გავრცელების პირველ ეტაპზე ქრისტიანულ საკულტო შენობებს ეწოდა საყუდარი//საყდარი.

ოსმალთა გაბატონებისა და თურქული ენის გავრცელების შედეგად ზოგიერთი სახელი ითარგმნა. მსგავსი სურათი გვხვდება ეკლესიის აღმნიშვნელ ტოპონიმებთან მიმართებაშიც. მაგ. ქილისა (გორგაძეები).

ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული იერუსალიმური ტოპონიმებიდან ყურადღებას იქცევს სოფელ ჩაქვისთავში მდებარე მთა - **ბეთლემი** (ჯიქია, 1958:190). ისტორიოგრაფიაში ასეთივე

სახელის მთა მოხსენიებულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელებში აგარასა და ზესოფელში (ფუტკარაძე, ქათამაძე, 2012:140; მიქელაძე, 2013:74). გადმოცემით აქ განდგომილი ბერები მოღვაწეობდნენ და კლდეში გამოკვეთილ კელიებში ცხოვრობდნენ. აჭარის ამ კუთხის ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შემთხვევაში ერთი და იგივე მთაზეა საუბარი, რომელიც ჩაქვისწყლის ხეობისა და ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების, ხეობების გამყოფი მთათა სისტემის ნაწილია (სურმანიძე, 2009:87). მსგავსი სახელწოდებები საქართველოს არაერთ კუთხეშია (ქვებისა და მონასტერის სახელი მცინვარის კალთებზე, მღვიმე მცხეთაში, სოფელი სენაკის რაიონში) დადასტურებული. მიჩნეულია პალესტინური წარმომავლობისად (ებრაული ბეთ ლეხემ „სახლი პურისა“ იმ ადგილს ეწოდება, სადაც ქრისტე იშვა) და თვლიან, რომ ამ შორეული კუთხიდან მიგრირების პროცესებს უნდა ასახავდეს (ჯიქია, 1958:190; ცხადაია, 2005:81-82).

საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებას თან ახლდა ქრისტეს დაბადებასთან, მოღვაწეობასა და წამებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების გავრცელება, რაც ბუნებრივი პროცესია. ჩაქვისწყლის ხეობაში გეოგრაფიული სახელის ბეთლემის გარდა მიგრირებულად შეიძლება მივიჩნიოთ სოფ. ჩაისუბანში, მდინარე მეჩხერისწყლის მარჯვენა მხარეს მდებარე ერთ-ერთი ადგილის სახელი - **გასამანია//გეთსამანიაც**.

იერუსალიმურ სიწმინდეებთან არის დაკავშირებული ტოპონიმი - **ხატიმამული** (ტყე ხალაში), **ჯვრის მთა** (ჩაქვი-მახინჯაურის ქედზე). ქრისტიან წმინდანთან (წმ.გიორგი) აკავშირებენ სოფლის სახელწოდებას - **გორგამეები** (გორგილამეები) (ფუტკარაძე, ქათამაძე, 2012:141; მიქელაძე, 2013:75).

ჩანს, რომ ჩაქვისწყლის ხეობას ადრეული შუასაუკუნეებიდან ინტენსიური ურთიერთობა აქვს ქრისტიანულ სამყაროსთან (ბიზანტიასთან, იერუსალიმთან) და ჩართულია იმ ისტორიულ პროცესებში, რომელიც ქრისტიანობის გავრცელებას, განმტკიცებასა და დაცვას ისახავდა მიზნად.

გამოყენებული ლიტერატურა

- აფხაზაფა ტ., კახიძე ა., კალანდაძე შ., ქობულეთის რაიონის კულტურის ძეგლები (მეგზური), ბათუმი, 1980
- ახვლედიანი-კირისიროლი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 საუკუნეები), ბათუმი, 1943
- ახვლედიანი ხ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1978
- ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987
- ბერძენიშვილი დ., საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966
- ბერძენიშვილი დ., ორი ქვაჯვარის ბაზისი ქვემო ქართლიდან. - ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ.108-111
- დადიანი თ., კვაჭატაძე ე., ხუნდაძე თ, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, თბ., 2017
- დასამიძე ბ., ქრისტიანობა აჭარაში. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, 2009:59-85
- იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი, 1948
- კახიძე ა., ხალვაში მ., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი, 2009, გვ. 98-114
- მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები, თბ., 2008
- მიქელაძე ნ., ტოპონიმიკური თქმულება-გადმოცემები აჭარაში (სადოქტორო ნაშრომი), 2013
- მელიქსეთ-ბეგი, მანგლისის რაიონი ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით. - ახალი სკოლისაკენ, №2-3, თბ., 1924
- სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, I, ბათუმი, 1957
- სურმანიძე ნ., ჩაქვისწყლის ხეობა (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), (სადოქტორო ნაშრომი), ბათუმი, 2009
- თოფურია ვ., ქვაჯვარანი საქართველოში. - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, IV, თბ., 1943
- ფუტკარაძე თ., ქათამაძე ც., ქრისტიანულ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული ტოპონიმები აჭარაში. - სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, II, თბ., 2012 გვ. 139-145
- ქათამაძე ალ., კომპლექსური ექსპედიციის მასალები ჩაქვის ხეობაში 1961 წელს, აჭარის მუზეუმის - ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერი ფონდი №513
- ქათამაძე ც., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა იერუსალიმთან (XVI-XVIII სს), ავტორეფერატი, თბ., 2002
- ქათამაძე ც., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულები აჭარაში (ქობულეთი). - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, II, ბათუმი - 2009, გვ. 289-295
- ქართლის ცხოვრება, ს.ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბ., 1955
- შაშიკაძე ზ., ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI ს-ის აჭარის ისტორიიდან. - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული, III, ბათუმი, 2002, გვ.149-160
- ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, თბ. 1959
- ცხადაია პ., ონომასტიკის შესავალი, თბ., 2005

წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა (ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედ. ჭელიძემ), თბ., 2002

ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958


ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტფ., 1936

Бакрадзе Дм., Исторический очерк турецкой системы землевладения – Приложение к протоколу Кавказского юридического общества, №9, 1889, сс. 1-33

Чубинашвили Н., Хандуси, Тб., 1978



სურ. 1



სურ. 2

ქვემო მაჭახლის ექსპედიციის, სოფელ ქედქედის (სინდიეთი)
არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (2021 წელი)
Report on archaeological expedition of Kvemo Machakheli, Kedkedi village (Sindiety)
(2021 year)

თამარ შალიკაძე

სსიპ - აჭარის მუზეუმი,
სამეცნიერო და საგამომცემლო საქმის კურატორი
ისტორიის აკადემიური დოქტორი.

იზოლდა დუმბაძე

სსიპ - აჭარის მუზეუმი,
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის
ექსპოზიციის სამსახურის უფროსი,
არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი.

Tamar Shalikadze

LEPL Ajara museum,
Curator of scientific and publishing work
Doctor of History.

Izolda Dumbadze

LEPL Ajara museum,
Head of archaeological exposition
Batumi Archaeological Museum.
Doctor of archaeology.

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.07>

აბსტრაქტი: ქვემო მაჭახლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კვლევითი სამუშაოები აწარმოა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში (სინდიეთი), სადაზვერვო სამუშაოების დროს გამოვლენილი მარანის შესწავლის მიზნით. იგი მდებარეობს კერძო პირის სულიკო ძნელაძის საკარმიდამო ნაკვეთში. თხრილი მიმართულია ჩრდილოეთით, მარანი დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ. არქეოლოგიური სამუშაოები ვაწარმოეთ მარანის სამხრეთის მიმართულებით. NO სექტორის I კვადრატში, 50 სმ. სისქის ჰუმუსის მოხსნის შემდეგ, გაიწმინდა 6 მ. სიგრძის, სხვადასხვა ზომის მშრალად ნაგები ქვის წყობა - ყორე. იგი უშალოდ ე.წ. სათავსოს გაგრძელებას წარმოადგენს. რომელსაც ჰქონია მომრგვალებლი 1,40სმ. სიმაღლის შესასვლელი. შიდა სივრცის გვერდები საგანგებოდაა ჩამოსწორებლი, რაც თითქოსდა ქმნის ავზის შთაბეჭდილებას. მარანის ცენტრალურ ტერიტორიაზე გაიწმინდა სამ რიგად განლაგებული ქვევრები. ყველაზე დიდი ქვევრის ირგვლის თავმოყილია საშუალო ზომის ქვევრები, პირველად გვხვდება ასევე, პატარა ზომის ორი ქვევრი. ჯერჯერობით მიკვლეულია თორმეტი ქვევრი. გაიწმინდა პირ-ყელისა და მხრის დონეზე. ყველა მათგანი კირქვის ფენითა და პატარა ზომის ქვებითაა გამაგრებული. მიეკუთვნება სადა და რელიეფური ზოლებით შემკული ქვევრების ტიპს. მსგავსი ქვევრები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა მარნებზე, ისინი მე-12 საუკუნით თარიღდება. გამორჩეულია მე-8 ქვევრი. შემკულია რგოლისებური ფორმის რელიეფური სარტყელით, რომელსაც მოსდევს წრიული ზოლები. აჭარის ძეგლებზე მსგავსი ქვევრები გვხვდება, როგორც იმპორტის, ასევე ადგილზე დამზადებული ნიმუშების სახით.

სოფელ სინდიეთში გამოვლენილი მარანი წინასწარულად შეიძლება XII-XVI სს დათარიღდეს. მიეკუთვნება ფერდობზე გამართულ, ტერასული ტიპის კომპლექსს, რომლის გამაგრებისათვის გამოყენებულია ქვის ყორის წყობა და მკვრივი ქანი. ქვევრების გარდა მის ნაწილს შეადგენს საწნახელი და თონე მათი შესწავლა მომავლისშიც

გაგრძელება.

საკვანძო სიტყვები: სინდიეთი, მარანი, რელიეფურორნამენტური ქვევრები.

Abstract: Kvemo Machakheli Archaeological Expedition conducted research works in the village of Kedkedi (Sindieti), Khelvachauri Municipality, in order to study the cellar spotted during observations. It is located in the property of a private citizen - Suliko Dzeladze. The pit is directed towards north and the cellar is directed towards east. We conducted archaeological works in the southern direction of the cellar. In the I square of sector NO, after removing humus, we cleaned drily built stone formations of 6 meter length and different sizes, which is a direct continuation of so called "storeroom", it had a rounded 1,40 santimeters enterence. The walls of interior space are straightened on purpose, which seemingly creates the impression of a tank. We have cleaned three lines of Kvevris, located in the central area of the cellar. The largest Kvevris are surrounded by medium-sized Kvevris and for the first time, we found two small sized Kvevris. So far we have discovered twelve Kvevris. We cleaned their mouths, necks and shoulders. All of them are strengthened with a layer of limestone and small sized stones. They belong to a plain type of Kvevris decorated with relief stripes. Similar Kvevris are widespread in different cellars of Georgia, they date back to the twelfth century. The eighth Kvevri is distinguished. It is decorated with a ring-shaped relief belt, followed by circular stripes. Similar Kvevris can be found on the monuments of Ajara, as well as imports and locally made samples.

The cellar discovered in the village of Sindieti can be pre-dated to XII-XVI centuries. It belongs to the terrace-type complex on the slope, for the reinforcement of which a stone formation and dense rock are used. In addition to the Kvevris, the winepress and tandoor are also a part of the cellar. We will continue to study them in the future as well.

Key words: Sindieti, cellar, Kvevris with relief ornament.

2021 წლის შემოდგომაზე ქვემო მაჭახლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ კვლევითი სამუშაოები აწარმოა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქედქედში (სინდიეთი), სადაზვერვო სამუშაოების დროს გამოვლენილი მარანის შესწავლის მიზნით. მარანი მდებარეობს კერძო პირის სულიკო ძნელაძის საკარმიდამო ნაკვეთში. ბორცვოვან-ტერასული ადგილი მთლიანად დაფარული იყო ეკალ-ბარდებითა და ბუჩქნარით, ამიტომაც თავდაპირველად დავიწყეთ შესასწავლი ტერიტორიის მათგან გასუფთავება. თანდათან ჩნდებოდა მასიური ქვის მონოლითში გამოკვეთილი წრიული ფორმის სათავსო, ასევე სახვადსახვა ზომის ქვებისაგან გამართული წყობებიც. ამის შემდეგ თხრილი ავგეგმეთ და დავყავით I და II კვადრატებად (ზომები 4X4).

თხრილი მიმართულია ჩრდილოეთით, მარანი დამხრობილია აღმოსავლეთისაკენ. გადავწყვიტეთ მიმდინარე სეზონზე არქეოლოგიური სამუშაოები მარანის სამხრეთის მიმართულებით გვეწარმოებინა. NO სექტორის I კვადრატში დავიწყეთ 50 სმ. სისქის ჰუმუსის მოხსნა. აქა-იქ ჩნდებოდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო კერამიკის ფრაგმენტები. კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში დავიწყეთ 1, 60 მ. სისქის გადმონაყარი ბორცვის მოხსნა. თანდათან გაიწმინდა 6 მ. სიგრძის, სხვადასხვა ზომის მშრალად ნაგები ქვის წყობა - ყორე. იგი სამხრეთისკენაა მიმართული და გაუთხრელ ფართობში შედის. სიმაღლე 1,50 სმ. და გამართლია 40 სმ. მქონე მკვრივ ბუნებრივ ქანზე. იგი უშალოდ ე.წ. სათავსოს გაგრძელებას წარმოადგენს. რომელსაც ჰქონია მომრგვალებლი 1,40 სმ. სიმაღლის შესასვლელი. შიდა სივრცის გვერდები საგანგებოდაა ჩამოსწორებული, რაც თითქოსდა ქმნის ავზის შთაბეჭდილებას (მისი შესწავლა მომავლისთვის გადავდევით). შესასვლელთან აქაც კარგად ჩანს მკვრივი დედაქანი. სწორედ ამ სიმაღლეზეა მარანში ჩადგმული ქვევრები. ისინი მარანის ცენტრალურ ტერიტორიაზე სამ რიგადაა განლაგებული. ყველაზე დიდი ქვევრის ირგვლივ თავმოყილია საშუალო ზომის ქვევრები, პირველად გვხვდება ასევე,

პატარა ზომის ორი ქვევრი. ჯერჯერობით მიკვლეულია თორმეტი ქვევრი. გაიწმინდა პირ-ყელისა და მხრის დონეზე. ყველა მათგანი კირქვის ფენითა და პატარა ზომის ქვებითაა გამაგრებული. მათი დახასიათება ასეთია:

ქვევრი № 1 დაფიქსირდა NO სექტორის II კვადრატის ჩრდილოეთ ნაწილში. გაიწმინდა პირ-ყელისა და მხრის ფრაგმენტები. ყავისფერკეციანი. პირი მასიური, სამკუთხაგანიკვეთიანი პირი დაფარულია დახრილი ჭდეებით. ყელი ფართო. მიეკუთვნება რელიეფური ზოლებით შემკული ქვევრების ტიპს. კეცის სისქე- 2,5 სმ/. ყელის სიფართოე 30 სმ., პირის ქობა- 61 სმ. მისგან სამხრეთით 1,15 მ.

ქვევრი № 2. დაფიქსირდა NO სექტორის II კვადრატის ცენტრალურ ნაწილში. ყავისფერკეციანი. პირი სამკუთხაგანიკვეთიანი, შემკულია დახრილი ჭდეებით. (ცნობილია ჭდეების სხვადასხვა ვარიაციები) ყელი ფართო. მხრის ტანის დასაწყისი რელიეფური ზოლითაა შემოფარგლული. კეცის სისქე 1 სმ., პირის დმ. -30 სმ. პირის ქობა -8 სმ. მისგან 3, 8 მ. მსგავსი ქვევრები ჩნდება აჭარისწყლის განვითარებული შუა საუკუნეების (ციხისყელი, ცივასულა, ჭვანის ციხე) ძეგლებზე (მამულაძე, 1993:38-39;45-46;61; ტაბ.9,2-3; მამულაძე, 2000:33-41; 45-52; ხალვაში, მამულაძე, მინდორაშვილი, 2017:97-99, ტაბ VII. სურ,30.1-2).

მოშორებით ჩადგმულია პირველი რიგის მესამე ქვევრი. დაზიანებული. გდარაჩენილია ტანის ფრაგმენტები. ესეც მიეკუთვნება რელიეფური ზოლებით შემკული ქვევრების ტიპს. იგივე შეიძლება ვთქვათ მისგან სამხრეთით NO სექტორის I კვადრატში დაფიქსირებულ მე-4 ქვევრზეც.

მეორე რიგის ქვევრები გაიწმინდა NO სექტორის I კვადრატის აღმოსავლეთ ნაწილში.

ქვევრი № 5 დაზიანებული. თიხისა და შემკულობის მიხედვით ჩანს, რომ იგი თავის დროზეც ყოფილა დაზიანებული და დახიზული, ხოლო შემდეგ გამაგრებული. ამ ქვევრის შემთხვევაში საქმე გვაქვს სამმაგი გამაგრებისა და დაკირვის ფაქტთან. მსგავსი ქვევრები ამ სახეობის ადრინდელ ნიმუშებს მიეკუთვნება, რაც საინტერესო დეტალია მარნის დათარიღების თვალსაზრისით. ეთნოგრაფ ნოდარ კახიძის გადმოცემით მაჭახლის ხეობაში ადრეც დაფიქსირებულა ძველი პერიოდის ქვევრები ოღონდაც არქეოლოგიური თვალსაზრისით ისინი შუსწავლელია (კახიძე, 1974:45).

ქვევრი № 6. დაფიქსირდა NO სექტორის II კვადრატის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ზომით ყველაზე დიდია. პირი, ყელი და მხრის ნაწილი მომტვრეულია. იგი წყლით იყო გავსებული, ამოტომ იოლად მოვახერხეთ მისი ბოლომდე ამოწმენდა. პირისა და ყელის დიდი ტაწილი შიგნითვე იყო ჩაყრილი. ჰქონია სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, ფართო ყელი სხვებისაგან განსხვავებით ტანი სადაა. ესეც მთლიანადაა გამაგრებული 6 სმ სისქის კირქვითა და კენჭოვანი ფენით. დაცული სიმაღლე - 1,62 სმ.

ქვევრი № 7. დაფიქსირდა NO სექტორის I კვადრატის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. დაზიანებული. რელიეფურზოლებიანი. ყავისფერკეციანი.

ქვევრი № 8. დაფიქსირდა NO სექტორის II კვადრატის სამხრეთ ნაწილში. გაიწმინდა პირ-ყელისა და მხრის დასაწყისი. თიხა მოწითალო-მოყავისფრო. პირი სამკუთხაგანიკვეთიანი ყელი ვიწრო. შემკულია რგოლისებური ფორმის რელიეფური სარტყელით, რომელსაც მოსდევს წრიული ზოლები. ისიც კირქვითა და საშუალო ზომის ერთი რიგითაა გამაგრებული. პირის დმ-44 სმ., ყელის დმ. - 31 სმ., კეცის სისქე 1 სმ. აჭარის ძეგლებზე მსგავსი ქვევრები განსაკუთრებით თავს იჩენს 2012 წლიდან. გვხდება, როგორც იმპორტი ასევე ადგილზე დამზადებული ნიმუშები. აღნიშნული ქვევრის თიხაც ადგილობრივია.

ქვევრი №9. დაფიქსირდა NO სექტორის I და II კვადრატების მიჯნაზე. ზედანაწილი მთლიანადაა ჩალეწილი. მისი ბოლომდე გაწმენდა ვერ მოხერხდა. ესეც გამაგრებულია კირქვის ფენით, აღმოსავლეთით კი მას მკვრივი ბნებრივი ქანიც ემატება.

ქვევრი № 10 დაფიქსირდა NO სექტორის I კვადრატების ჩრდილო-აღმოსავლეთ

ნაწილში. ყავისფერკეციანი. დაზიანებლი, რელიეფური ზოლებით შემკული.

ქვევრი № 11-12. დაფიქსირდა NO სექტორის I კვადრატის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. დაზიანებული. პირისა და ყელის ფრაგმენტები დაკარგულია. დაცული ფრაგმენტის სიმაღლე 30-33 სმ. ესენიც ჩასმულია ბუნებრივ ქანში და კირქვითაა გამაგრებული.

როგორც ვხედავთ სოფელ სინდიეთში გამოვლენილი მარანი წინასწარეულად შეიძლება XII-XVI სს დათარიღდეს. იგი მიეკუთვნება ფერდობზე გამართულ, ტერასული ტიპის კომპლექსს, რომლის გამაგრებისათვის გამოყენებულია ქვის ყორის წყობა და მკვრივი ბუნებრივი ქანი. ღია მარნის შესარჩევად ოდითგან ყურადღება ექცეოდა რამდენიმე უმთავრეს გარემოებას: „ალაგობას“, „მიწას“, ჰაერის „მუშაობას“, მიწისქვეშა და მიწისზედა წყლების მოძრაობას, მზის დამხრობას, ჩრდილის მონაცვლეობას და ა.შ. მიჩნეულია, რომ დასავლეთ საქართველოში, სადაც ნიადაგი ტენიანია, მარანს შედარებით მშრალ, მაღლობ, წყლისაგან მოშორებულ ადგილას აშენებდნენ (ჯორჯაძე, 1976:222; ფრუიძე, 1974:108; თოფურია, 1984:6-7; 20-22; ფრუიძე, 2018:50). სინდიეთის მარანი, გამართულია ყველა გარემოების გათვალისწინებით რაც აუცილებელი იყო ღია ტიპის მარნისათვის. მარანი მკვეთრად დაქანებულ ბორცვზეა გამართული, თირ ნიადაგში. ადგილი მშრალი, ზომიერად საქარული და მზიანია. ჩანს, რომ მაჭახლის ხეობის მოსახლეობა მევენახეობა-მელვინეობის დარგს და მასთან დაკავშირებულ ტრადიციებს ზედმიწევნით კარგად იცნობდა.


ქვევრების გარდა მარნის ნაწილს შეადგენს საწნახელი და თონე, რომელთა შესწავლა მომავლისთვის გადაიდო.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. თოფურია ნ. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1984.
2. ნ. კახიძე. მაჭახლის ხეობა, ბათუმი. 1974.
2. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ., 1993
3. მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ. 2000.
4. ხალვაში მ, მამულაძე შ, მინდორაშვილი დ., -არქეოლოგიური გათხრები ზენდიდში, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები VII, 2017.გვ.68-109.
5. ფრუიძე ლ. მევენახეობა და მელვინეობა საქართველოში, თბ., 1974.
6. ფრუიძე ლ. საქართველოს მევენახეობისა და მელვინეობის ისტორია, წიგნი მესამე, თბ., 2018.
7. ჯორჯაძე ლ. მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ხელმძღვანელობისათვის კახური ღვინის მაყენებლობისა, ტფილისი. 1976.

ტაბულების აღწერილობა
 ტაბულები შიგნით დასანომრია მერე შვეიტანო აღწერაში

სურ. 1



სურ. 2



ՇՖ. I



ՇՖ. II



სამების ეკლესიის 2001 წლის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში
A report on the archaeological researches in Trinity church 20021

ირაკლი ჩავლეიშვილი
სსიპ აჭარის მუზეუმი
ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი,
მეცნიერ-მუშაკი, ისტორიის აკადემიური დოქტორი
Irakli Chavleishvili
LEPL Ajara museum,
Batumi Archaeological, Scientist, PhD in history

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.08>

აბსტრაქტი: სამების ეკლესია მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში, ბათუმიდან აღმოსავლეთით, ერთ-ერთ გამორჩეულ მთაზე. ზღვის დონიდან 333 მეტრზე. დღევანდელ პირობებში სოფელ სალიბაურის გავლით აქ ასფალტირებული გზა ადის.

1874 წელს, დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა აჭარა-გურიაში. სწორედ ის იძლევა ერთადერთ ცნობას სამების ეკლესიის შესახებ.

აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ, მე -20-ს საუკუნის დასაწყისში რუსეთმა დაიწყო თავისი სტრატეგიული სამხედრო ინტერესების განხორციელება ბათუმის აკვატორიაში.

ექვზარეშეა, როდესაც რუსები სამებაში მოვიდნენ, აქ მათ დახვდათ ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები და ამიტომაც სამხედრო ბატარეის გვერდით, გადაწყვიტეს სამხედრო მართმადიდებლური ეკლესიის აშენება. ის პირდაპირ დააშენეს ქართული ეკლესიის ნანგრევებზე.

2001 წელს გადაწყდა ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლა. საკვლევაძიებო სამუშაოების შემდეგ დადგინდა, რომ აქ XIV_XVI საუკუნეებში ფუნქციონირებდა ქართული ერთნავიანი მართმადიდებლური ეკლესია, რომელიც თურქების შემოსევის შემდეგად განადგურდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ, საქართველოს საპატრიარქომ ამ ადგილას ააშენა ახალი ტაძარი.

საკვანძო სიტყვები: აჭარა - გურია, რუსეთი, ეკლესია, თურქეთი

Abstract: Trinity Church is located in the village of Sameba, Khelvachauri Municipality, east of Batumi, on one of the most distinguished mountains. 333 meters above sea level. Nowadays you can get there on an asphalt road which passes through the village of Salibauri.

In 1874, Dimitri Bakradze traveled to Ajara-Guria. He gave the only reference about the Trinity Church.

After Ajara returned to the motherland, at the beginning of the twentieth century, Russia began to pursue its strategic military interests in the waters of Batumi.

Undoubtedly, when the Russians came to Trinity, here they found the ruins of an old Georgian church and therefore, next to a military unit, decided to build a military orthodox church. It was built directly on the ruins of an older one.

In 2001 it was decided to conduct an archaeological study of this place. After the research work, it was established that the Georgian single-nave Orthodox Church functioned here in the XIV_XVI centuries, which was destroyed after the Turkish invasion. After the completion of the works, the Georgian Patriarchate built a new church on this site.

Key words: Ajara-guria, Russia, church, Turkey

სამების ეკლესია მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სამებაში, ბათუმიდან აღმოსავლეთით ერთ-ერთ გამორჩეულ მთაზე. ის მდებარეობს ზღვის დონიდან 333 მეტრზე. დღევანდელ პირობებში, სოფელ სალიბაურის გავლით აქ ასფალტირებული გზა ადის.



1874 წელს დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა აჭარა-გურიაში. სწორედ ის იძლევა ერთადერთ ცნობას სამების ეკლესიის შესახებ. მისი გადმოცემით, მან მოინახულა ბათუმის (თამარის) ციხე და დააპირა სამების ეკლესიის ნახვაც. დაიქირავა მეგზური, რომელმაც შუა გზაში მიატოვა, იმის გამო, რომ საცალფეხო ბილიკი ეკალ-ბარდით ყოფილა მოფენილი, მან ბოლომდე ასვლა ვერ მოახერხა (ბაქრაძე, ? :27)¹.

მეგზურის გადმოცემით, სამების ეკლესია ყოფილა გუმბათოვანი, თუმცა მოგვიანებით, არქეოლოგიური გათხრებით ეს არ დადასტურდა.

მიუხედავად მწირი ცნობებისა, მაინც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დიმიტრი ბაქრაძის ჩანაწერი. მან იმოგზაურა 1874 წელს და დაადასტურა სამების დანგრეული ეკლესიის არსებობა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ თურქების სამასწლოვანი ბატონობის დროს, მოსახლეობას ეკლესიას არავინ ააშენებინებდა, დათარიღებისათვის შეიძლება ვივარაუდოთ XVI საუკუნის დასაწყისამდე პერიოდი.

მას შემდეგ, რაც აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს, მე-20-ე საუკუნის დასაწყისში, მეფის რუსეთმა დაიწყო თავისი სამხედრო, სტრატეგიული ინტერესების განხორციელება. ამ მიზნით, ბათუმის აკვატორიაში დაიწყო მაღალი ბორცვებისა და მთების ათვისება, რომლებიც ზემოდან გადმოჰყურებდნენ ქალაქს. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მთა იყო სამება.

ექვსგარეშეა, როდესაც რუსები სამებაში მოვიდნენ, მათ აქ დახვდათ ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევები და ამიტომაც სამხედრო საარტელირიო ბატარეის გვერდით, გადაწყვიტეს რუსული სამხედრო მართლმადიდებლური ეკლესიის აშენება.

როგორც ჩანს, მშენებლებმა სამხრეთით გადარჩენილი ქართული ეკლესიის კედელზე (სიმაღლე 1,20სმ), ზემოდან მონოლითად ჩამოასხეს ბეტონის კედელი. ვინაიდან ეკლესიის ზომები არ აკმაყოფილებდათ, ან კიდევ დასავლეთით იმდენად იყო დაზიანებული, რომ მისი გამოყენება შეუძლებელია იქნებოდა, ის სრულად დაანგრიეს და ახალი კედელი ააშენეს. საძირკველისათვის გამოიყენეს იქვე არსებული რიყის და გათლილი კვადრები. გაწმენდითი სამუშაოების დროს კარგად გამოიკვეთა ქართული ეკლესიის საკურთხეველის ნაშთები, რომლის სიმაღლე შეადგენდა 0,7-0,8 მ-ს².

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, XXI საუკუნის დასაწყისში,

1. დიმიტრი ბაქრაძის მეგზური ამბობს, რომ "ბათუმის ციხის (თამარის) მიდამოებში ბევრი დანგრეული ტაძარია. ოთხი მათგანი მას თვითონ უნახავს. ერთი მათგანი ზედ ყოროლიწყლის სათავესთანაა. იგი კარგად დიდი იყო და გუმბათოვანი. იქვე მიხვალ თუ ტყე არ გაკაფე. ახლანდელი ბათუმის ახლოს, მაღალ გორაზე დგას მოზრდილი ეკლესია სამებისა, ჩამოვარდნილი გუმბათით. სამებაში იყო წარწერებიანი საღავის ქვები, ორი მარმარილოსი, ერთი მათგანზე ეწერა „ღმერთო აცხოვნე მარიაშ“, მაგრამ ეს ქვები გაზიდეს და საშენად გამოიყენეს. უფრო ახლოს, ახალშენია და კვესელაურში არის ეკლესიის ნაშთები“.



სამების მიმართ ბუნებრივი ინტერესი გამოხატა საქართველოს საპატრიარქომ. კერძოდ ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ. გადაწყდა ამ ადგილას აშენებულიყო ახალი ტაძარი, რომელსაც დააფინანსებდა წარმოშობით ბათუმელი ბიზნესმენი შალვა ბრეუსი. 2001 წლის ივლისში დაიწყო სამების ნაეკლესიარის არქეოლოგიური შესწავლა³, რომელიც დააფინანსა ბათუმ -ლაზეთის ეპარქიამ.

მთიდან იშლება თვალწარმტაცი ხედი-ბათუმი და ზღვის აკვატორია. მისვლისთანავე დაგვხდა ეკალ-ბარდი და ხეებში ჩაფლული შენობის ნანგრევები. ტერიტორიის გასუფთავების შემდეგ კარგად გამოჩნდა რუსული სამხედრო ეკლესიის ნაშთები, რომელიც უფრო ადრინდელი ქართული ეკლესიის კედლებზე იყო დაშენებული. მოგვიწია საკმაოდ სახიფათო, შრომატევადი სამუშაოების წარმოება. შენობის სახურავი ჩაქცეული იყო, შემორჩენილ ბეტონის კედლებს არავითარი ფასეულობა არ გააჩნდა, ამიტომ მთავარი იყო მათი დემონტაჟი და შუა საუკუნეების ქართული ნაეკლესიარის დაფიქსირება.

რუსების მიერ აშენებული სალოცავი სწორკუთხა იყო. მისი ზომები: 7,25X7,50 მ-ზე. სავარაუდოთ თუნუქით გადახურული. დასავლეთის მხრიდან მას მიშენებული ჰქონდა მცირე ზომის სამრეკლო 1,60 X2,70 მ-ზე. ძველი ქართული ეკლესიის საკურთხეველი რუსებს გაუუქმებიათ და შემორჩენილი ნანგრევები, ახალაშენებული შენობის გარეთ მოექცა, თუმცა ბოლომდე არ გაუნადგურებიათ.

არსებობს გადმოცემა, რომ რუსეთ-თურქების ერთ-ერთი შეტაკების დროს, რუსი ოფიცერი მუხანათურად მოუკლავთ და აქ ეკლესიის გარეთ, ყოფილ საკურთხეველში დაუკრძალავთ. ვფიქრობთ, ამ მიზეზით მოხდა საკურთხეველის პირამდე მიწით შევსება და გარედან სახელდახელოდ შელესვა. შემორჩენილი შენობის სიმაღლე სახურავის გარეშე 4,90 მ-ს შეადგენდა და ის ბათუმის ყველა კუთხიდან საკმაოდ კარგად მოსჩანდა.

მთავარ შესასვლელთან, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ადამიანის 3. არქეოლოგიური ექსპედიცია შედგებოა: ირაკლი ჩავლეიშვილი (ხელმძღვანელი), ანზორ ჯაველიძე (მხატვარ-არქიტექტორი), ზაზა ჩავლეიშვილი (წევრი), გიზო ჩიგოგიძე (ფოტოგრაფი), სოფ. სამების მუშები



ჩონჩხი. როგორც ჩანს, წინა წლებში მიწის სამუშაოების დროს სამარხი დააზიანეს და მისი insitu მგომარეობაში დაფიქსირება ვერ მოხერხდა. მთლიანობაში, სულ ოთხი ჩონჩხია აღმოჩენილი ფრაგმენტების სახით. ორი ჩრდილოეთის კედელთან, საკურთხეველში და ერთიც შესასვლელთან. საინტერესოა ერთი კარგად გათლილი კვადრი, რომელზეც შეინიშნება ფრესკის ფრაგმენტი მუქი ყავისფერი (ღვინისფერი) ზოლებით.



როგორც ჩანს, ეკლესია თავის დროზე მოხატული უნდა ყოფილიყო. ჩრდილოეთის მხარეს, აღმოჩნდა სვეტის ბაზა სიგრძე 0,60მ-ი. შემდგომმა გათხრებმა დაგვანახეს, რომ რუსებს მშენებლობის დროს ქართული სამარხები დაუზიანებიათ, ძვლები შეუგროვებიათ და მეორედად დაუკრძალავთ.



სხვადასხვა ეპოქებში ეკლესიის ეზო არაერთხელ გადაუთხრიათ, რის გამოც კულტურული ფენები სრულად განადგურებულია. იშვიათად გვხვდება კრამიტის და უსახური კერამიკის ფრაგმენტები.

ეკლესიის შიგნით, შესასვლელთან, სამხრეთის კედელთან ორი სამარხი აღმოვაჩინეთ, ერთი საკმაოდ მოზრდილ ადამიანს ეკუთვნოდა. შვეიცარიელთა საკურთხეველი ცენტრში, თირში ჩაჭრილი ორმო გავწმინდეთ, რომლის ზომები 1,20 X 2,20 მ-ია. სავარაუდოთ სამარხია და ოქროს მამიებლებს დაუბრუნებიათ. შიგ ფრესკის ფრაგმენტები აღმოჩნდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამარხი რუსების დროსაა ჩაჭრილი. ვფიქრობ, რუსი ოფიცრის საკურთხეველში დასაფლავების შესახებ სიმართლეს შეეფერება.

ეკლესიის შესასვლელ კარებთან, თირში ჩაჭრილი ოთხი სამარხი გავთხარეთ. სხვებთან შედარებით ეს სამარხები კარგადაა გადარჩენილი. ჩონჩხები თითქმის დაუზიანებულია, პირადი ნივთების გარეშე. დასაფიქრებელია ერთი გარემოება, კერძოდ დაკრძალვის წესი, მიცვალებულის დამხრობა ქრისტიანულ ტრადიციას არ ჰგავს. თავი დასავლეთითაა, ფეხები კი აღმოსავლეთით. აქვე ერთ მომენტიცაა: ერთს ხელები გულზე აქვს დაკრეფილი, რაც ეწინააღმდეგება მუსულმანურ წესს. არაა გამორიცხული, რომ ეს მიცვალებულები რუსები იყვნენ და დასაფლავების წესს მაინც დამაინც დიდი ყურადღება არ მიაქციეს. გაწმინდის დროს სამარხებში აღმოჩნდა ფრესკის რამოდენიმე ფრაგმენტი, რაც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ისინი ქართული ეკლესიის დანგრევის შემდგომია ჩაჭრილი. სამარხების დონეებშიც მცირე სხვაობა შეინიშნება.


არქიტექტორ-რესტავრატორი გურამ ჭეიშვილი აღნიშნულ ფრესკის ფრაგმენტებს XIV საუკუნეს მიაკუთვნებს. ეკლესია თავის დროზე რიყის ქვებითაა ნაგები, რომელიც სავარაუდოდ მდინარე ყოროლიწყლიდანაა მოზიდული. რაც შეეხება მოსაპირკეთებელ ქვებს, ალბათ ის ადგილობრივ კარიერზე მოიპოვებოდა და იქვე ამუშავდნენ. სამებაში დღესაც თვალნათლივ ჩანს კლდოვანი ქანები, რომლის გამოყენება არ უნდა

გასჭირვებოდათ. ადგილობრივი მოსახლეობის მონათხრობით, ასაკოვნებს კარგად ახსოვთ, რომ სოფელში ფუნქციონირებდა ქვის სამტეხლო, სადაც ამზადებდნენ გზის მოსაპირკეთებელ ქვებს. რაც შეეხება გადახურვას, ის კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული.

არქეოლოგიური გათხრების დამთავრების შემდეგ დადასტურდა, რომ შუა საუკუნეებში სოფ. სამებაში აგებული ყოფილა წმ. სამების სახელობე აგებული ერთნავიანი ბაზილიკა, რომელიც თურქების შემოსევის შემდეგ დაინგარა. ჩვენ ბევრი ვცადეთ აღნიშნული ეკლესია სათანადო კონსერვაციის შემდეგ შეგვენარჩუნებინა, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა.


დღეს სამების მთაზე აღმართულია წმ. სამების ტაძარი, რომელიც ისევ ამაყად გადმოჰყურებს ბათუმის შემოგარენს.

სამების ეკლესიის ხედები







მარცხნიდან მარჯვნივ მეორე რიგში ექსპედიციის ხელმძღვანელი ირაკლი ჩავლეიშვილი, ქტიტორი შალვა ბრეუსი მეუღლითურთ, ბათუმ-ლაზეთის მიტროპოლიტი მეუფე დიმიტრი, ექსპედიციის წევრი ზაზა ჩავლეიშვილი, სასულიერო სემინარიის დირექტორი სოსო კვაჭაძე, გურამ დუმბაძე, თენგიზ თავდგირიძე და სხვები




სამების ეკლესიის გეგმა



ქართული ერთნავიანი ბაზილიკა

რუსული სამხედრო ეკლესია
მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები



ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანზე 2007-2022 წწ ჩატარებული
არქეოლოგიური გათხრების ანგარიში
**Reports on the Pichvnari 4th century BC Colchian cemetery
archaeological excavations in 2007-2022**

ამირან კახიძე

არქეოლოგი, პროფესორ-ემერეტუსი

მირანდა თურმანიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი,

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის

მეცნიერ-თანამშრომელი

ემზარ კახიძე

სსიპ აჭარის მუზეუმი

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მმართველი

Amiran Kakhidze

Dr, Professor Emeritus

Miranda Turmanidze

LEPL Ajara Museum

Batumi Archaeological Museum, PhD in History

Emzar Kakhidze

LEPL Ajara Museum

Head of Batumi Archaeological Museum

DOI: <https://doi.org/10.52340/wbam.2023.09>

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია 2007-2022 წწ ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში: წლების მიხედვით აღწერილია თითოეული სამარხი თუ სააღაპო მოედანი, აგრეთვე დაწვრილებით გაანალიზებულია ადგილობრივი თუ უცხოური სამარხეული ინვენტარი. ბუნებრივია, დასკვნის სახით გადმოცემულია ის წინასწარეული შედეგები, განზოგადებები, არტეფაქტების ტიპოლოგია თუ დაკრძალვის წესები, რომელთა ანალიზი სამაროვანის შესწავლიდან რამდენიმე წელიწადში მოვახერხეთ.

საკვანძო სიტყვები: ფიჭვნარი, კოლხური სამაროვანი, არქეოლოგიური არტეფაქტები

Abstract: The standing archaeological excavation was conducted at the Pichvnari 4th century BC Colchian cemetery in 2007-2022. Dozen ritual platform and 75 graves were excavated. Imported and local grave goods as rings, beads, jugs, oinochoe, bracelet, cups, coins, etc. were discovered. The ritual platform is particularly of note, as no ritual platforms are attested from the Colchian cemetery that dates to the 5th century BC. Most likely, this is a result of Greek influence in burial practices, as is the domination of eastern orientation of the bodies in individual inhumation graves in this period. Another detail of note is that a significant number of the 4th century BC graves belonging to both Greeks and Colchians do not contain burial goods. Most likely, this is a result of the political and economic decline of Athens, which had an effect on Pichvnari too. Compared to the 5th century BC Colchian cemetery, we can trace both the decline in number of imported goods as well as their quality. Among imported ceramics, so-called grey clay vessels most likely manufactured in Heraclea Pontica seem to be the most popular. Black-gloss pottery manufactured in Athens also were found. The majority of pottery found in the 4th century BC burials is locally produced. At Pichvnari, imitations of Greek forms of pottery such as the oinochoe appear in the

5th century BC and seem to increase in popularity in the 4th century BC. Colchian forms of pottery are also typical at Pichvnari, some dating earlier than the 5th century BC and in use throughout the 4th century BC and later.

Among other grave goods iron bracelets, bronze crescent hoops that would have been worn on a necklace, blue and green glass beads, a radial earring, coins, etc. are traced.

Key words: Pichvnari, Colchian cemetery, Archaeological artifacts

ფიჭვნარი უკვე 60 წელზე მეტია რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და არამარტოაქმოღვაწემეცნიერების ინტერესების სფეროშია მოქცეული. ამ დროისთვის მეტნაკლები ინტენსივობით შესწავლილია ადგილობრივთა ნამოსახლარი, ძვ.წ. V ს ბერძნული და კოლხური სამაროვნები, აგრეთვე ძვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლისი. ყველაზე ნაკლები ყურადღება ამ ეტალონურ ძეგლზე ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანს დაეთმო, რაც ბოლოდროინდელი კვლევების წყალობით ნაწილობრივ გამოსწორდა.

კოლხეთში, განსაკუთრებით მის ზღვისპირა ნაწილში ბერძენთა აკულტურირების საკითხების შესწავლისათვის გადამწყვეტი კი სწორედ ამ პერიოდის ძეგლების კვლევა მიგვაჩნია, ვინაიდან ზუსტად ამ დროისთვის გამოიკვეთა და დაკრისტალდა ყველა ის ნოვაცია, რაც ჩვენს რეგიონში ბერძენებთან მინიმუმ სამსაუკუნოვანი ეპიზოდური თუ ინტენსიური ურთიერთობების შედეგად დაგროვდა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სამაროვანი ჯერ კიდევ ამირან კახიძისა და მაიკლ ვიკერსის ხელმძღვანელობით მიმდინარე საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი ექსპედიციის დროს ელინისტურ სამაროვანზე მუშაობისას „ინკოგნიტოდ“ გამოვლინდა.

2007 წ. ძირითადი თხრილის შესწავლის შემდეგ (სამარხები # 216-235)¹ გაივლო დამტებითი მეორე და მესამე საკონტროლო თხრილებიც. მეორე თხრილის ბოლო სამარხი², რომელსაც ელინისტური სამაროვნის ნუმერაციიდან გამომდინარე 238-ე ნომერი მიენიჭა, ბოლომდე ვერ იქნა შესწავლილი, ამიტომ დამხრობა და ზომები შესაბამის ლიტერატურაში არაა მოცემული. 238-ე სამარხში, რომელიც შემდეგ # 1 გადაინომრა, დადასტურდა ქოთანი (ს/ნ 83) და პალმეტებიანი ლეკითოსი (ს/ნ 84), აგრეთვე მძივები (კახიძე, ვიკერსი, 2014: 118, სურ. 138/6,8, 144/2). მესამე საკონტროლო თხრილში აღმოსავლეთისკენ დამხრობილი ერთადერთი სამარხი³ დადასტურდა, რომელსაც 239-ე ნომერი მიენიჭა და იქ პირქვე ჩამხობილი ყურმილიანი დოქი (ს/ნ 104) თავის არეში დაფიქსირდა (კახიძე, ვიკერსი, 2014: 118, სურ. 131/6, 138/9).

ამ უბანზე სამუშაოები მომდევნო წელსაც გაგრძელდა. ე.წ. 238-ე და 239-ე სამარხები ბოლომდე გაიწმინდა⁴. აღმოჩნდა კიდევ სამი ახალი სამარხი⁵.

ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანი საბოლოოდ 2011 წ. საქართველო-ბრიტანეთის 13-წლიანი ერთობლივი გათხრების დასრულების შემდეგ გამოვლინდა. სსიპ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა ნინო ძნელაძის ხელმძღვანელობით ამ უბანზე კიდევ რამდენიმე სამარხს მიაგნო. აღმოჩენილი მასალისა და სტრატეგრაფიის უფრო დაწვრილებით შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ფიჭვნარის სამაროვნის ეს მონაკვეთი არა ელინისტურ, არამედ ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანს ეკუთვნოდა.

1 2007 წ. სამუშაოების შედეგები აისახა ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ოქსფორდის აშშ-ის მუზეუმის ერთობლივ მონოგრაფიაში (იხ. კახიძე, ვიკერსი, 2014: 101-174).

2 NO I-22 სექტორის 37-ე კვადრანტი.

3 NO I-23 სექტორის 36-ე კვადრანტი, ზომები: 1,2 X 0,65 X 0,6 მ.

4 239-ე, იგივე მე-2 სამარხის ინვენტარს დაემატა მძივი (ს/ნ 85).

5 ამ წლის, ისევე როგორც 2009-2010 წწ. საქართველო-ბრიტანეთის სამუშაოების მასალები ჯერაც გამოუქვეყნებელია. სავლეთ ანგარიშებიდან ვგებულობთ, რომ 240-ე, იგივე მე-3 სამარხში დაფიქსირდა დოქი (ს/ნ 86), მძივები (ს/ნ 87), ვერცხლის ნახევარმთვარისებრი საკიდი (ს/ნ 88), რკინის (ს/ნ 89) და ბრინჯაოს (ს/ნ 90-91) სამაჯურები, ბრინჯაოს ბეჭედი (ს/ნ 92), ბრინჯაოს ზარაკი (ს/ნ 94) და რკინის ფიბულა (ს/ნ 93); 241-ე, იგივე მე-4 სამარხში იყო დოქი (ს/ნ 95) და მონეტა (ს/ნ 96), ხოლო 242-ე, იგივე მე-5 სამარხში ქურქლის ძირი (ს/ნ 97) და ოინოხოია (ს/ნ 98).

ჰუმუსოვან ფენაში (NO-23, კვ. 27) დადასტურდა ადგილობრივი უსახური სქელკედლიანი კერამიკის ფრაგმენტები - ზოგიერთი ყავისფერკეციანი, ზოგიც აგურისფერი. იყო იმპორტული ცალებიც: თხელკედლიანი ჭურჭლის პირი, სქელკედლიანი ჭურჭლის ოვალური ყელის მოვარდისფრო ნატეხები და სუფთად განლევილი უსახური კერამიკის ფრაგმენტები. მიკვლეულ იქნა უფორმო და უსახური ბათქაშის ნაშთებიც.

საკუთრივ სამარხების თავზე დადასტურდა მოშავო-მოყავისფრო თიხის ოდნავ პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მომრგვალებულტანიანი და ბრტყელპირიანი ქოთანნი, რომელსაც აკლდა პირის ნაწილი და ყური. შეგვხვდა ოვალური ბირთვიც.

მე-6 სამარხში მოყვითალო ფერის მინის 12 ცალი მთლიანი და რამდენიმე დაზიანებული მძივი, აგრეთვე რკინის კოროზირებული სამაჯურის ნაწილი იყო.

მე-7 და მე-8 სამარხები უინვენტარო აღმოჩნდა.

2012 წ. განხორციელებული საველე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი ექცევა ძვ.წ. V საუკუნის კოლხურ სამაროვანსა (ადგილი „ნაპურვალა“) და ელინისტური ხანის სამაროვანს შორის. ეს უკანასკნელი მდებარეობს ნაპურვალას სამხრეთით, დასახლება ჩოლოქისკენ მიმავალსამანქანე გზასთან ახლოს. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ორივე სამაროვანზე განხორციელდა ფართო მასშტაბის საველე სამუშაოები, რაზეც სათანადო მეცნიერული მემკვიდრეობა შეიქმნა.

ძვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანზე არქეოლოგიური გათხრების გვიან დაწყება განპირობებული იყო საბჭოთა ეპოქაში გაშენებული ჩაის პლანტაციებით. არ შეიძლებოდა ჩაის ბუჩქების მოჭრა-დაზიანება. საბჭოთა წყობილების დამთავრების შემდეგ, თანდათანობით ჩაის პლანტაციები გავლურდა, დაიფარა ეწერ-ბარდითა და ალაგ-ალაგ ბუჩქნარით. შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ამ ადგილების მოსინჯვა ახალი ეპოქის სამარხების ძიების მიზნით. შეირჩა შუალედური ადგილი კოლხურ V ს და ელინისტური ხანის სამაროვანებს შორის, არქეოლოგიური ბაზიდან თითქმის 200 მ-ის მოშორებით.

პირველ რიგში ეს ტერიტორია გაიწმინდა ჩაის ბუჩქების ნარჩენებისაგან, ეკალ-ბარდისა და ეწერისაგან. ამის შემდეგ NO 13 სექტორში აიგო საკონტროლო თხრილი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ იყო დამხრობილი. მისი სიგრძე იყო 12 მ, სიგანე 8 მ, ე.ი. სულ 6 კვადრატით. NO-13, კვადრატები 45-46, 55-56 და 65-66 (ტაბ. 1). არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობდა ფიჭვნარისათვის ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული მეთოდის შესაბამისად. პირველ რიგში მოიხსნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა. აქა-იქ ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

როგორც წესი, ჰუმუსს მოსდევს ფხვიერი სილნარი. სწორედ ამ ფენაში ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების ისტორიაში პირველად კოლხურ სამაროვანზე გამოჩნდა ტიპიური სააღაპო მოედანი (ტაბ.2/3). თხრილის დასავლეთ მონაკვეთზე ფხვიერი სილნარის შესწავლისას პირველ ხანებში გამოიკვეთა 6 სამარხის კონტური. აღაპთან ერთად ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამაც, რომ მათი დიდი ნაწილი აღმოსავლეთისკენ იყო დამხრობილი (ტაბ.2/1). აშკარაა, რომ ფიჭვნარის კოლხურ მოსახლეობაში კიდევ უფრო გაღრმავებულია ელინიზაციის პროცესები. აღმოსავლეთ მონაკვეთზე მკვრივი სილნარი გრუნტის არსებობა არ ფიქსირდება. სამარხთა კონტურების განსაზღვრა ხდებოდა რკინის ლურსმნების განლაგებისა და სამარხის მომცველი არის ყავისფერი შეფერილობის მიხედვით. ამ მონაკვეთზე ტრადიციული წესების მიხედვით ერთ-ერთი სამარხი დამხრობილი იყო ზუსტად ჩრდილოეთისკენ. როგორც ვხედავთ, თხრილის მთელი ფართობი ათვისებული ჩანს. ერთი სამარხის მიერ მეორეს დაზიანების ფაქტი არ დასტურდება. არის ბავშვთა სამარხებიც. სათანადო ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ გაკეთდა ცალკეული სამარხების პრეპარაცია (კახიძე, ძნელაძე, შალიკაძე, თურმანიძე, 2013: 52-126).

სამარხი 9. NO 13. კვადრატით 66. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2X1,3X1,1 მ. თავის არეში ჩაუდგამთ მოზრდილი დოქი, რომლის პირზე დაფარებული იყო მეორე პატარა ზომის დოქი შერჩენილია ტანის ქვედა ნახევარი. მარჯვენა ხელთან იდო კიდევ ერთი დაზიანებული ჭურჭელი. აქვე იყო სხვა ჭურჭლის ნატეხიც. არაა გამორიცხული, რომ იგი მეორე ჭურჭლის პირზე იყო დაფარებული (ტაბ.7/2).

სამარხი 10. NO 13. 65 და 66 კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. გამოჩენილია სამარხის დასავლეთი მონაკვეთი 0,5 მ სიგრძეზე, სიგანე 1,4 მეტრია. დიდი ნაწილი ექცევა გაუთხრელ ფართობში. შენაჭერის გაკეთება მომავალი წლისათვის გადაიდო (ტაბ.2/1).

სამარხი 11. NO 13. კვადრატით 65. ესეც შედის გაუთხრელ ფართობში. ყავისფერი შეფერილობის მიხედვით გამოჩენილია სამარხის დასავლეთი მონაკვეთი მისი სიგრძე 0,3 მ-ია. დამხრობილია აღმოსავლეთისკენ (ტაბ.2/1).

სამარხი 12. NO 13. კვადრატით 65. ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. ოდნავ აღმოსავლეთისკენ გადახრილი. ზომები: 1,1X0,7X1,25 მ. უინვენტარო.

სამარხი 13. NO 13. კვადრატით 65. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი, ოდნავ სამხრეთისკენ გადახრილი. ბავშვის სამარხი. ზომები: 0,95X0,65X1,2 მ. თავის არეში ჩაუდგამთ იონიური ჭურჭელი. ყელის არეში შედროვდა მძივები. მარჯვენა ხელზე ეკეთა რკინის სამაჯური.

სამარხი 14. NO 13. 55-ე და 65-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი, ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. ზომები: 2,25X1,35X1,25 მ. ხის სახურავიანი აღმოსავლეთ ნაწილში ორ-ორი ლურსმანი, ფეხებთან ჩრდილო მონაკვეთზე ორი, სამხრეთისკენ 1 ლურსმანი. კუთხეში ჩაუდგამთ ნაცრისფერკეციანი დოქი.

სამარხი 15. NO 13. კვადრატით 56. ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2X1,35X0,6 მ. თავის არეში ჩაუდგამთ წყვილყურიათა ქოთნისებრი ჭურჭელი. სამარხის გარეთ, აღმოსავლეთ ნაწილში, 0,7 მ-ის მოშორებით პრეპარირებულ იქნა ორნამენტირებული კოჭობი.

სამარხი 16. NO 13. 46-ე და 56-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,45X1,35X1,5 მ. თავის არეში ჩაუდგამთ დოქი. ყელის არეში შეგროვდა იოტები და სამი ცალი თვალადი მძივი.

სამარხი 17. NO 13. კვადრატით 46. როგორც ჩანს, ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. ჩრდილოეთიდან ებჯინება მე-16 სამარხს. გამოჩნდა სამარხის სამხრეთ მონაკვეთი სიგრძე 0,7, 0,6 მ. დანარჩენი ნაწილი გაუთხრელ ფართობში მოექცა.

სამარხი 18. NO 13. კვადრატით 55. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X1,2X1,3 მ. ხის კუბოს: 1,8X0,65X0,35 მ. ხის კუბო რკინის ლურსმნებით შეჭედული ყოფილა თავში, შუაწელსა და ბოლოში. ხის კუბოს ლურსმნების ქვედა რიგი გვერდებიდან ჩანს მიჭედული. მარჯვენა მხართან გაიწმინდა იონიური ჭურჭლის ძირი, მარცხენა ფეხთან შავლაკიანი სამარილე, მარჯვენასთან ნაცრისფერკეციანი დოქი. ორი ადგილობრივი თიხის ჭურჭლის ნატეხით უნდა ყოფილიყო დახურული (ტაბ.5/5).

სამარხი 19. NO 13. კვადრატით 45. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,15X1,4X1,3 მ. ხის კუბოს: 1,76X0,55X0,3 მ. პირის არეში აღმოჩნდა ორი ცალი კოლხური მონეტა. ყელის არეში დაფიქსირებული რამდენიმე მძივი პრეპარაციის პროცესში დაიშალა. მარცხენა ხელზე ეკეთა რკინის სამაჯური და ვერცხლის ბეჭედი (ცუდად დაცული). მარჯვენა ფეხთან ჩაუდგამთ ნაცრისფერკეციანი დოქი (ტაბ.9/2).

2013 წ. მვ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანზე 2012 წელს შესწავლილი თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთის მიმართულებით. ახალი თხრილის სიგრძე იყო 12 მ, სიგანე 8 მ, რაც ფიჭვნარის ტოპოგეგმის შემდეგ კოორდინატებში ჯდება: NO 13 სექტორი, კვადრატები 47-48, 57-58 და 67-68. პირველ რიგში მოიხსნა ზედა

ჰუმუსოვანი ფენა, რომლის სიმძლავრე ცალკეული კვადრატების მიხედვით მერყეობს საშუალოდ 13-17-20 სმ შორის. იშვიათად ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის უსახური ნატეხები. როგორც წესი, ჰუმუსოვან ფენას მოსდევს ფხვიერი სილნარი. ამ წელსაც გამოჩნდა ერთი სააღაპო მოედანი (კვადრატი 58). აშკარაა, რომ მსგავსი რიტუალის შესრულება ადგილობრივი ეთნოსის დაკრძალვის წესებშიც იჭრება. მკვრივ სილნარ გრუნტში ყავისფერი შეფერილობის მიხედვით მკვეთრად იკვეთება ჩაჭრილი სამარხის კონტურები. მაგალითად, 47-ე კვადრატის დასავლეთ კედელთან გამოჩნდა ორი სამარხის დასავლეთი მონაკვეთი, რომელთა დიდი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცეოდა. ამავე კვადრატში მოექცა მორიგი ორი სამარხის მთლიანი კონტური. ასევე ითქმის სხვა კვადრატების მიმართაც.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 48-ე კვადრატში, მკვეთრი გრუნტის დასაწყისთან, უფრო სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა ქვის მოზრდილი ჭურვი. ეტყობა საკმაოდ შორიდან ნატყორცნი, რომლის ინერცია ზედა ჰუმუსოვან და ფხვიერ სილნარ ფენას ვერ შეუჩერებია. ამ ადგილებში ეს უკვე მეორე ჭურვი ფიქსირდება. უფრო მეტი გვაქვს ნაქალაქარიდან. აშკარაა, რომ ფიჭვნარს სადღაც ძვ.წ. II ს ბოლოსთვის, მითრიდატეს ომების პერიოდში დიდი თავდასხმები განუცდია.

58-ე კვადრატის სამარხის თავზე ფხვიერ სილნარ ფენაში თიხის ჭურჭლების ნატეხებიც ჩნდებოდა. იყო რკინის ლურსმნებიც. სააღაპო მოედანზე პრეპარირებულ იქნა ღარებით შემკული ადგილობრივი ჭურჭლის ნატეხი და შავლაკიანი კილიკის ყური, ტანის ნატეხები და ქუსლი.

ყავისფერი შეფერილობის და რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით გამოიკვეთა სამარხთა კონტურები. ისინი საკმაოდ ინტენსიურადაა განლაგებული. როგორც ითქვა, მათი ერთი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცეოდა, რის გამოც გადაწყდა შენაჭერის გაკეთება (კახიძე, ძნელაძე, თურმანიძე, ფარტენაძე, 2015: 10-82). სამარხი 20. NO-13. 58-ე და 68-ე კვადრატების მიჯნა. სამარხეული ორმო აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,5X1,1X1,15 მ. თავის არეში პირველ ხანებში გამოჩნდა სამი ლურსმანი, ფეხებთან ოთხი. თავთან ახლოს ჩაუდგამთ მოზრდილი ნაცრისფერკეციანი დოქი. ზემოდან დაჭედული ლურსმანი სამხრეთ კედელთანაც დაფიქსირდა, ხოლო ჩრდილოეთ კედელთან ოთხი. მარჯვენა ხელთან იდო სადა ამფორისკი.

სამარხი 21. NO-13. 68-ე კვადრატი. სამარხეული ორმო ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X1,1X0,7 მ-ზე. უინვენტარო.

სამარხი 22. NO-13. 68-ე კვადრატი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხე. დიდი ნაწილი მოექცა გაუთხრელ ფართობში.

სამარხი 23. NO-13. 58-ე კვადრატი. მცირე მონაკვეთი გადადის 57-ე, 67-ე და 68-ე კვადრატებში. სამარხეული ორმო დამხრობილია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. ზომები: 2,2X1,05X1 მ-ზე. სამარხის თავზე, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში დაუდგამთ კოჭობი (აქვე იყო შავლაკიანი ჭურჭლის ძირი), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში თიხის მეორე ჭურჭელი. თვით სამარხში, ყელის არეში გამოჩნდა ლურჯი ფერის ერთი თვალადი მძივი, რომელიც აღებამდე დაიშალა. მიემატა სხვა მძივები, მათ შორის სამი ცალი თვალადი, შედარებით კარგად გადარჩენილი. მარჯვენა მხართან პრეპარირებულ იქნა თიხის ადგილობრივი დოქი.

სამარხი 24. NO-13. 67-ე და 68-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 2,6X1,2X1 მ-ზე. დიდი ნაწილი ექცეოდა გაუთხრელ ფართობში, ამიტომაც გაკეთდა შენაჭერი. მიცვალებული დაკრძალული ყოფილა ხის კუბოში. გამოჩნდა როგორც ზედა, ასევე ინვენტარის დონეზე განლაგებული გვერდებთან მიჭედებული რკინის ლურსმნები. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუდგამთ ჰერაკლეური ამფორა. შედარებით კარგად გადარჩენილი. ზედა ნახევარი ექცეოდა ფხვიერ სილნარში, დანარჩენი მკვრივ გრუნტში ჩაჭრილ

სამარხში. ინვენტარის დიდი ნაწილი განლაგებული იყო თავის არეში. ამათ რიცხვს განეკუთვნებოდა ელთან შეგროვებული ოქროს, ქარვისა და მინის მძივები. აქვე იყო ოქროსა და ვერცხლის ნახევარმთვარისებრი საკიდები. თავის მარჯვენა მხარეს იდო სადა არიზალისებრი ლეკითოსი. ხელებთან, სამარხის ცენტრალურ ნაწილში, გამოჩნდა ბრინჯაოს წყვილი სამაჯური, ფეხების არეში შავლაკიანი ჯამი და იონიური დოქი.

სამარხი 25. NO-13. 67-ე კვადრანტი. სამარხეული ორმო აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენაა დამხრობილი. დასავლეთ მონაკვეთზე სამარხეული ორმო ოდნავ ფართოვდება. ზომები: 1,3X1X1,1 მ-ზე. უინვენტარო.

სამარხი 26. NO-13. 57-ე კვადრანტი. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისკენ გადახრილი. ზომები: 2,6X1,2X1,1 მ-ზე. ხის სახურავიანი აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა ოთხი, დასავლეთში ხუთი, სამხრეთში სამი და ჩრდილო ნაწილში რკინის ერთი ლურსმანი. თავის მარცხენა მხარეს ჩაუდგამთ თიხის დოქი. სამარხის თავზე, ჩრდილო კედელთან დაფიქსირდა ქოთნის ძირიც .

სამარხი 27. NO-13. 47-ე კვადრანტი. სამარხეული ორმო დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. ზომები: 1,9X1,1X0,85 მ-ზე. შესაძლოა, თავით სამხრეთისკენ იყოს მიმართული. ამ ნაწილში აღმოჩნდა შავლაკიანი ბოლსალი, მარჯვენა ხელთან ადგილობრივი ოინოხოია. ბოლსალთან ახლოს დაფიქსირდა რკინის გაურკვეველი ნივთები (ტაბ.4/1).

სამარხი 28. NO-13. 47-ე კვადრანტი. სამარხეული ორმო აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. ზომები: 1,1X0,7X0,85 მ-ზე. სამხრეთი კედლის თავზე იდო ადგილობრივი ჭურჭლის ყური.

სამარხი 29. NO-13. 47-ე კვადრანტი. პატარა ზომის ორმო (0,7X0,5X0,85 მ-ზე) მიმართულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. უინვენტარო.

სამარხი 30. NO-13. 47-ე კვადრანტი. პირველად გამოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ მონაკვეთი. დიდი ნაწილი გაუთხრელ ფართობში ექცეოდა. გაკეთდა შენაჭერი. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. ზომები: 0,9X0,7X1,3 მ-ზე. სამარხის ცენტრალურ ნაწილში, უფრო მარცხენა ხელთან იდო ფიჭვნარული დოქი (ტაბ.4/5).

სამარხი 31. NO-13. 47-ე კვადრანტი. პირველად გამოჩნდა სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთი. აქაც გაკეთდა შენაჭერი. სამარხი დამხრობილი ჩანს ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ. ზომები: 1,8X0,8X1,4 მ-ზე. თავის მარჯვენა მხარეს ჩაუდგამთ თიხის დოქი.

სამარხი 32. NO-13. 48-ე კვადრანტი. აქაც გამოჩნდა სამარხის აღმოსავლეთი ნაწილი. გაკეთდა შენაჭერი. სამარხეული ორმო ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ზომები: 1,3X0,55X1,5 მ-ზე. უინვენტარო.

2014 წ. მკ.წ. IV ს კოლხურ სამაროვანზე ადრე შესწავლილი თხრილი გაფართოვდა ჩრდილოეთისკენ მე-13 სექტორში; აიგემა მე-19; 39-ე, 49-ე, 59-ე, 69-ე, 30-ე, მე-40, 50-ე, მე-60 და 70-ე კვადრანტები. დასავლეთის მიმართულებითაც აიგემა ორ-ორი კვადრანტი. ტრადიციულად, მთელი ფართობი გაიწმინდა ეკალბარდისა და ჩაის ბუჩქების ნარჩენებისაგან.

გათხრები წარმოებდა ფიჭვნარის სამაროვნების მიმართ შემუშავებული ტრადიციული მეთოდით. ბარის პირის გამოყენებით მთელ ტერიტორიაზე მოიხსნა ზედა ჰუმუსოვანი ფენა, რომლის სიმძლავრე კვადრანტების გვერდითი ჭრილის მიხედვით ასე გამოიყურება:

კვ. 49 – 20 სმ

კვ. 60 – 40 სმ

კვ. 69 – 55 სმ

კვ. 50 – 10-25 სმ

კვ. 70 – 45-55 სმ

ამ დონის კვლევისას შეინიშნებოდა არქეოლოგიური არტეფაქტების დიდი სიმწირე. მხოლოდ 70-ე კვ-ში აღმოჩნდა ამფორის ყურის ფრაგმენტი. გარდა ამისა, დედაქანის დასაწყისთან, მე-40 კვ-ში, დადასტურდა საღაპო მოედნის არსებობა (ტაბ.7/1). ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდგომ მთელ მოედანზე გაგრძელდა სამარხების კონტურების გამოჩენა (კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე, ძნელაძე, თურმანიძე, ნაგერვაძე, ფარტენაძე, 2017: 113-206.).

სამარხი 33: NO 13: კვ.33-ე და მე-40 კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X0,9X1,2 მ. თავის არეში ჩაუდგამთ შავლაკიანი არიზალოსი (წითელფიგურული). სამარხს ჰქონია ხის სახურავი (ტაბ. 5/3;8/1,2).

სამარხი 34: NO 13: კვ. 49. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,2 X 0,6 X 0,9 მ. უინვენტარო.

სამარხი 35: NO 13: მე-60 და 50-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 1,2X0,95X0,9 მ. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაეყოლებინათ პატარა ზომის ქოთანის, მის გვერდით წყვილ-ნახვრეტის ბრტყელი ხუფი.

სამარხი 36: NO 13: კვ. 49-ე და 59-ე კვადრატების მიჯნა. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X0,9X1,2 მ. უინვენტარო.

სამარხი 37: NO 13: კვ. 59. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,7X0,7X0,7 მ. აღმოსავლეთ ნაწილში დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სამარხი 38: NO 13: კვ. 70. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 0,65X0,5X1,2 მ. უინვენტარო.

სამარხი 39: NO 13: კვ. 69. დამხრობის გარკვევა ჭირს. სამარხი წრიული მოყვანილობისაა. დიამეტრი 0,85 მ, სიღრმე - 1,15 მ. უინვენტარო.

სამარხი 40: NO 13: კვ. 30. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X1,4X1,2 მ. ხის კუბოს გარეთ სამარხეული ორმოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩაუდგამთ ჰერაკლიური, ენგლიფურ დამდიანი ამფორა. ოდნავ ჩრდილოეთით წაფერდებული. ამფორის ძირში აღმოჩნდა თიხის ადგილობრივი ჭურჭლის პირი. ამფორის პირთან ახლოს ჩნდებოდა შავლაკიანი სკიფოსის ნატეხებიც (ტაბ.9/3).

სამარხი 41: NO 13: კვ. 29. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1X0,75X1,25 მ. უინვენტარო.

სამარხი 42: NO 13: კვ.29. ექვევა სილნარ ფხვიერ შრეში. რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით მისი ზომებია: 1,8X0,8X0,95 მ. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ცენტრალურ ნაწილში გამოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები. სამარხის სამხრე-დასავლეთ კუთხეში პრეპარირებული იქნა ნაცრისფერკეციანი დოქის ფრაგმენტები. დასავლეთ მონაკვეთზე გრუნტის დონეზე აღმოჩნდა მძივები, იქვე ორი ვერცხლის მონეტა.

სამარხი 43: NO 13: კვ.29. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი ზომები:1,2X0,55X1,1 მ. უინვენტარო.

სამარხი 44: NO 13: კვ. 38. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 1,45X0,9X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი 45: NO 13: კვ. 28. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X0,9X1,3 მ. ხის კუბოს 1,8X0,55X0,2 მ. უინვენტარო.

სამარხი 46: NO 13: კვ. 37. სამარხეული ორმო უინვენტაროა. დამხრობილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ზომები:1,2X0,7X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი 47: NO 13: კვ. 37. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ოდნავ ჩრდილოეთისაკენ გადახრილი. ზომები: 2,1X1,1X1,15 მ. ხის კუბოს 1,6X0,6X0,35 მ. მარცხენა ფეხის არეში ჩაუდგამთ თიხის კოჭობი, მარჯვენა ფეხთან პრეპარირებულ იქნა ნაცრისფერკეციანი დოქი. ფეხების არეში, ზედა ლურსმნის დონეზე, აღმოჩნდა

ყავისფერი კაჟის ანატკეცი (ტაბ.4/4).

2017 წლისათვის ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანზე აიგეგმა NO-13 სექტორის მე-17, მე-18, მე-19, მე-20 კვადრატები, რომლებიც ადრე შესწავლილი თხრილის დასავლეთით მდებარეობდა. NO-14 სექტორიში ექცევა 11-12, 21-22, 31-32, 41-42 და 51-52 კვადრატები. ეს მონაკვეთი წარმოადგენს ადრე შესწავლილი თხრილის გაგრძელებას ჩრდილოეთის, ე.ი. ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის მიმართულებით.

უკვე ჰუმუსოვანი ფენის მოხსნას შეინიშნებოდა არქეოლოგიური არტეფაქტების შემცველი მოედნის არსებობა. NO-13 სექტორისმე-18 კვადრატში აღმოჩენილი ადაპის პრეპარაციის დროს კერამიკული ფრაგმენტები არ დადასტურდა, იყო მხოლოდ ნახშირი და კალციერებული ძვლები მცირე ოდენობით. ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის შემდეგ, ფხვიერი სილნარის შრის შესწავლის გზით მთელ მოედანზე გაგრძელდა დედაქანში ჩაჭრილი სამარხების კონტურების გამოჩენა. თანამედროვე ზედაპირიდან 40-45 სმ სიღრმეზე აქა-იქ გამოჩნდა ადგილობრივი და ნაცრისფერკეციანი ჭურჭლის პირ-ყელის ფრაგმენტები. საინტერესოა, ასევე საკულტო ობიექტებისათვის დამახასიათებელი რქისებრი სადგრის ნატეხი. ფიჭვნარის სამაროვნის ამ მონაკვეთზე ათასწლეულების მანძილზე დაზიანება არ შეიმჩნევა. კარგად ჩანს ტერიტორიის სამაროვნად ათვისების ფაქტი.

სამარხი №49. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ხის სახურავიანი. ზომები: 2X0,95X1 მ. თავისა და ფეხების არეში გაიწმინდა წყვილი ჰორიზონტალურად ჩაჭედებული ლურსმანი. სიგრძეზე პარალელურად განლაგებული სამი ვერტიკალური ლურსმანი. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში პრეპარირებული იქნა ნაცრისფერკეციანი თავდაყირა ჩადგმული დოქი. პირის არეში ვერცხლის კოხური თეთრი.

სამარხი №50. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2X1,10X1,2 მ. თავის არეში ჩაუდგამთ ადგილობრივი ჯამის ძირის ფრაგმენტები. სამარხის ზედაპირიდან 30 სმ-ზე, ხოლო სამარხის დონეზე ორი რკინის ლურსმანი.

სამარხი №51. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 1,7X1X1,1 მ. ცენტრალურ ნაწილში პრეპარირებულია ჭურჭლის კედლის ფრაგმენტები.

სამარხი №52. ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი, სამარხეული ორმოს ზომები: 1,3X1,2X1,2 მ. ხის კუბოს ზომები: 2X0,40X0,8 მ. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, ზედაპირიდან 50 სმ სიმაღლეზე, ჩაუდგამთ პერაკლეური ამფორა (ტაბ.5/1). გადარჩენილია ქვედა ნახევარი. სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში პირის არეში აღმოჩნდა ვერცხლის 2 მონეტა – კოლხური თეთრი, მარცხენა ხელის არეში – შავლაკიანი არიზალისებრი ლეკითოსი (ტაბ.6/4). აქვეა რკინის ბეჭედი და სამაჯური, რომელიც პრეპარაციის დროს დაიშალა. მარცხენა ფეხთან დევს თიხის ადგილობრივი დოქი, მარჯვენასთან კი შავლაკიანი სამარილე. როგრც ჩანს, მიცვალებული ხის კუბოში იყო. სამარხის თავთან, ასევე, ბოლოში რამდენიმე ლურსმანი გაიწმინდა.

სამარხი №53. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,65X1X1,15 მ. სამარ-ხის თავზე, აღმოსავლეთით, ჩაუდგამთ ადგილობრივი კოჭობი. ასევე გაიწმინდა სხვა ჭურჭ-ლის ყურის ფრაგმენტი.

სამარხი №54. სამარხეული ორმო, წრიული ფორმის. დიამეტრიც 0,8 მ, სიღრმე – 1 მ. სამარხის დონიდან 30 სმ-ზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

სამარხი №55. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 0,65X0,5X1,2 მ. ხის კუბოს თავის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში ჩაუდგამთ შავლაკიანი არიზალისებრი ლეკითოსი. თვით კუბოში წარმოდგენილი იყო შემდეგი სახის ინვენტარი: თავის არეში გაიწმინდა ვერცხლის წყვილი საყურე (ტაბ.6/3), ვერცხლის ორი

მონეტა, რკინის ბეჭედი (2 ც). როგორც ჩანს, მიცვალებულს ხელები სახის წინ ჰქონდა დაკრეფილი. ასევე, სახესთან ახლოს, გაიწმინდა ბრინჯაოს ზარაკი და ადამიანის სახის გამოსახულებიანი მინის საკიდი (ტაბ.6/1,2) თვალად მძივთან ერთად. მარცხენა ხელის არში აღმოჩნდა ტახის გამოსახულებიანი ტერაკოტა (ტაბ.3/3). ეს პირველი შემთხვევაა კოლხების დაკრძალვის რიტუალში. მარცხენა ხელი არეშივე, 25 სმ-ით მაღლა, პრეპარირებულ იქნა წაქცეული ადგილობრივი დოქი, ხოლო მარჯვენა ხელთან – კოჭობი. დოქის თავზე გაიწმინდა რკინის ნივთის ფრაგმენტები. მასალის ალაგების დროს, მონეტის ქვემოთ დადასტურდა ბრინჯაოს სტრიგილას ფრაგმენტები(ტაბ.3).

სამარხი №56. დამხრობა ჩრდილო-აღმოსავლეთით. ზომები: 1,7X1,1X1,3 მ. უინვენტარო.

სამარხი №57. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 1,7X0,85X1,5 მ. უინვენტარო.

სამარხი №58. ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 1,5X1X1 მ. უინვენტარო. სამარხი №59. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომები: 2,2X1X1,2 მ. კუბოს ზომები: 1,8X0,72X0,5 მ. მიცვალებულის პირის არეში გაიწმინდა ვერცხლის ორი მონეტ, ოქროს ფუყე მძივებისაგან შედგენილი ყელსაბამი, რომელიც ყელის არეში იყო წრიულად დაფიქსირებული. მარჯვენა ხელის არეში პრეპარირებულ იქნა ჩამტვრეული შავლაკიანი ლეკითოსი. მარჯვენა ფეხთან ჩაუდგამთ კოლხური ორნამენტირებული ოინოხოია, ხოლო მარცხენა ფეხთან მცირე ზომის დოქი. სამარხთან დაკავშირებულია #2 სააღაპო მოედანი (ტაბ.2/2,3), რომელიც სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. წარმოდგენილია შავლაკიანი და იონური ჭურჭლის ფრაგმენტები. ასევე, დადასტურდა ნახშრის კვალი.

სამარხი №60. წრიული ფორმის. ზომები: 1,4X1X1,1 მ. ცენტრალურ ნაწილში გაიწმინდა ამფორის კედლის ფრაგმენტი.

სამარხი №61. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,3X0,8X1, მ. სამარხის თავზე, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ჩადგმულია ადგილობრივი ორნამენტირებული ჭურჭელი.

სამარხი №62. აღმოსავლეთისაკენ დამხრობილი. ზომები: 2,1X0,9X1,2 მ. სამარხის სამხრეთ კედელთან, რკინის ლურსმნის დონეზე, დევს ქვის საპრიალეხელი. ასევე, ადგილობრივი დოქი. მიცვალებული ხის კუბოში იყო დაკრძალული.

2021 წ. ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის კოლხურ სამაროვანზე გათხრითი სამუშაოები თითქმის ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. სამაროვნის კიდევ უფრო სრულყოფილად შესწავლის მიზნით გადაწყდა 2017 წ. თხრილის ჩრდილოეთისა და დასავლეთის მიმართულებით გაფართოება. ამ უკანასკნელში აიგეგმა NO 13 სექტორის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 კვადრატები; NO 14 სექტორის 1-ლი, მე-2, მე-9 და მე-10, ხოლო ჩრდილოეთის NO 13 სექტორის 23-ე, 33-ე და 43-ე კვადრატები (იხ. კახიძე, 2021: 174-178; Kakhidze, 2023: 322-326).

თხრილი გაიწმინდა ეკალ-ბარდისაგან, ეწრიანი საფარისა და ჩაის ბუჩქების ნარჩენებისგან. ცენტრალურ ნაწილში ორი მოზრდილი ხეც იყო ამოსული. ამის შემდეგ მთელ ფართობზე ჩაის პლანტაციის გაშენების მიზნით შექმნილი ზედა ჰუმუსოვანი ფენის აღება დაიწყო. გათხრები წარმოებდა ე.წ. ბარისპირის მეთოდის გამოყენებით. ჰუმუსოვან ფენაში პირველსავე ბარისპირზე გამოჩნდა სხვადასხვა სახის არტეფაქტი. პირველ რიგში, აღსანიშნავია იმპორტული კერამიკის ფრაგმენტები.

საინტერესოსურათი გამოისახა NO 13 სექტორის მე-8 კვადრატში. თანდათანობითი დაღრმავების შედეგად კვადრატის აღმოსავლეთ კუთხეში გამოჩნდა წინა წლებში დაზიანებული სამარხი, რომელმაც ახალი ნუმერაციით 68-ე ნომერი დაიმკვიდრა. დამხრობა საკმაოდ უცნაური ჰქონდა, სამხრეთით. სამწუხაროდ, სამარხეული მასალის

დიდი ნაწილი დაკარგულია, თუმცა თავთან დაფიქსირდა შავკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ხოლო გულმკერდის არეში ბრინჯაოს ნახევარმთვარისებური საკიდის ნაწილი და მძივები.

როგორც ვთქვით, ამ დონეს მოსდევს მოყვითალო შეფერილობის მქონე ფხვიერი სილნარი ფენა, რომელშიც, როგორც წესი, გვხვდება სააღაპო მოედნები და ზოგჯერ თვით სამარხში ჩადგმული კერამიკული ტარის პირისა თუ ყელის მონაკვეთები. ყვითელი შეფერილობის ფენის შესწავლისას თავიდანვე საგრძნობი იყო სააღაპო მოედანსა თუ სამარხებში ჩაყოლებული კერამიკის დაშორება თანამედროვე ზედაპირთან. ასევე ითქმის თვით სამარხთა მიმართ. ისინი, ჩვენს ძეგლზე ათასეულამდე ადრე შესწავლილი სამარხების მსგავსად ჩაჭრილი აღმოჩნდა ჰუმუსოვანი ფენის მომდევნო ყვითელი შეფერილობის მქონე ფხვიერ სილნარ ფენაში. ეს შესანიშნავად ჩანდა ხის კუბოიანი სამარხების ზედა დონის, კერძოდ, თითქმის სარიტუალო მოედნების დონეზე გამოჩენილი სახურავის რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით.

არსებითად ფხვიერი სილნარი ფენის ორი-სამი ბარისპირის მოხსნის შემდეგ თხრილიდან სილის გატანა დასრულდა. მთავარი აქცენტი გადატანილ იქნა საპრეპარაციო სამუშაოებზე.

აღაპი NO 14 სექტორის მე-2 კვადრანტი. წრიული შემოწირულობის დიამ. 90 სმ წამყვანია იმპორტული, ნაცრისფერკეციანი და შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები.

კრემაციული წერტილი მდებარეობდა NO 14 სექტორის 1-ელ კვადრანტში. სავარაუდოდ, აღაპთან შეკრებილი ჭირისუფლების დამატებითი ლოკაცია იყო, სადაც ისინი შესაბამის ქტონურ რიტუალებს ასრულებდნენ.

სამარხი 63. NO 13 სექტორის მე-7 კვადრანტი. დამხრობილია ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. სამარხეული ორმოს ზომებია: სიგრძე – 2,5 მ, სიგანე – 1,75 მ, სიღრმე 1,5 მ. ეს სამარხი, ისევე როგორც 65 და 66 უინვენტარია.

სამარხი 64. NO 13 სექტორის მე-7-8 კვადრანტები. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. სამარხეული ორმოს ზომებია: სიგრძე – 1,5 მ, სიფართე – 1 მ, სიღრმე 1, 06 მ. თავის არეში აღმოჩნდა თიხის ადგილობრივი ოინოხოია , ხოლო გულმკერდის არეში 15-მდე იოტა და მარცხენა ხელის არეში რკინის დაშლილი სამაჯური. სამარხში შეიმჩნევა კენჭები და ნახშირის კვალი.

სამარხი 67. NO 13 სექტორის მე-9-10 კვადრანტები. საკმაოდ მოზრდილი ფიჭვის ხის გამო, რომლის ფესვების ამოძირკვაც წლევანდელ წელს ვერ მოესწრო, ამ სამარხის შესწავლა მომავლისთვის გადაიდო.

დაზიანებულ სამარხ # 68-ზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

რაც შეეხება 69-ე სამარხს, ის NO 13 სექტორის მე-10 კვადრანტსა და NO 14 სექტორის 1-ელ კვადრანტს შორის თავსდება. ისიც

აღმოსავლეთისკენადადამხრობილი. სიგრძე – 2 მ, სიფართე – 1 მ. დაკრძალული ჩანს ხის კუბოში. რკინის ლურსმნების სიმეტრიულად განლაგებული სამი რიგი პრეპარირებულ იქნა თავის, შუა წელისა და ფეხების არეში. ყველა მათგანი, როგორც წესი, წვერით ქვემოთკენაა მიმართული. სამარხში წარმოდგენილი იყო ჯერაც განუსაზღვრელი მონეტა, სავარაუდოდ კოლხური თეთრი პირის არეში, აგრეთვე ადგილობრივი დოქი თავის არეში. სამარხი 70. NO 14 სექტორის 1-ლი კვადრანტი. ჩრდილოეთისკენ დამხრობილი. სიგრძე – 2 მ, სიფართე – 1 მ. თავის არეში დაფიქსირდა იმპორტული და ადგილობრივი ჭურჭლები.

სამარხი 71. NO 14 სექტორის მე-2-3 კვადრანტები. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. ლურსმნების განლაგების მიხედვით აშკარაა, რომ მიცვალებული კუბოშია ჩასვენებული. სამარხეული ორმოს ზომებია: სიგრძე – 2,5 მ, სიგანე – 1 მ. ფეხის არეში აღმოჩნდა შავკეციანი ადგილობრივი ჭურჭელი.

სამარხი 72. NO 14 სექტორის მე-3 კვადრანტი. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. სიგრძე - 1,5 მ, სიგანე - 1 მ. სამარხის შუა ნაწილში თიხის კოჭობი, კოლხური თეთრი და რკინის სამაჯური მარცხენა არეში, აგრეთვე ლურჯი ბიკონუსური და მომწვანო მომრგვალებული მინის მძივები .

სამარხი 73. NO 14 სექტორის მე-13 კვადრანტი. აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. სიგრძე - 1,5 მ, სიგანე - 0,75 მ. თავის არეში დაფიქსირდა ადგილობრივი დოქი; კისრის არეში ვერცხლის სხივანა საყურეები ; ფეხის არეში კი ლურსმნები.

სამარხი 74. NO 14 სექტორის 33-ე კვადრანტი. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დამხრობილი. სიგრძე - 1,5 მ, სიგანე - 0,75 მ. უინვენტარო.

სამარხი 75. NO 14 სექტორის 43-ე, დამხრობა აღმოსავლეთით, სიგრძე - 2,25 მ, სიგანე - 1,25 მ. თავის არეში ადგილობრივი დოქის ნამტრევეები და ლურსმნები.

წარმოდგენილად რთული კლიმატური პირობების გამო 2022 წ მხოლოდ NO 13 სექტორის მე-9-10 კვადრანტებში განთავსებული დაუმთავრებელი სამარხი # 67 შევისწავლეთ. საკმაოდ მოზრდილი ფიჭვის ხის გამო, რომლის ფესვების ბოლომდე ამოძირკვა 2022 წელსაც ვერ მოხერხდა, საფლავის სტრატეგია ბოლომდე დადგენილი არაა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდის ბევრი სხვა სამარხის მსგავსად, ისიც უინვენტარო აღმოჩნდა - აქ მხოლოდ ხუთიოდე ლურსმანი დაფიქსირდა.

2022 წწვენი დასავლეთის მიმართულებით საკმაოდ დიდი ტერიტორიის ჰუმუსიდან გათავისუფლებაც მოვახერხეთ, გამოჩნდა ხუთიოდე ახალი სამარხის კონტური, რომლის შესწავლასაც 2023 წ ვგეგმავთ.

ძვ.წ. IV ს-ის ადგილობრივი მოსახლეობის სამარხეული ინვენტარი ფიჭვნარის რიგითი ფენების კუთვნილების ამსახველია. სამარხეული ინვენტარი არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით, არ ჩანს ფუფუნებითი დაკრძალვის რიტუალის ამსახველი მასალა. შესაბამისად, არც მდიდრული ინვენტარია საიმყვექნიოდ ჩაყოლებული. წამყვანი ადგილი ადგილობრივ ნაკეთობებს უკავია. არის სხვადასხვა სახის სამკაული თუ სხვა სახის ნაკეთობანი, მონეტები. იმპორტული კერამიკა უპირატესად სააღაპო მოედანზე იყო აღმოჩენილი. მოკლედ ვისაუბრებთ თითოეული ჯგუფის შესახებ ცალ-ცალკე.

კოლხურ სამაროვნებზე აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლებში წამყვან ადგილს სამეთუენო ნაკეთობანი იკავებენ. ამ ეპოქისათვისაც გრძელდება ზოგადკავკასიური თუ კოლხური ტრადიციები. გვაქვს მეტ-ნაკლები რაოდენობით ელინიზებული ფორმებიც. ზომიერად იყენებენ იმპორტულ ჭურჭელსაც.

ზოგადკავკასიური ფორმებიდან ფიჭვნარში კვლავაც გრძელდება თიხის ქოთნების დამზადება. ერთ-ერთი მათგანის (ქ.ფ.013/10, სამარხი 23) პირის გარეთა კალთა რკალისებრია, ყელი დაბალი. ტანი მომრგვალებული. ოთხკუთხაგანივკვეთიანი მარყუჟისებრი ყური ტანის არეშია დაპერწილი. 35-ე სამარხის თიხის ქოთანი წარმოდგენილია ცალკეული ნატეხების სახით. ჰქონია ბრტყელი ძირი. პატარა ზომის მომრგვალებული ტანი. პირი, ყურის და ყელის ნატეხები არაა შემორჩენილი. კეცი მოყვითალო. ჭურჭელს ზემოდან ეხურა დისკოსებური მოყვანილობის ხუფი, რომელსაც კიდებზე წყვილი სავენტილაციო ნახვრეტი აქვს გაკეთებული. კეცი მოყვითალო-მონაცრისფრო. მსგავსი ხუფი პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში.

საერთო აღიარებით სარგებლობს ყურმილიანი ჭურჭელი. ამ მიმართებით კოლხური კერამიკული ნაწარმის ეს ფორმა ყველაზე დიდი რაოდენობით სწორედ ფიჭვნარის სამაროვნებსა თუ კულტურულ ფენებშია წარმოდგენილი. ძვ.წ. IV ს ფიჭვნარელ კოლხებს იგი სამარხეულ ინვენტარადაც გამოუყენებიათ: ერთ-ერთი (ქ.ფ.013/14, სამარხი 23) თითქმის მთლიანადაა აღდგენილი. აკლია ყური. პირი სადა, ოდნავ გარეთკენ გადახრილი, ყელი ვიწრო, მაღალი, ტანი სფეროსებრი. ყელის ზედა მონაკვეთზე და ყურის ბოლოს მიძერწვის ადგილის გასწვრივ

დატანილია ღრმა ჰორიზონტალური ხაზების რიგი, რომელიც მცენარეული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ხაზები ყურის ძგიდის შემორჩენილ ნაწილზეც ვრცელდება. მკვეთრად ჰორიზონტალური ხაზებით შემოფარგლული დახრილი ქდეები და სამკუთხედების ზოლი ყელის დასაწყისიდანაც მიუყვება. ყურის ბოლოზე მოზრდილი კოპია დაძერწილი. კეცი მოშავო-მონაცრისფრო. ეს მონაპოვარი ფიჭვნარელ მეთუნეთა ცალკე სახეობას ქმნის. 37-ესამარხის ყურმილიანი დოქი წარმოდგენილია ნატეხებით. ფორმა ტიპური. პირი და ყელი მთლიანდაა შემორჩენილი. პირი გარეთკენ გადმოკეცილი და გაფართოებული. ყელი მაღალი, ცილინდრული პირისკენ ოდნავ გაფართოებული. კეცი განატეხში მოყავისფრო. ზედაპირი მოშავო.

არის სხვა სახის თიხის დოქებიც. ერთ-ერთ მათგანის (ქ.ფ.013/33, სამარხი 31) ფართო კონუსისებრი პირი ყელისგან არაა გამოყოფილი. ტანი სფეროსებრი, ძირი ბრტყელი, ყური ბრტყელგანიკვეთიანი. ყელის დასაწყისს შემოუყვება ჰორიზონტალური ღარების ზოლი, ხოლო მხრის დასაწყისს ჰორიზონტალურ ზოლებს შორის მოქცეული წერტილოვანი ორნამენტის სამი სარტყელი. კეცი მოშავო-მონაცრისფრო. ალაგ-ალაგ მოყავისფრო. სადა თიხის დოქს (ქ.ფ.013/26, სამარხი 26) აქვს გარეთკენ გადაშლილი ფართო კონუსისებრი ყელი (პირი არაა გამოყოფილი). ტანი სფეროსებრი, ოვალურგანიკვეთიანი ყური. კეცი მოყავისფრო-მოშავო-მონაცრისფრო. მე-40 სამარხის დოქს ჰქონია ბრტყელი ძირი, გარეთკენ გაფართოებული. კონუსისებური მოყვანილობის ყელი. ყური მიძერწილი ყოფილა პირის ქვემოთ. ზედაპირი მოყავისფრო-მოშავო. გაპრიალებული. 42-ე სამარხის დოქს აქვს ბრტყელი ძირი. მომრგვალებული ტანი. პირისა და ყელის ნატეხები არაა შემორჩენილი. ყური ოვალურგანიკვეთიანი. ყელის დასაწყისთან შემოუყვება მჭიდროდ განლაგებული წერტილოვანი ფოსოების ჰორიზონტალური რკალი. კეცი მოყვითალო-მოყავისფრო. სქელკედლიანი. ამავე სამარხის შესწავლისას აღმოჩნდა გვიან ბრინჯაოს ხანის დოქის ყურისა და პირის ნატეხი. ყური უშუალოდ პირზეა მიძერწილი. ყურის ზედა კალთა შემკულია არასიმეტრიული ჰორიზონტალური ღარებით (ტაბ. 4/5).

69-ე სამარხში მოპოვებულ დოქს აკლია პირის მცირე მონაკვეთი; პირი კონუსისებური მოყვანილობის ყელისგან არაა გამოყოფილი; ტანი სფეროსებრი; ძირი ბრტყელი; ყური ოვალურგანიკვეთიანი - ზედა ბოლო მიძერწილია პირს ქვემოთ, ქვედა ტანის არეში; კეცი მოშავო-მონაცრისფრო; ყელისა და ტანის დასაწყისი შემკულია ქდეების ჰორიზონტალური ზოლებით; ტანის ზედა ნახევარს შემოუყვება ღარებით შემოფარგლული ტალღისებრი ორნამენტის ლენტისებრი ჰორიზონტალური ზოლი; ტანის ზედაპირი მოშავო ფერის, საჟისებრი თხელი ფენითაა მოპრიალებული. დოქი ქმნის ცალკე ტიპს და ძვ.წ. V ს კოლხური კერამიკის მსგავსად (იხ. კახიძე, 2016: 71, ტაბ. LXXIV/4,6) წარმოადგენს საკმაოდ მაღალმხატვრულ ნიმუშს. მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ორნამენტის დოქები ფიქსირდება ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლზეც (იხ. კახიძე, კახიძე, 2014: 41, ტაბ. 18/3, 20/4, 20/9, 21/3, 25/7, 38/5, 70/2).

ნაწილობრივ აღდგენილი მოშავო-მოყავისფრო თიხის დოქს აქვს კონუსისებრი ყელი, რომელიც სადა, სწორი პირისაგან არაა გამოყოფილი; ტანი მომრგვალებული, ძირი ბრტყელი; ოვალურგანიკვეთიანი ყურის ზედა ბოლო ყელის, ქვედა კი ტანის არეშია მიძერწილი; ტანის დასაწყისი დაფარულია ქდეების 3 ჰორიზონტალური რიგით, რომელიც მთლიანობაში ე.წ. თევზიფხური, მცენარეული ორნამენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქმნის ცალკე ტიპს, რომელიც აგრძელებს კოლხური მეთუნეობის ათასწლოვან ტრადიციებს და პოპულარულია ძვ.წ. V ს-შიც

- განსხვავებული ფორმის, მაგრამ მსგავსი ორნამენტის დოქები გვხვდება როგორც ბერძნულ (იხ. კახიძე, 2007: 131, სურ. 83/9, 95/2), ისე ადგილობრივ (იხ. კახიძე, 2016: 69, ტაბ. LII/20) სამაროვნებზე.

73-ე სამარხში აღმოჩენილ დოქს აქვს მკვეთრად გამოსახული გარეთკენ გაშლილი პირი, დაბალი ცილინდრული მოყვანილობის ყელი, ბიკონუსური ტანი, რომლის ზედა ნახევარი მთლიანადაა დაფარული წერტილოვანი ორნამენტებით შემკული, ე.წ. მცენარეული, თევზისფერი ორნამენტის ჰორიზონტალური ზოლით. ამ ზოლის ქვედა მონაკვეთი ვიწრო ღართაა შემოსაზღვრული. კეცი მოშავო-მონაცრისფრო. ეს ფორმა ძვ.წ. IV ს კულტურულ ფენაში პირველად აღმოჩნდა. გვხვდება ძვ.წ. V ს კოლხურ სამაროვანზე (კახიძე, 2016: ტაბ. LXXX/19). შეიძლება ითქვას, რომ ის ამ პერიოდის კოლხური კერამიკის ცალკე ტიპია, რომელიც აქაური მეთუნეობის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს.

არის სადა ნიმუშები. ერთ-ერთ მათგანის ყურის გარეთა მონაკვეთი სამკუთხაგანივკვეთიანია, შიდა ზედაპირი სწორი (ტაბ.4/2).

გრძელდება ე.წ. ფიჭვნარული დოქების კეთება. 26-ე სამარხში აღმოჩენილი დოქი (ქ.ფ.013/25) მსგავსია ძვ.წ. V ს-ში გავრცელებული ნიმუშებისა, რომელთა ტანი შემკულია ვერტიკალურად განლაგებული ნუშისებრი თვალების რელიეფური გამოსახულებებით. მეორე ფიჭვნარული დოქის (ქ.ფ.013/32, სამარხი 31) პირი ოდნავ გარეთკენ გადაშლილია, ყელი მაღალი, ცილინდრული. ტანი მომრგვალებული. ზედა ნახევარზე, ყურის ქვედა ბოლოს გასწვრივ დაძერწილია სამი ვერტიკალური რელიეფური ზოლი. ფორმა დახვეწილი. ყური სამკუთხაგანივკვეთიანი.

ცალკე ტიპს ქმნის თიხის ადგილობრივი ქოთნისებრი ჭურჭელი (ტაბ.4/3). აქვს ბრტყელი ძირი, მომადლო ოდნავ წელშეზნეკილი მომადლო ტანი, გარეთკენ გადაშლილის პირი კორპუსისგან არაა გამოყოფილი. მხრის არეში მოპირდაპირე მხარეს ვერტიკალურად დაძერწილი ყოფილა წყვილი მრგვალგანივკვეთიანი ყური (ერთი დაკარგულია). 48-ე სამარხში გვხვდება ქოთნის ძირისა და ტანის ნატეხები. ხელით ნაძერწი. პირი სწორი. კეცი მოშავო-მოყავისფრო. ზედაპირი მოშავო-მოყვითალო.

72-ე სამარხისთიხის სადა კოჭობის კეცი მოშავო-მონაცრისფროა; აქვს საკმაოდ ფართო, გარეთკენ მიმართული პირი; ცილინდრული ყელი; მომრგვალებული ტანი; ბრტყელი ძირი; სამკუთხაგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო მიძერწილია პირის, ხოლო ქვედა კი ტანის არეში; 70-ე სამარხის თიხის დოქის მსგავსად ქმნის ცალკე ტიპს და გვხვდება ძვ.წ. V ს-ის როგორც ბერძნულ (იხ. კახიძე, 2007: 132-133, სურ. 44/3), ისე ადგილობრივ (იხ. კახიძე, 2016: 77, სურ. 57/15, 79/8) სამაროვნებზე.

სხვა სახის ჭურჭლებიდან აღსანიშნავია ადგილობრივი ოინოხოიები. 27-ე სამარხში მოპოვებულის (ქ.ფ.013/28) ფორმა ტიპურია. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლოს შუა კალთაზე კოპია დაძერწილი. 64-ში აღმოჩენილი ცალის პირი ტიპური; ყელი შედარებით დაბალი; ტანი სფეროსებრი; ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო პირზეა დაძერწილი, ქვედა კი ტანის არეში; ტანის ზედა ნახევარი არცთუ ისე სიმეტრიულად განლაგებული, ოდნავ შესამჩნევი ვერტიკალური ღარებითაა დაფარული; ძირი ბრტყელი; კეცი მოყვითალო-მონაცრისფრო (ტაბ.4/1).

ძვ.წ. IV ს ფიჭვნარის კოლხური მოსახლეობა ზომიერად იყენებს უცხოურ მაღალმხატვრულ ფუფუნების საგნებს. ამათ რიცხვს განეკუთვნება შავლაკიანი სამარილე (ტაბ.5/5). მთლიანად დაცული. წელშეზნეკილი. მთლიანადაა დაფარული ლაკით. ძირის გარეთა ზედაპირზე, ქუსლთან ახლოს, დატანილია გრაფიტო.

შავლაკიანი კერამიკის ბევრი სახეობა, ძირითადად, აღმოჩენილია სააღაპო მოედანზე ცალკეული ნატეხების სახით. მაგალითად, ბოლსალებში სახეზეა ყველა ის ცვლილება, რაც ნიშანდობლივია ფორმის განვითარებისათვის. ლაკი საკმაოდ კარგი ხარისხისაა. ძირის გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია. ხშირად მოხატულია შავი ლაკის წრეხაზით, ხოლო ფსკერის შიდა ზედაპირზე დატანილია შტამპირებული პალმეტები. ბოლსალების შიდა გაფორმებაშიც ვხვდებით ფაქიზად შესრულებულ, გადაბმულ თუ ჯვარედინად განლაგებულ პალმეტებს. შტამპი სხვადასხვაა.

ადრინდელთა გამოსახულებანი ახლო-ახლოა განლაგებული. სახელოსნო ერთი უნდა ყოფილიყო. ძირის გარეთა რეზერვირებული ზედაპირი ხშირად წერტილიანი წრეხაზითა თუ შავი ლაკის ზოლებითაა მოხატული.

შავლაკიან ბოლსალს (ქ.ფ.013/27, სამარხი 27) აკლია ცალი ყური. ფორმა ტიპური. აქვეა პირთან ახლოს მიძერწილი ძვ.წ. IV ს-თვის დამახასიათებელი წაგრძელებული ყურები. ძირის გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია. ცენტრში მოხატულია პატარა ზომის წერტილიანი წრეხაზი, მოშორებით უფრო ფართო. ფსკერის შიდა ზედაპირზე დამტამპულია წრეხაზის ირგვლივ განლაგებული ოთხი პალმეტი. ლაკი შედარებით თხლად წასმული. ალაგ-ალაგ ატკეცილი(ტაბ.5/2-4).

ჰუმუსოვანი და ფხვიერი სილნარი ფენის გათხრებისას მოპოვებულია შავლაკიანი ბოლსალის ყურისა და პირის ნატეხიც (ქ.ფ.013/1).

ფიჭვნარის სადა თუ ორნამენტირებული ატიკური შავლაკიანი კერამიკის მნიშვნელოვან ნაწილს ტუალეტისთვის განკუთვნილი სანელსაცხებლე ჭურჭელი - ლეკითოსი ქმნის. ის მეტად გავრცელებული ფორმაა ანტიკურ სამყაროში და სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთ შემადგენელ ატრიბუტთაგანს წარმოადგენს. ფიჭვნარის ნეკროპოლზე საკმაოდ ხშირად ჩნდება მოხატული ნიმუშები. ასევე ითქმის სადა შავლაკიანების მიმართაც. არიზალისებურ ლეკითოსებს აქვთ გამოზურცული ტანი, განიერი ქუსლი. საწყისს იღებენ გვიანარქაული ხანიდან, ხოლო გაბატონებული მდგომარეობა ძვ.წ. V ს მეორე ნახევარში უკავიათ. რაც შეეხება სადა შავლაკიანებს, ათენის აგორის მიხედვით ძვ.წ. 450 წ ადრე არ გვხვდება, გამოყოფილია ამ კლასის ლეკითოსების სხვადასხვა ვარიანტი .

ფიჭვნარული წითელფიგურული არიზალისებური ლეკითოსის (ტაბ.5/4) ფორმა ტიპურია. ქუსლი პროფილირებული, ღარით გამოყოფილი. გამოსახულია ქალის ფიგურა. მარცხენა ხელში ზარდახმა უჭირავს. უკან გაწვდილ მარჯვენაში კი - ორად გაკეცილი ტილო. ნახატი სქემქტურია. სამოსი გადმოცემულია დიაგონალური ხაზებით. საყრდენ არედ მოცემულია თიხისფერში დატოვებული ჰორიზონტალური ზოლი. კომპოზიციის მარჯვენა კუთხეში დატანილია მცენარეული ორნამენტი. ზომები: ძირის დმ 6,5 სმ; პირის დმ - 4,1 სმ; ყურის დმ - 1,2 სმ; ყელის დმ - 1,5 სმ; ტანის დმ - 7,7 სმ.

მეორე არიზალისებრი ლეკითოსის (ქ.ფ.013/19) ფორმა ასევე ტიპურია. ტანის არეში შემოუყვება ფონისმიერი წყვილი რეზერვირებული ჰორიზონტალური ზოლი.

შავლაკიანი სკიფოსები, ძირითადად, ალაპზე აღმოჩენილი ნატეხებითაა წარმოდგენილი. ძირი რგოლისებური. გარეთა ზედაპირი რეზერვირებული. ტანი შედარებით თხელკედლიანი. პირი გარეთკენ გადამილილი. ყურები მიძერწილია პირთან საკმაოდ ახლოს. სხვა სახის ჭურჭელი არ ჩანს. ეტყობა ალაპის შესრულებაში ფიჭვნარელმა ელინებმა მიიღეს მონაწილეობა და შესაბამისად მხოლოდ ასე მოაღწია იმპორტულმა ჭურჭლის ფრაგმენტებმა.

მე-40 სამარხში წარმოდგენილი იყო შავლაკიანი სკიფოსის ტანის ზედა ნახევარი. პირთან მოძერწილია რგოლისებური ყური; ასევე ძირი, რომლის გარეთა ზედაპირი რეზერვირებულია. ძვ.წ. IV ს შავლაკიანი სკიფოსები ხშირად ჩნდება ფიჭვნარის თანადროული ბერძნების ნეკროპოლის გათხრებისას (კახიძე, კახიძე, 2014: 27,31,32; ტაბ. 14/7;23/11;35/3;70/4). რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ღვინის სმასთან განკუთვნილ ამ ელინურ ფორმას ფიჭვნარში ადგილობრივი მინაბადიც გამოუჩნდა (კახიძე, კახიძე, 2014: 42; ტაბ: 30/2; 41/6).

აღსანიხნავია კილიკის ყურისა და რგოლისებრი ქუსლის ნატეხები. ისინი უფრო ალაპზე იყო წარმოდგენილი ყურის, ტანის, ძირისა და ქუსლის ნატეხების სახით (ქ.ფ.013/5). მსგავსია ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლზე აღმოჩენილი საღვინე თასებისა (ტაბ.2/3;7/1).

არის პატარა ზომის შავლაკიანი ჭურჭლის ძირი და პირის ნატეხები. ერთ-ერთ

მათგანზე გრაფიტოც ყოფილა დატანილი. გადარჩენილია გრაფიტოს ზედა ნახევარი. გვხვდება შავლაკიანი ჯამიც, ძირითადად ფრაგმენტები. შედარებით უკეთესადაა დაცული 24-ე სამარხში აღმოჩენილი ცალი (ქ.ფ.103/18).

არის ამფორისკიც (ქ.ფ.013/8, სამარხი 20), რომელიც მთლიანადაა დაცული. ფორმა ტიპური. აქვს მკვეთრად გარეთკენ გადმოშლილი რგოლისებრი პირი, მაღალი ცილინდრული ყელი, კვერცხისებრი ტანი, ვიწრო კოპისებრი ქუსლი. ოვალურგანივკვეთიანი ყურის ზედა ბოლო მიძერწილია პირს ქვემოთ, ქვედა მხრის არეში. კეცი მოყვითალო-მოწითლო. წვრილმარცვლოვანი. კარგად გამომწვარი. მსგავსი ამფორისკები აღმოჩენილია ფიჭვნარის როგორც ძვ.წ. V ს, ასევე IV ს ნეკროპოლებზე.

მრავალრიცხოვანია ოინოხოები. ოინიური ოინოხოია (ქ.ფ.013/17, სამარხი 24) აღსადგენია. ფორმა ტიპური. არის ამ სახეობის ჭურჭლის ძირიც (ქ.ფ.013/11). ეს ფორმაც დიდი მოწონებით სარგებლობს ძვ.წ. V ს ფიჭვნარის როგორც ადგილობრივ ფენებს, ასევე ელინებს შორის. სხვა ფორმებიდან აღსანიშნავია მრგვალპირიანი ოინოხოის პირის ნატეხები და ქუსლიანი ძირი. ძირის გარეთა ზედაპირიც ლაკითაა დაფარული. პირი გამოყოფილი. ამავე ალაპზე ჩნდებოდა ადგილობრივი ჭურჭლის და ნახშირის ნატეხები. უნდა აღინიშნოს, რომ ესაა კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი გამოკვეთილი უძველესი სააღაპო მოედანი. არაა გამორიცხული, რომ ფიჭვნარელი ელინი გათხოვილი იყო კოლხზე. შესაბამისად, კოლხურ სამაროვანზეც შესრულდა ბერძნებისთვის დამახასიათებელი ეს რიტუალი. ელინიზმის ეპოქისათვის ალაპის წესის შესრულება ადგილობრივ ფენებს შორის უკვე საკმაოდ გავრცელებული ჩანს ფიჭვნარის მაგალითზე.

აღსანიშნავია ჰერაკლიული ამფორები. ერთ-ერთის (ქ.ფ.013/16, სამარხი 24) ნაწილობრივ აღდგენა მოხერხდა. მოზრდილი პროფილირებული ნაწილების მიხედვით ჩანს, რომ ჰქონია არც თუ ისე მაღალი ბოლოებისგან ოდნავ გაფართოებული ცილინდრული ძირი, შეღრმავება არაა კონუსისებრი მოყვანილობის, უფრო ნახევარწრიული. ტანი შედარებით დაბალი კონუსისებრი, ზედა ნახევარი საკმაოდ მაღალი, მომრგვალებული, ყელი ცალკეული ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. პირი გარეთკენ მიმართული, შიდა კალთა მომრგვალებული, ყურები მაღალი, ოვალურგანივკვეთიანი. კეცი ტიპური, მოყავისფრო, მინარევებიანი. დამდის არსებობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. არის მთლიანად დაცულიც. აქვს გარეთკენ მიმართული სამკუთხა განიკვეთიანი პირი. მაღალი ცილინდრული ყელი. თანაბრად დაქანებული ოდნავ მომრგვალებული მხრები. კონუსური ტანი. ცილინდრული ფორმის ძირი. ამფორის ყელზე კარგადაა შემონახული ენგლიფური დამლა ΑΠΙΣΤΗΠ-ΠΟΣ (ტაბ.9/3).

ჰერაკლეურ ამფორას ბევრი პარალელი ეძებნება თვით ფიჭვნარიდან. ამკარაა, რომ ჰერაკლეური კერამიკული ტარის იმპორტი ფიჭვნარში გაცილებით წინ უსწრებს სინოპურებს. თუ რით იყო ეს გამოწვეული, ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ.

საქართველოს სხვა ძეგლებისგან განსხვავებით, ფიჭვნარში საკმაოდ მრავლადაა აღმოჩენილი ე.წ. ნაცრისფერკეციანი თიხის ჭურჭელი. ეს განსაკუთრებით ითქმის ძვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლის მიმართ. მათი ნატეხები საკმაოდ ხშირად იჩენს თავს თანადროული ნაქალაქარის კულტურულ ფენებშიც. ამ სახის ნაკეთობანი სამარხეულ ინვენტარად ძვ.წ. IV ს მცხოვრებ კოლხებსაც გამოუყენებიათ, მაგალითად დოქი (ქ.ფ.013/7, სამარხი 20). აღსდგენი. მოზრდილი. პირი ფართო, პროფილირებული. ყელი ცილინდრული. ტანი სფეროსებრი, მაღალი. ქუსლი ფართო, გარეთკენ გაზიდული. გარეთა კალთა სწორი, შიდა – მომრგვალებული. წყვილღერიანი ყურის ზედა ბოლოს გვერდებზე ლითონისებრი ჭურჭლის მსგავსად მიუყვება გვერდითი შვერილები. კეცი ნაცრისფერი. ზედაპირი საჟის თხელი ფენითაა დაფარული. 46-ე სამარხში აღმოჩნდა ნაცრისფერკეციანი დოქის ნატეხები.

ფართოქუსლიანი. ქუსლის გარეთა კალთა სწორია, შიდა მომრგვალებული. ტანი მომადლო. ყელი ფართო, ცილინდრული. შემოუყვება ჰორიზონტალური ღარები. პირი მკვეთრად გამოყოფილი, სამკუთხაგანიკვეთიანი ყური ორადაა გაკეცილი. ქუსლის დმ – 9 სმ. ასეთივე დოქის ნატეხები 42-ე სამარხშიც დადასტურდა. 70-ე სამარხში ნანახ ნაცრისფერკეციან დოქს, რომელიც ალაგ-ალაგ შავი ფერის საჟითაა დაფარული, აქვს სფეროსებრი ტანი, ოთხკუთხაგანიკვეთიანი ქუსლი, ოვალური ყური (ტაბ.9/2). ნაცრისფერკეციანი დოქები შედიოდნენ მე-14, მე-18 და მე-19 სამარხების კომპლექსებშიც. არის ნაცრისფერკეციანი ჭურჭლის პროფილირებული ფრაგმენტებიც (ქ.ფ.013/6).

სკიფოსების მსგავსად, სხვადასხვა სახის ნაცრისფერკეციანი ჭურჭელი ფართოდ ჩანს გავრცელებული ფიჭვნარის ელინთა შორისაც (იხ. კახიძე, კახიძე, 2014: 34-39; 14/4;12; 15/2,6; 17/5.10 (გრაფიტოიანი); 19/2; 20/13; 14 (გრაფიტოიანი); 22/8;24/8 ;24/12; 30/1,10; 31/6; 37/3.8; 44/7; 62/2; 67/6). მრავლადაა აღმოჩენილი ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს ბერძნულ ნეკროპოლსა და ნაქალაქარზე (კახიძე, 1979: 59, ტაბ. 17/2; კახიძე, ვიკერსი, 2004: 100; კახიძე, კახიძე, 2014: 34-35; კახიძე, ძნელაძე და სხვ., 2013: ტაბ. 34/2; 2015: ტაბ. 32/2, 36/2; კახიძე, სურმანიძე და სხვ., 2017: ტაბ. 44/2).

გრძელდება სადაზოლებიანი როდოსულ-იონიური კერამიკული ნაწარმის შემოტანა. მოზრდილი იონიური ჭურჭელი მე-18 სამარხში ჩაეყოლებიათ. ესენი, როგორც წესი, შემკული არიან სადა ჰორიზონტალური ზოლებით.

წინა საუკუნესთან შედარებით ცოტაა სამკაული. პირველ რიგში აღსანიშნავია სამარხი 24, სადაც მრავალრიცხოვანი სამკაული დაფიქსირდა: ოქროს ნახევარმთვარისებრი საკიდი (ქ.ფ.013/23) მთლიანადაა დაცული. სადა, პატარა ზომის, ბრტყელი, მოკაუჭებული ბოლოები ნახვრეტებს ქმნის. ზურგზე მირჩილულია მრგვალი ყუნწი. პატარა ზომის ოქროს მძივების (ქ.ფ.013/22) რიცხვი 56-ს შეადგენს(ტაბ.6/5). ზოგიერთი დეფორმირებულია. ვერცხლის ნახევარმთვარისებრი საკიდი (ქ.ფ.013/24) მსგავსია ზემოთ აღწერილი ოქროს საკიდისა. ყურადღებას იქცევს ბრინჯაოს სამაჯურების ნატეხები (ქ.ფ.013/20). მეტად დაზიანებული. რკალის დიდი ნაწილი ნაფცქვენების სახითაა წარმოდგენილი. შერჩენილია ღეროს მცირე მონაკვეთები და სამაჯურის ბოლოები. რკალი მრგვალგანიკვეთიანი. შიდა არე სადაა, ირგვლივ სიგრძივი ღარებითაა დაფარული. ბოლოები შემკულია ცხოველის სტილიზებული გამოსახულებით. არაა გამორცხული კურდღლის. ზემოდან კარგად იკვეთება დაცქვეტილი ყურები, გვერდებზე წრიული მოყვანილობის თვალი, მოკლე ტუჩი თავისაგან თითქოს ღართაა გამოყოფილი. ჩაცუცქული კიდურები წინ გაწვდილი. ტანის უკანა ნახევარი რკალისებრი შემოწერილობისაა. ფერდებზე მიუყვება ბეწვის აღმნიშვნელი ვერტიკალური ხაზები. მსგავსი სამაჯური პირველად აღმოჩნდა ფიჭვნარში. ცუდი დაცულობის გამო შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მისი გრაფიკული აღდგენა.

ბუნებრივია, სამკაულები სხვა სამარხებშიცაა ნანახი. წვრილი ნატეხების სახითაა წარმოდგენილი ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი სამაჯური მე-13 სამარხიდან. რამდენიმეა რკინის სამაჯური. ისინი ხშირ შემთხვევაში ცალკეული ნატეხების სახითაა წარმოდგენილი. აქაური ნესტიანი გრუნტი ხელს უწყობს რკინის ნაკეთობათა კოროზია-დაშლას. ეჭვგარეშეა, რომ ფორიმის მიხედვით ისინი იმეორებენ ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობებს.

უფრო მეტია მძივსამკაულების რიცხვი. ძალზე ცოტაა სარდიონის მძივები. მე-16 სამარხის სარდიონის მძივი ყავისფერია. ზედაპირი საგრძნობლად დაზიანებული, კარგად გაპრიალებული. არც მინისა თუ მინისებური პასტის მძივები გამოირჩევა მრავალრიცხოვნებით. მათი ერთი ნაწილი ერთფეროვანი, მონოქრომიული, დანარჩენი პოლიქრომიულია. მეტნაკლები რაოდენობით ცალკეულ სამარხებში ჩნდება ლურჯი ფერის წვრილი მძივები, იოტები, სხვადასხვა

ზომის სფეროსებრი თუ მანდარინისებრი, ასევე მწვანე თუ ფირუზისფერი პასტის მძივები. 42-ე სამარხის მძივების ძირითადი ნაწილი დამზადებულია ფაიანსისაგან. რგოლისებური, სადა მძივები, ე.წ. იოტები. რამდენიმე ცალი ლურჯი მინისაგან დამზადებული რომბული ფორმის მძივებია. მსგავსი ფორმის მძივები გვხვდება მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში როგორც საქართველოში, ისე ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში (თურმანიძე, 2005: 45-50; კახიძე, კახიძე, 2014: 45-46; Алексеева, 1975: 31, ტაბ. 5, ტიპი 1).

სხვა ნაკეთობებიდან გვხვდება კაჟის ანატკეცი (47-ე სამარხი). მოყავისფრო, ზურგის მხარეს ჩანს ორი ფერდი. თავი გადატეხილია. იარაღის ბოლოზე ჩანს წვრილი რეტუმის კვალი. ნატიფად დამუშავებული. მუცლის მხარეს კი ტალღოვანი ზედაპირი აქვს. ორივე მხარეს ეტყობა ანატკეცის ნიშნები. ასევე, გამოყენების კვალი (3X2,7 სმ).

როგორც ვხედავთ, გვიანკლასიკური ხანიდან ფიჭვნარელი კოლხები, აქაური ელინების მსგავსად, იწყებენ საქლევხო რიტუალის შესრულებას. საინტერესო სურათი ისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნითაც. საკმაოდ ბევრია ისეთი ჭირისუფალი, რომელიც საიმპერიალი ინვენტარს მოკრძალებულად ან საერთოდ ვერ ატანს. ადაპის წესის მსგავსად, გაიზარდა ელინიზებულ კოლხთა რიცხვი, რომლებიც თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ უკვე თავით აღმოსავლეთისაკენ. თუმცა გრძელდება ტრადიციული ადათ-წესებიც. მხედველობაში გვაქვს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ დამხრობილი სამარხები.

ტრადიციულად, ადრეკლასიკური ხანის დაკრძალვის წესები შემორჩენილია ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებაში. არტეფაქტების დიდი ნაწილი, როგორც წესი, თავის არემია განლაგებული. ჰერაკლეური ამფორა, თიხის კოჭობი, შავლაკინაი არიბალისებრი ლეკითოსი, ვერცხლის საყურეები, ბრინჯაოს ზარაკი, ფიგურული მინის საკიდი. ბეჭდები, რომელიც ორ სამარხში აღმოჩნდა, ხელის არემია დადასტურებული. ყელის არემი გაიწმინდა თვალადი მინის და ოქროს ფუყე მძივები. დამკვიდრებულია მიცვალებულისათვის ქარონის ობოლის ჩაყო-ლე-ბის, ელინებისათვის დამახასიათებელი ადათ-წესი. სამარხებში დასტურდება ვერცხლის ორი ან ერთი ცალის ჩაყოლება. მარცხენა ხელთან აღმოჩნდა შავლაკინაი არიბალისებური ლეკითოსი (სამარხები #52 და #59), რკინის ბეჭედი და სამაჯური. პირველად აღმოჩნდა კოლხურ სამარო-ვანზე დემეტრას კულტთან დაკავშირებული ტახის გამოსახულებიანი ტე-რაკოტა. ასევე, დადასტურებულია ადგილობრივი ოინოხოია, დოქი და კოჭობი, ძვ.წ. IV ს-თვის დამახასიათებელი ნაცრისფერკეციანი დოქი (სამარხი #49).

როგორც ვხედავთ, ფიჭვნარი და მისი შემოგარენი ძველი კოლხეთის ისტორიის და საერთოდ შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფენომენტაგანს წარმოადგენს. ჩვენს ხელთაა ურბანისტული ცივილიზაციის, კლასობრივი საზოგადოების, ტომობრივი კულტურის გენეზისის შესწავლისთვის ძალზედ ინფორმატიული მასალა.

ფიჭვნარისდამისიშემოგარენისმიხედვითშესანიშნავადდასტურდება რომაქაური მკვიდრნი ჯერ კიდევ ეპიპალეოლითიდან დაწყებული ჩართული არიან მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ პროცესებში. საკმარისი დავასახელოთ სოფ. ქობულეთის ბოლოდროინდელი აღმოჩენები, ან ფერად ლითონებთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის ძეგლები. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა აღმოჩენებიდან დასტურდება რომ აქაური მელითონეები ბევრი ნოვაციის დამნერგავნი აღმოჩნდნენ. არ გამოვრიცხავთ, რომ მითი არგონავტების შესახებ და ბოლო დროს დადასტურებული ძველადმოსავლური წარწერები სწორედ

ამ მიღწევების გამოძახილი იყოს.

არანაკლები მნიშვნელობისაა ის ძვრები, რომლებიც სულიერ სფეროში მოხდა (დაკრძალვის წესები, ალაპი, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები და სხვ.). ახალი აღმოჩენებით დადასტურდა, რომ მატერიკული საბერძნეთის მსგავსად გვიანკლასიკურ ხანაში, პელეპონესის ომში ათენის დამარცხების გამო შესუსტდა ტრადიციული კონტაქტები, ხოლო მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ ჩვენშიაც ელინისტური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ტრენდები ძლიერდება. თანდათან იზრდება სამხრეთი შავიზღვისპირეთის ცენტრების (ჰერაკლეა, სინოპე, ამისო) როლი. ეს იმდენად მდგრადი ტენდენცია აღმოჩნდა, რომ მცირეოდენი ლაკუნის შემდეგ ახ.წ. II ს სამხრეთი-დასავლეთი საქართველო, ძირითადად, ამ რეგიონიდან (ტრაპეზუნტის დამატებით) მარაგდება. შესაძლოა, მათ დასავლეთი მცირეაზიული ცენტრი პერგამონიც შეემატა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო სამაროვანზე ჯერ კიდევ მცირე ფართობია შესწავლილი, ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მაინც შესაძლებელია. აშკარაა, რომ იგი ძვ.წ. V ს კოლხური სამაროვნის ტეროტორიულ და ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს; სულ მცირე დაშორებაა დასავლეთის მიმართულებით ძვ.წ. V ს ბერძნულ ნეკროპოლისთან, სამხრეთის მიმართულებით კი უშუალოდ ეკვრის ელინისტური ხანის სამაროვანს; თვალსაჩინო ძვრები ხდება კოლხთა დაკრძალვის რიტუალებში: სამარხთა დიდი ნაწილი ფიჭვნარელი ელინების მსგავსად, მეტნაკლები გადახრებით აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი; კოლხები უკვე მიმართავენ ალაპის წესის შესრულებასაც; ძვ.წ. IV ს ბერძნული ნეკროპოლისის მსგავსად, სამარხეული ინვენტარი მოკრძალებული ხასიათის მატარებელია, რაც მატერიკულ საბერძნეთში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური მოვლენების გამოძახილი უნდა იყოს; წამყვანია ადგილობრივი პროდუქცია, რა თქმა უნდა უარს არ ამბობენ უცხოური ფუფუნების საგნებზეც; დანიშნულების მიხედვით, სამარხეული ინვენტარი ჩალაგებულია თავის, ყელის და ფეხების არეში; სიახლეა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება პონტოს ჰერაკლესთან; საგრძობლად შემცირებულია საიუველირო ხელოვნების ნიმუშები.

ელინთა ადათ-წესების შესაბამისად, მეტ-ნაკლები გადახრებით, იკვეთება მიცვალებულთა თავით აღმოსავლეთისკენ მიმართვა. წამყვანია ინჰუმაციური სამარხები. უმეტეს შემთხვევაში გარდაცვლილები ჩასვენებული არიან ხის კუბოში. კოროზირებული რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით შესაძლებელი ხდება მათი ზომების მეტ-ნაკლები სიზუსტით განსაზღვრა. ბერძნულ ადათ-წესებს ექვემდებარება სააღაპო მოედნებისა თუ ხის კუბოში ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებანიც. აქ დაკრძალული კოლხები სოციალურად მაინც და მაინც გამორჩეული ფენების წარმომადგენლები არ უნდა ყოფილიყვნენ. სამარხეული ინვენტარი მოკრძალებული ხასიათის მატარებელია. ზომიერად, ზოგჯერ სიმბოლურადაც კი, იყენებენ მძივებსა და მძივსაკიდებს.

სამარხთა მნიშვნელოვანი ნაწილი უინვენტარია, რაც გვაფიქრებინებს, რომ წინა საუკუნესთან შედარებით კოლხური მოსახლეობა საგრძობლად გაღარიბდა. საინტერესოა, რომ ამ მხრივ ძვ.წ. IV ს კოლხური სამაროვანი ემსგავსება თანადროულ ბერძნულ ნეკროპოლს. ვფიქრობთ, ეს ფიჭვნარის კლერუქიის მეტროპოლიის, ათენის დასუსტებას უნდა უკავშირდებოდეს. აშკარაა, რომ ანტიკური თუ ადრეიზანტიური დასახლებები კოლხეთში მეტროპოლიაზე ზედმეტად იყვნენ მიჯაჭვული და მათი დასუსტება საბოლოო ჯამში მათ ავტომატურ „გარდაცვალებს“ მოასწავებდა, ავტონომიურად ცხოვრება მათ არ შეეძლოთ. ეს დასტურდება მომავალ ეპოქებთან მიმართებაშიც, მაგ. გონიო-აფსაროსისა და პეტრა-ციხისძირის მაგალითზე.

გამოყენებული ლიტერატურა

თურმანიძე მ. 2005: მძივსამკაული ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლიდან. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები, III: 45-50.

კახიძე ა. 1979: ფიჭვნარის ძვ.წ. ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნულ ნეკროპოლზე 1976 წელს განხორციელებული საველე კვლევა-ძიების შედეგები. სდსმ, 8: 42-67.

კახიძე ა., ვიკერსი მ. 2004: კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები (1998-2002 წწ), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშშოლის მუზეუმი.

კახიძე ა. 2007: ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშშოლის მუზეუმი.

კახიძე ა., ძნელაძე ნ., შალიკაძე თ., თურმანიძე მ. 2013: ფიჭვნარის ექსპედიციის 2012 წლის საველე კვლევა-ძიების ანგარიში. აჭარა: წარსული და თანამედროვეობა, 1: 52-126.

კახიძე ა., კახიძე ე. 2014: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები (ფიჭვნარის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძნული ნეკროპოლი) - (ქართულ და ინგლისურ ენებზე), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, ოქსფორდის აშშოლის მუზეუმი.

კახიძე ა., ძნელაძე ნ., თურმანიძე მ., ფარტენაძე თ. 2015: ფიჭვნარის სამაროვნებზე 2013 წელს განხორციელებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. აჭარა: წარსული და თანამედროვეობა, 2: 10-82.

კახიძე ა. 2016: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა და კულტურა კლასიკურ ხანაში (ფიჭვნარის ძვ.წ. V საუკუნის კოლხური სამაროვანი), ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი.

კახიძე ა., სურმანიძე ნ., შალიკაძე თ., ძნელაძე ნ., თურმანიძე მ., ნაგერვაძე მ., ფარტენაძე თ. 2017: 2014-2015 წწ ფიჭვნარის ნაქალაქარის და სამაროვნებზე წარმოებულ არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. აჭარა: წარსული და თანამედროვეობა, 3: 113-206.

კახიძე ე. 2021: 2021 წლის ფიჭვნარის არქეოლოგიური გათხრების წინასწარული ანგარიში. მუზეუმი და გლობალიზაცია. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ბათუმი: 174-184.

Алексеева Е.М. (1975) Античные бусы Северного При-черноморья. - САИ, вып. Г1-12, Мос-ква, с. 93, таб. 4.

Гуляев В.И., Савченко Е.И. (1998) Новый могильник скифского времени на Среднем Дону (итоги исследований 1996-1997 гг.). - РА, 4, сс. 115-132.

Иванов Т. (1963) Античная керамика из некрополя Аполонии. - Аполония, София, сс. 65-274.

Капошина К.И. (1959), Некрополь в районе поселка им. Войкова близ г. Керчи. - МИА, 69, сс. 108-153.

Книпович Т.Н. (1935) Опыт характеристики городища у станицы Елизаветской по находкам экспедиции ГАИМК в 1928 г. - ИГАИМК, вып. 104, С. 111-201.


Коровина А.К. (1968) Тирамба (городище и некрополь). - СГМИИ им. А.С.пушкина, 4, с. 54-84.

Кругликова И.Т. (1957) Ремесленное производство простой керамики в Пантикапее в VI-III вв. - МИА, 56, сс. 104-138.

Силантьева Л.Ф. 1945


Alexandrescu P. 1966: Necropola tumulara, Sapaturi 1955-1961. *Histria*, 2: 133-294
Beazley Gifts, 1967: pl. 48(140).6
Corbett, 1949: 301, 331, 332;
Kakhidze E. 2023: Classical-period Greeks and locals at Pichvnari, eastern Black Sea area.
Tios/Tieion on the Southern Black Sea Colonisation (ობიექტები): 319-330.
Sparkers B.A., Talcott L. (1970) Black and plain pottery of the 6th, 5th and 4th centuries
B.C. – The Athenian Agora, volume XII, part 1, p. 55.
Talcott, 1935
Ure, 1944:


ծծ. I


















1






2



1



2



13194
30771